საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.geoworld.ge

№41 (465)

14 – 20 ნოემბერი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru



## ძველი გვარდიის ახალი თავგადასავლები 4

# ბოდიშების ქვეყანა 3




## ვაშა ამ ახალ საქართველოს! ვაშა ბოდიშებს!

თურმე ყოველივეს დასავიწყებლად ერთი ჩვეულებრივი ბოდიშის მოხდა ყოფილა საკმარისი

«ელირსება კი ოდესმე ჩვენი უბედური ქვეყანა, რომ მის საქმეთა სათავეში, მისი ბედის მეთაურად... თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული წინამძღოლები ჰყავდეს?» 18

## რას გადაწყვეტს ქართველი ხალხი



5

## «შარვალჩახდილებმა» ეს მოიტანეს: 24



რუსეთი სამხრეთ ოსეთს საერთაშორისო პოზიციების გაძლიერებაში პოლიტიკურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს

## ბატონო აკაკი (კაკო, კაკი), ხვდებით მაინც, რამხელა სისულელე თქვით? 10

თუ თვლით, რომ პენსია საარსებო მინიმუმზე მაღალია, ხომ წარმოგიდგენიათ, საარსებო მინიმუმი რა აქვს მოსახლეობას?! ან რას ეძახით თქვენ არსებობას?!





## ცნობილი პოლიტოლოგის პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც ზედმიწევნით ასრულდა 8

„პარტიული ლიდერები ვერ ახერხებენ სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას ან მალე კარგავენ მას. პარტიები, პარტიული გუნდები ყალიბდება არა ქვეყნის განვითარების იდეების რეალიზაციისთვის, არამედ ადამიანთა ჯგუფის მომგებიანი დასაქმების მიზნით. პოლიტიკა ბიზნესი გახდა“



## ათონის ბერების მიმართვა მსოფლიო პატრიარქს 14



## ჰილარი კლინტონის სადიპლომო ნაშრომი: «ლუციფერი, როგორც დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ერთ-ერთ პირველი მებრძოლი» 15

## პუტინი, ტრამპი და გლობალური ფსიქოთერაპია 11



არაადეკვატურები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა თანხმდება, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთთან დიალოგის გარეშე გამორიცხულია. ჰოდა, კაცს რომ აგინებ და მერე ეუბნები: სალაპარაკოდ დამიჯექიო, როგორ განწყობაზე იქნება?! თუ რუსეთის სულგრძელობის იმედი გვაქვს და იმისიც, რომ გვაპატიებს და უკანალგადმოგდებულ ხალხს არ გაგვიხსენებს?! იქნებ ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ რუსეთთან მისასვლელი ყველა ხიდი დავწვათ, რადგან ამერიკასა და ევროპას სწორედ იმის ეშინია, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარმა ქართულმა და რუსულმა მხარეებმა კონსენსუსს მიაღწიონ და ხომ ჩაფლავდა მერე რუსეთის მტრად გამოცხადების საუკუნის გეგმა?!**

# რუსეთი გვინდობს და არ ცდილობს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვას, თუმცა საამისო მიზეზი არაერთხელ მივეცით

**წინასაარჩევნოდ გრძელდება ამომრჩევლისა და ჩრდილოელი მეზობლის ნერვებზე თამაში. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, რა დავარქვა იმ ისტერიკას, რომელიც კონკრეტულად შიდა ქართლში ხდება და რატომ ჰგონია ხელისუფლებას, რომ რუსეთს მოთმინების ძაფი არ გაუწყდება. ის, რომ რუსეთს იწვევენ, ისე აშკარაა, რომ აქამდე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, ახლა კი ყველაფერი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, უკანალისკენ წავიდა. მოდი, ქრონოლოგიურად მივყვეთ.**

სოფელ ატოცთან გადმოწეული საზღვრის სანახავად ჯერ რიგითი მოქალაქეები ჩავიდნენ, შემდეგ — არასამთავრობო სექტორი, მერე — პრეზიდენტობის კანდიდატი **სალომე ზურაბიშვილი.** სხვათა შორის, ქალბატონ სალომეს ატოცში, რუსი ჯარისკაცების ნაცვლად „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები დახვდნენ და „უნამუსო ჩათლაშკა“ უძახეს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ზურაბიშვილის თანმხლებნი გულში მჯიღს იცემდნენ და რუსეთის ბაზებისკენ ხელებს შლიდნენ, ზურაბიშვილს საზღვრის პირობითი ზოლიც გადააკვეთინეს, — აქაოდა, ნახეთ, ჩვენი კანდიდატი რა გამბედავიაო, მაგრამ, როცა სააკაშვილის ბიბლიოთეკის პიარმენეჯერმა **ლანა ღვინჯილიამ** სალომეს თავზე „დაახურა“, გამბედაობა სადღაც გაქრა და ისინი, უბრალოდ, გაიძურწნენ.

აი, ამ ყველაფრის კულმინაცია სასაზღვრო ზოლთან „გირჩის“ წარმომადგენელთა ჩასვლა იყო. **კი არსებობდა ეჭვი, რომ თრიაქით ოფიციალურად გაბრუებული „გირჩელები“ რაიმე დიდ სისულელეს ჩაიდენდნენ, მაგრამ, თუ ასე „გამოუკანალდებოდნენ“, ნამდვილად არავის ეგონა. მოკლედ, მივიდნენ „გირჩის“ „ვაჟკაცები“ საზღვართან, ჩაიხადეს შარვლები და რუს ჯარისკაცებს შიშველი უკანალები მიუშვირეს. პერფომანსად მონათლულმა ამ პროვოკაციამ ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია „გირჩის“ მხარდამჭერებში, რომ ენაგადმოგდებულებმა და დუჟმორეულებმა ტაშიც დასცხეს, ხელებიც იქნიეს რუსების მხარეს და „შარვალჩახდილები“ დაუბრუნდნენ დედაქალაქს.**

ეს ყველაფერი არ არის. პარალელურად სოციალურ ქსელებსა თუ ტელევიზიებში ტრიალებს ვიდეოჩანაწერი, რომელშიც **მიხეილ სააკაშვილი**, პრაქტიკულად, აღიარებს, რომ 2008 წელს ომი თვითონ დაიწყო, ამასვე აღიარებს „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი **პაატა დავითაიაც**, რომელიც მაშინ სააკაშვილის წინააღმდეგ იბრძოდა და აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე იყო, ახლა კი სააკაშვილის გუნდის წევრია. ანუ, ცალკე „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, სალომე ზურაბიშვილს დაუმტკიცოს, რომ მის მიერ დაწერილი წიგნი ჰააგაში რუსებს მტკიცებულებად აქვთ ომის დაწყების თაობაზე, და ცალკე „ქართული ოცნება“ ცდილობს, ომის დაწყებაში სააკაშვილი დაადანაშაულოს.

რა გამოდის?! წინასაარჩევნოდ, მეორე ტურში გადასული კანდიდატები იმაზე კი არ ზრუნავენ, მოსახლეობას თავიანთი საარჩევნო პროგრამა გააცნონ — აუხსნან ამომრჩეველს, რის გაკეთებას აპირებენ და როგორ, არამედ იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომელს უფრო ეზიზღება რუსეთი. რატომღაც ორივე კანდიდატს ჰგონია, რომ, თუ რუსეთს უარყოფით კონტექსტში ახსენებს, ამით რეიტინგი მოემატება, რეალურად კი...

**ატოცში გამართული „პერფომანსის“ შემდეგ „გირჩის“ წევრებს საქართველოს მოსახლეობის თითქმის ასმა პროცენტმა დედა აგინა. შარვალჩახდილი და უკანალგადმოგდებული კაცების ნახვამ ყველა გააღიზიანა. ეგ კი არა, ვინც მანამდე ტაში დაუკრა, იმათაც გაკიცხვა დაიწყეს: ეს რა წესია, ასე როგორ შეიძლებაო. „გირჩმა“ ყველაფერი საინტერესოდ ახსნა: ჩახდილი უკანალი თავისუფლების სიმბოლოა, როცა შოტლანდიელები ინგლისელებს ებრძოდნენ, მაშინ უჩვენებდნენ უკანალსო.**

ჯერ **ერთი,** შოტლანდიელების ეროვნული სამოსი კილტია და ბრძოლის დროს შეიძლება ისე აფრიალდეს, უკანალი კი არა, ყველაფერი გამოჩნდეს; **მეორეც** — ეს ყველაფერი ერთ მხატვრულ ფილმშია ნაჩვენები და ისტორიული წყაროებით არ მტკიცდება; **მესამეც** — როგორ წარმოგიდგენიათ, მაგალითად, დიდგორის ბრძოლის წინ ქართველ მეომრებს რომ იგივე გაეკეთებინათ, რა მოხდებოდა და როგორ შევიდოდით ისტორიაში?!

პარალელურად, კანდიდატები ერთმანეთს იმაში ეჯიბრებიან, ვინ გაემიჯნება ბოლომდე რუსეთს და, რაც მთავარია, ამის ფონზე პირობას დებენ, რომ მაქსიმუმს გააკეთებენ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. რა გამოდის? **პრეზიდენტობის კანდიდატები გვპირდებიან, ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთო და მხარეს, რომელსაც უნდა ელაპარაკონ ამ ტერიტორიებზე, კიცხავენ, აგინებენ და ყველა მისასვლელ გზას საკუთარი ხელით იჭრიან. არის ეს თუ არა მორიგი და მთავარი ტყუილი დაპირებებში?** თუ ვალდებულება აქვს ორივე მხარეს აღებული ევროპასა და ამერიკასთან, რომ წინასაარჩევნო პროგრამის ფარგლებში რუსეთს აგინოს, რათა მათი მხარდაჭერა ჰქონდეთ?!

აგერ, ამერიკამ ვინმე **როს უილსონი** გამოუშვა საქართველოში, — დროებითი ელჩი იქნება, მერე სხვას დაგინიშნავთო. ნახევარ წელზე მეტია, ელჩი არ ჰყავთ ოფიციალურად დანიშნული, რაც პირდაპირ მიუთითებს არასერიოზულ დამოკიდებულებაზე. ან რისთვის სჭირდებათ?! ორ თვეში ერთხელ რომელიმე მაღალჩინოსანი ჩადის ამერიკაში და ისე უპატაკებს ხოლმე ამერიკულ მხარეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, თქვენი მოწონებული. იქიდანაც ახალი დირექტივებით დატვირთულები ჩამოდიან და ელჩის მოვალეობა სხვა კი არაფერია?! ასე რომ, ელჩობაც შევითავსეთ და ამერიკულ მხარეს კოჭს ვუგორებთ: ოღონდ თქვენ არ გაბრაზდეთ, ოკეანის გაღმიდან წამოსული გრანტები არ შეამციროთ და ყველაფერს ვაკადრებთო.

არადა, **ყველა თანხმდება, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რუსეთთან დიალოგის გარეშე გამორიცხულია. ჰოდა, კაცს რომ აგინებ და მერე ეუბნები, სალაპარაკოდ დამიჯექიო, როგორ განწყობაზე იქნება?! თუ რუსეთის სულგრძელობის იმედი გვაქვს და იმისიც, რომ გვაპატიებს და უკანალგადმოგდებულ ხალხს არ გაგვიხსენებს?! იქნებ ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ რუსეთთან მისასვლელი ყველა ხიდი დავწვათ, რადგან ამერიკასა და ევროპას სწორედ იმის ეშინია, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარმა ქართულმა და რუსულმა მხარეებმა კონსენსუსს მიაღწიონ და ხომ ჩაფლავდა მერე რუსეთის მტრად გამოცხადების საუკუნის გეგმა?!**

ვერ ვიტყვით, რომ ხელისუფლება ან ოპოზიცია ამას ვერ ხვდება, მაგრამ სირაქლემის პოზა აქვთ მიღებული (სირაქლემაც დაახლოებით ისეთ პოზაშია, როგორშიც „გირჩის“ აქტივისტები იყვნენ საზღვარზე) და არ სურთ, აღიარონ, რომ ამერიკასა თუ ევროპას ბოლომდე ემონებიან. სტრატეგიული პარტნიორის სახელის საფარქვეშ „პარტნიორები“ საქართველოს, უბრალოდ, წირავენ და არ აინტერესებთ, ათი თუ ოცი წლის შემდეგ ამ ტერიტორიაზე ვინ და როგორ იცხოვრებს. მათთვის მთავარი სწორედ ტერიტორიაა და არა ხალხი; ის ხალხი, რომელიც შიმშილით სულს ღაფავს, და რომელსაც აჯერებენ, რომ ამის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) მიზეზი სწორედ რუსეთია; ის რუსეთი, რომელიც საქართველოს მილიონამდე მოქალაქეს დღემდე კვებავს, ინახავს, სამშობლოში ფულს აგზავნინებს იმის მიუხედავად, რომ დილიდან დილამდე ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს რუსეთის ლანძღვაში ეჯიბრებიან.

ადრეც არაერთხელ ვახსენე და ახლაც გავიმეორებ: **არ გაინტერესებთ ხალხის რეალური განწყობა? იქნებ ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი და დაგვესვა ერთადერთი კითხვა: უნდა ესაუბროს თუ არა ქართული მხარე რუსეთს?** მაგრამ ამ რეფერენდუმს არავინ ჩაატარებს, რადგან არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ დადებითი პასუხი 90%-ს ასცდება და შემდეგ ხელისუფლება ველარ იტყვის, — სალაპარაკოდ არ წავალო. ხმამაღალი განცხადებებით ხელისუფლება თუ ოპოზიცია ხალხის რეალურ ნებას ნიღბავს და ევროპასა თუ ამერიკას აჩვენებს, რომ ერი რუსეთთან მოლაპარაკების წინააღმდეგია. ეს იმ პირობებში, როცა **იმავე ევროპამ და ამერიკამ ჩვენზე უკეთ იციან აქაური განწყობები და ამიტომ პერიოდულად, მეზობლის ლანძღვის გარდა, პროვოკაციულ ქმედებებსაც გვაიძულებენ, იქნებ ჩრდილოელი მეზობლის მოთმინების ძაფი გაწყდეს და ახალი კონფლიქტი დაიწყოს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საქართველოში გამოსაგზავნი წყლითა და პამპერსებით სავსე გემი ევროპის რომელიმე ქალაქის პორტში, კარგა ხანია, დგას.**

ზამთარი მოდის და, როგორც წესი, ასეთ დროს ევროპა რუსეთის მისამართით კრიტიკულ განცხადებებს ამცირებს, რადგან ბებერი კონტინენტი სწორედ რუსული ბუნებრივი აირით თბება და, გაბრაზებულმა რუსეთმა გაზი რომ გადაკეტოს, ევროპელებს გადარჩენის პრობლემა შეექმნებათ. სამაგიეროდ, ჩვენ არ ვნებდებით და ზამთარ-ზაფხულ ვცდილობთ რუსეთის გაღიზიანებას; ვცდილობთ, პროვოკაციაზე წამოვაგოთ და მერე ერთმანეთს დავაბრალოთ: არა, შენ უფრო ადრე დაიწყე ომი, არა — შენო. **ხომ ფაქტია, რომ რუსეთი გვინდობს და არ ცდილობს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვას, თუმცა საამისო მიზეზი არაერთხელ მივეცით.** თუნდაც ბოლო გამოხდომა რად ღირდა, რომელიც ხელისუფლებიდან არავინ დაგმო, მხოლოდ ხალხმა, რიგითმა ადამიანებმა გააპროტესტეს, მაგრამ, რიგითებს არავინ რომ აღარ უსმენს, ესეც ფაქტია.

**ბესო ბარბაქაძე**



**კანდიდატები ერთმანეთს იმაში ეჯიბრებიან, ვინ გაემიჯნება ბოლომდე რუსეთს და, რაც მთავარია, ამის ფონზე, პირობას დებენ, რომ მაქსიმუმს გააკეთებენ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. რა გამოდის?! პრეზიდენტობის კანდიდატები გვპირდებიან, — ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთო, და მხარეს, რომელსაც უნდა ელაპარაკონ ამ ტერიტორიებზე, კიცხავენ, აგინებენ და ყველა მისასვლელ გზას საკუთარი ხელით იჭრიან. არის ეს თუ არა მორიგი და მთავარი ტყუილი დაპირებებში?**



„შარვალჩახდილები“

**თუ საბოლოოდ ის ბედი გვიწერია, რომლისკენაც მიდის ყველაფერი და რომლის ალბათობაც ახლა არსებობს, მაშინ სჯობდა, ივანიშვილს მართლა დაეყენებინა 2012-ში ერთი ადგილი და არ გამოჩენილიყო არც პოლიტიკაში და არც საზოგადოებრივ ასპარეზზე. თუკი მოვლენები იმგვარი სცენარით განვითარდება, როგორიც ნაცებსა და გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერებს სურთ, მაშინ ფაქტია, რომ იმაზე გაცილებით უარეს შედეგებს მიიღებს ქვეყანა და ხალხი, ვიდრე 2012 წელს სააკაშვილის ხელისუფლებაში კიდევ რამდენიმე წლით დარჩენის შემთხვევაში მიიღებდა.**



**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**6 წელიწადია, ხელისუფლების წარმომადგენლები თითქმის ყოველ მეორე დღეს გვაყვედრიან, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილმა უკანალიდან „დუბინკები“ გამოგვაძრო და ამიტომ რაიმე კრიტიკულს თუ ვიტყვით მის წინააღმდეგ, უმადურები ვიქნებით, „ბიძინა რომ არ გამოჩენილიყო 2012 წელს, ახლაც წაკუზულები ვეყოლებოდით მიშას!“ და სხვა მსგავსი ფრაზები თქვენც ხშირად გექნებათ მოსმენილი, ძვირფასო მკითხველო.**




# ბოდიშების ქვეყანა, ანუ ვაშა ამ ახალ საქართველოს! ვაშა ბოდიშებს!

**მაგრამ მაინც, ყველაზე საოცარი იყო ის ბოდიშები, რომლებიც «ნაციონალური მოძრაობის» სახელით მოუხადა გრიგოლ ვაშაძემ მურმან დუმბაძეს, თაკო ჩარკვიანს, ლევან ბერძენიშვილს, ირაკლი ოქრუაშვილსა და სხვებს...**
**აი, ამას შეიძლება ეწოდოს, ასე ვთქვათ, «შედეგიანი ბოდიშები», რადგან ამ ბოდიშების შემდეგ ეს პერსონები ნაცების ბანაკში გადაბარგდნენ და ელვის უსწრაფესად გადაისხეს მათი «უტიფრობის» სისხლიც — სრულიად უსირცხვილოდ გვიმტკიცებენ: ჩვენ, «ნაციონალურ მოძრაობაში» და სააკაშვილთან კი არა, «გაერთიანებულ ოპოზიციაში» გადავედითო**

მართებულია თუ არა ხალხთან ასეთი ტონით საუბარი, მოდი, ახლა ამაზე ნუ ვიდავებთ, მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ, თუკი ბიძინა ივანიშვილსა და მის გუნდს არ შეეძლო სახელმწიფოს მართვა ისე, როგორც საჭიროა, და, **თუ საბოლოოდ ის ბედი გვიწერია, რომლისკენაც მიდის ყველაფერი და რომლის ალბათობაც ახლა არსებობს, მაშინ სჯობდა, ივანიშვილს მართლა დაეყენებინა 2012-ში ერთ ადგილი და არ გამოჩენილიყო არც პოლიტიკაში და არც საზოგადოებრივ ასპარეზზე.** თუკი ყოველივე იმგვარი სცენარით განვითარდა, როგორიც ნაცებსა და **გრიგოლ ვაშაძის** მხარდამჭრებს სურთ, მაშინ ფაქტია, რომ იმაზე გაცილებით უარეს შედეგებს მიიღებს ქვეყანა და ხალხი, ვიდრე 2012 წელს სააკაშვილის ხელისუფლებაში კიდევ რამდენიმე წლით დარჩენის შემთხვევაში მიიღებდა. კი ბატონო, მსხვერპლი კიდევ იქნებოდა, კიდევ არაერთი სამხედრო ავანტიურის მომსწრე შეიძლება გავმხდარიყავით და შესაძლოა, კიდევ ბევრი პატიმარი და უდანაშაულო ადამიანი ეწამებინათ, მაგრამ ადრე თუ გვიან რეჟიმი აუცილებლად დამარცხდებოდა, თანაც ისე, რომ არანაირი რევანშისა და მობრუნების შანსი აღარ დარჩებოდა. **ნაცებს საზოგადოება 2012-ში ვერა, მაგრამ 2016-ში მაინც აუცილებლად გაანადგურებდა, თანაც ისე, რომ ძირფესვიანად ამოძირკვავდა. სწორედ ამიტომ, თუკი ბიძინა ივანიშვილს არ აქვს უნარი, შეინარჩუნოს ხელისუფლება და გაუფრთხილდეს სახელმწიფოს, მას არც უნდა გადაედგა ის ნაბიჯი, რომელიც გადადგა და უნდა ეცლია ხალხისა და საზოგადოებისთვის. თუკი ნაცებმა ახლა მართლა შეძლეს დაბრუნება, მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნება, ვიდრე 2012 წელს მათი ხელისუფლებაში კიდევ რამდენიმე წლით დარჩენის შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო.**

ყოველივე ეს, ანუ რეალურად რისი უნარი აქვს ივანიშვილს და არის თუ არა მისი ხელისუფლება რეალურად უნიათო, არჩევნების მეორე ტურის შემდეგ გამოჩნდება. **იმედია, მეორე ტურამდე მშვიდობით მივალთ და ნაცებისა და მათი ქვეშევრდომი ტელევიზიების — „რუსთავი 2“-ისა და „ტვ-პირველის“ — მეცადინეობის მიუხედავად, რომ ქვეყანაში არჩევნების მეორე ტურამდე მოაწყონ პროვოკაციები და არეულობა, ხალხს მაინც მიეცემა არჩევნებზე თავისი პოზიციის მშვიდად გამოხატვის საშუალება.**

მანამდე კი განვიხილოთ ის ტრაგიკომიკური ამბები, რომლებიც ჩვენს ბედკრულ საქართველოში ვითარდება ბოლო ექვსწლეულის ყველაზე ცხელი არჩევნების მეორე ტურის წინ.

ყველაზე ტრაგიკომიკური თვით საარჩევნო კამპანიის ძირითადი ხაზია — კანდიდატები ერთმანეთს რუსეთის აგენტობას აბრალებენ. მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ყველაზე ნაკლები ყურადღება საარჩევნო დაპირებებს დაეთმო. ნაცვლად იმისა, რომ კანდიდატები ამომრჩეველს „ოქროს მთებს“ დაჰპირებოდნენ, როგორც ეს აქამდე ყველა არჩევნებზე ხდებოდა, ამჯერად კამპანიის თითქმის 90 პროცენტი მიაქვს იმის გარჩევას, ვინ უფრო რუსეთუმეა — ვაშაძე თუ ზურაბიშვილი.

უნდა ითქვას, რომ ეს ნაცების შემოგდებული „დღის წესრიგია“, რომელსაც „ქოცები“ დიდი ენთუზიაზმით აჰყვნენ, ანუ ზურაბიშვილის დადანაშაულებას კრემლის აგენტობაში კონტრბრალდებებით უპასუხეს და საარჩევნო კამპანია მათაც ამ ჭრილში გადაიყვანეს. ერთი მხრივ, ეს შეიძლება სწორიც იყოს, რადგან, როდესაც მოწინააღმდეგე ასეთ კოზირს თავისით გიდებს ხელში, ძნელია, მისი გამოყენების ცდუნებისგან თავი შეიკავო. ფაქტია: **გაცილებით მეტი და მსუყე საფუძველი არსებობს გრიგოლ ვაშაძის „რუსეთის კაცად“ მოსანათლავად, ვიდრე „ფრანგი“ სალომე ზურაბიშვილისთვის იმავე იარლიყის მისაწებებლად.**

მართლაც, გასაოცარია! **მოფიქრება ხომ უნდოდა ამას, რომ საბჭოთა „მგიმო“-ს (საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელიც საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის ამზადებდა კადრებს) კურსდამთავრებული, საბჭოთა „კა-გე-ბეს“ ოფიციალური თანამშრომელი, რუსული ენის „მშობლიურ ენად“ ამღიარებელი კაცი დააყენო პრეზიდენტობის კანდიდატად და საარჩევნო „პიარი“ თავიდან ბოლომდე მოწინააღმდეგისთვის „რუსეთის აგენტობის“ დაბრალებაზე ააწყო?**

წესით, თუ კამპანიის აწყობას აპირებ მოწინააღმდეგის „რუსეთუმეობაზე“ აპელირებით, მაშინ ოფიციალურ „კაგე-ბეშნიკ“ გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურა არ უნდა დააყენო და, თუ ამ კანდიდატურას აყენებ, მაშინ „რუსეთუმეობაზე“ ლაპარაკს თავი უნდა დაანებო.

მაგრამ ნაცები რისი ნაცები არიან?! მათ ყველაფერი შეუძლიათ. ტერიტორიების დაკარგვის მიუხედავად, ომის მოგებაც კი! **სხვათა შორის, ნაცებმა იმდენი მოახერხეს, რომ სოხუმისა და ცხინვალის დაკარგვასაც, ფაქტობრივად, „ქართულ ოცნებას“ აბრალებენ, თვითონ კი შარვლის ჩახდისა და უკანალის გამოჩენის მეთოდით „პატრიოტებად“ მოაქვთ თავი.**

გასაოცარი ბევრი რამ ხდება ნაცების ხელში. თუნდაც ის რად ღირს, რომ ამას წინათ თბილისის მერობის კანდიდატად წამოყენებულ „ნაც-ევროპელ“ **ელენე ხოშტარიასაც** სწორედ „მგიმოს“ დიპლომი ჰქონია.

საოცრებაა ისიც, რომ ნაცების ზოგიერთი მხარდამჭერი დიდი მონდომებით მოითხოვს „ლუსტრაციის კანონის მიღებას“. როგორც ჩანს, აათ ლუსტრაცია მართლა ჭაღთან დაკავშირებული რამ ჰგონიათ. აბა, როგორი ლოგიკაა, რომ **საკუთარ რიგებში ამდენი მგიმოსდიპლომიანი პერსონის მყოლი ორგანიზაცია „ლუსტრაციას“ ითხოვდეს?** აკი, ლუსტრაცია იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებთან კავშირში მყოფი ადამიანების შესახებ დაფარული ინფორმაცია გასაჯაროვდეს, გამოქვეყნდეს და პირებს, რომლებსაც რაიმე კავშირი ჰქონიათ საბჭოთა „კა-გე-ბესთან“, აეკრძალოთ, როგორც სახელმწიფო თანამდებობების დაკავება, ასევე ნებისმიერი სახის არჩევნებში მონაწილეობა. **გრიგოლ ვაშაძე და ელენე ხოშტარია კი, არათუ „ფარული“, არამედ საბჭოთა „კა-გე-ბესთან“ ღიად და ოფიციალურად დაკავშირებული პირები არიან. „ლუსტრაციის კანონი“ რომ ახლა ძალაში იყოს, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი არათუ ვერ მოიგებდა საპრეზიდენტო არჩევნებს, არამედ მონაწილეობასაც კი ვერ მიიღებდა მასში.** მართლაც აუხსნელი ფენომენია, როდესაც ოფიციალური „კაგე-ბეშნიკის“ მომხრეები ლუსტრაციას ითხოვენ. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთიღა გვრჩება — ყველამ ერთად გავიმგიმო-თ და ისე გადავიღოთ სურათი, ჩვენი ახალი პრეზიდენტი „გამოფრინდება“.

გასაღიმებელი კიდევ ბევრია ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, ბოდიშების ის კასკადი, რომელსაც საქართველო ბოლო ერთი წელიწადი ისმერნს, ამ წინასაარჩევნოდ უფრო გახშირდა და გაძლიერდა. თანაც უკვე ველარც გაარკვევ, ვინ ვის რისთვის უხდის ბოდიშს და ეს „ბოდიშმოხდილები“ და „ბოდიშმომხდელები“ რატომ და რით არიან ასეთი ბედნიერები.

„ბოდიშის კულტურის“ დამკვიდრებაში ვერავინ შეეცილება, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა მინისტრ **გიორგი გახარიას.** მან რამდენიმე თვის წინათ საჯაროდ მოუხადა ბოდიში ნარკომანებს და იმის შემდეგ ჟურნალისტებთან ლამის ყოველ შეხვედრას „ბოდიშით“ იწყებს და ამთავრებს. აღსანიშნავი იყო **ბიძინა ივანიშვილის** ბოდიშიც „ვერდაფასებული თუ არდაფასებული ყოფილი თანამებრძოლების“ მიმართ. გულისამაჩუყებელი იყო **მიშა სააკაშვილის** ბოდიშიც იმის გამო, რომ პრეზიდენტობის დროს „უპრაგონოდ“ და უსამართლოდ ართმევდა ადამიანებს კერძო საკუთრებას და ცრემლებამდე მიგვიყვანა **გიგი უგულავას** ბოდიშმა 7 ნოემბრის გამო.

მაგრამ მაინც, ყველაზე საოცარი იყო ის ბოდიშები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით მოუხადა **გრიგოლ ვაშაძემ მურმან დუმბაძეს, თაკო ჩარკვიანს, ლევან ბერძენიშვილს, ირაკლი ოქრუაშვილსა** და სხვებს...

აი, ამას შეიძლება ეწოდოს, ასე ვთქვათ, „შედეგიანი ბოდიშები“, რადგან ამ ბოდიშების შემდეგ ეს პერსონები ნაცების ბანაკში გადაბარგდნენ და ელვის უსწრაფესად გადაისხეს მათი „უტიფრობის“ სისხლიც — **სრულიად უსირცხვილოდ გვიმტკიცებენ: ჩვენ, „ნაციონალურ მოძრაობაში“ და სააკაშვილთან კი არა, „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ გადავედითო.**

წარმოუდგენელი უნამუსობაა მათი ერთნაირი განცხადებებიც: „კი, ჩვენ ამ პარტიასა და მის ლიდერებთან გვქონდა გარკვეული უთანხმოებები, მაგრამ, როდესაც ბოდიშს გიხდიან, ადამიანს მიტევება უნდა შეგეძლოსო!“

ანუ, „მე მომიხადეს ბოდიში და სხვა სულ ფეხებზე მკიდია, ვის აწამებდნენ, ვის კლავდნენ და ვის უნგრევდნენ ცხოვრებას“-ო, — ასე გამოდის ამ პერსონების „ფილოსოფიიდან“

თურმე პირადი ბოდიში ყოფილა „წამალი“, როდესაც გაგიტაცებენ და თავ-პირსა და ნეკნებს გაგიერთიანებენ (მურმან დუმბაძე), როცა ოჯახს აგიწიოკებენ, შენს მოხუც მამას მასხრად აიგდებენ და ქვეყნის დასაცინად გახდიან (თაკო ჩარკვიანი), როცა საჯაროდ დაგაბრალებენ სამშობლოს ღალატს და გამოგაჭენებენ, როგორ ათანხმებ მტერთან შენი ქვეყნის დასაღუპავ გეგმას (ლევან ბერძენიშვილი), როცა მორალურად ისე გაგანადგურებენ, რომ ამხელა კაცს ვიდეოკამერის წინ დაგსვამენ და გაიძულებენ, „მონანიების“ ტექსტი იბლუყუნო სახეწაშლილმა (ირაკლი ოქრუაშვილი). თურმე ყოველივეს დასავიწყებლად და იმ ადამიანების გვერდით დასადგომად, რომლებმაც ეს ყველაფერი გაგიკეთეს, ერთი ჩვეულებრივი ბოდიშის მოხდა ყოფილა საკმარისი.

ესეც, როგორც ჩანს, იმ „ახალი საქართველოს“ დამახასიათებელი შტრიხია, რომლის აშენებასაც „კა-გებეშნიკი“ ვაშაძე და მისი მხარდამჭერები გვპირდებიან. ჰოდა, რადგან გვარიც ხელს უწყობს, მოდი ერთხმად შევძახოთ არჩევნების მეორე ტურის წინ: ვაშა ამ ახალ საქართველოს! ვაშა ბოდიშებს!

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



7 ნოემბერს ჩატარებულმა აქციამ და სხვა ღონისძიებებმა ნათლად აჩვენა, რომ ხელისუფლება პასიური ამომრჩევლების მობილიზებას, უპირველესად, თბილისში ცდილობს. ადგილობრივ საზოგადოებას, განსაკუთრებით ცენტრალურ უბნებში, სააკაშვილი არასოდეს მოსწონდა და (არსებითად) მიიჩნევდა, რომ მის მიმდევრებს სოციალური პირამიდის ამოყირავება სურთ. მთავარი გამაერთიანებელი იდეა ამ შემთხვევაში არის არა სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა, არამედ მისი კონკურენტის (და სააკაშვილის სასტიკი რეჟიმის რესტავრაციის) შეჩერება.

# ძველი გვარდიის ახალი თავგადასავლები

**ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური და დაპირისპირებული ძალები ცდილობენ, მომხრეების მაქსიმალური მობილიზება უზრუნველყონ. „ნაცმოძრობის“ მთავარი ამოცანა იმ ამომრჩევლების უმტკივნეულო გადაბირებაა, რომლებმაც პირველ ტურში დავით ბაქრაძეს მისცეს ხმა. ეს არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. „ქართული ოცნებისთვის“ კი ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია იმედგაცრუებული მხარდამჭერების კონსოლიდაცია. ივანიშვილის გახმაურებული მიმართვა და თანმდევი ღონისძიებები სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.**



**მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური ნიუანსი — ივანიშვილმა არა ძველი ოპოზიციური მოძრაობის, არამედ «ქართული ოცნების» «გვარდიას» მიმართა და სწორედ მისი წარმომადგენლები გამოეხმაურნენ. არადა, კრიტიკული სიტუაცია, ალბათ, მოითხოვდა, იმ ადამიანებისთვის მიემართა, რომლებიც სააკაშვილს «ოცნების» შექმნამდე ებრძოდნენ და ამისთვის გასამრჯელო არ მოუთხოვიათ — მათი იდეალიზმი გაცილებით წონიანი სამობილიზაციო რესურსია, ვიდრე პარტიული მუშაკების მერკანტილური გათვლები**

სულ რაღაც ერთი თვის წინათ **გიგი უგულავამ** ასე მიმართა **მიხეილ სააკაშვილს**: „ვინც მხოლოდ ძალაუფლებისთვის იბრძვის, ის სამუდამოდ დაკარგავს მას. ისტორიას კი გაუთავებელ „მე, მე, მე, მე“-ს შემოუნახავთ, როგორც ექსპონატს ადამიანური და პოლიტიკური დეგრადაციის“. ეხლა კი, როდესაც გასულ კვირას ერთმანეთს ფინეთის დედაქალაქში შეხვდნენ, ეს ეპიზოდი არ გახსენებიათ და ყველანაირად ცდილობდნენ ხაზი გაესვათ იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიან.

მათი მოწინააღმდეგეებისთვის გასაკვირი ამაში არაფერია. ისინი ყოველთვის ამბობდნენ, რომ ეს ორი პარტია „ერთი და იგივეა“, ხოლო მათი გაყოფა — პოლიტიკური თამაში, მაგრამ იმ (თითქმის) 175 ათას ხმას შორის, რომელიც დავით ბაქრაძემ პირველ ტურში მიიღო, არის იმ ამომრჩევლების ხმებიც, რომლებსაც არ სურთ „ნაცმოძრაობასთან“, გრიგოლ ვაშაძესა და მის წარსულთან საერთო ჰქონდეთ. მათი ნაწილი ლიბერალური ორიენტაციის ე.წ. შუაშისტია, ნაწილმა კი თავის დროზე დაპირისპირება „ნაცმოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“ შორის სრული სერიოზულობით აღიქვა. ის ხშირად „მოდელირებულ“ ხასიათს ატარებდა და, უპირველესად, „ევროპულ საქართველოს“ სჭირდებოდა, რათა საკუთარი თავის, როგორც დამოუკიდებელი ძალის, პოზიციონირება მოეხდინა, მაგრამ მყისიერმა „ჩახუტებამ“ „ევრონაციონალების“ რიგებში მაინც გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია.

„ევროპული საქართველოს“ გორის ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა და გორის საკრებულოს წევრმა — **ზვიად საბანაძემ,** ათამდე სხვა აქტივისტთან ერთად, პარტიის რიგები დატოვა: **„ჩემთვის ცნობილი იყო, რომ „ევროპულ საქართველოს“ არანაირი კავშირი აღარ ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“, მაგრამ ყველაფერს ფარდა აეხადა. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის მიუღებელია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად მუშაობა და ვტოვებთ „ევროპულ საქართველოს“.** ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ეპიზოდია, მაგრამ, საბანაძის გარდა, ასე შეიძლება სხვებიც ფიქრობდნენ და ეს ამა თუ იმ ფორმით ვლინდება კომენტარებში, რომლებიც მედიასა და სოცქსელებში კეთდება.

„ევროპული საქართველოს“ ლიდერებმა ბევრი დრო და რესურსი დახარჯეს იმის დასამტკიცებლად, რომ მათი პარტია „ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებული ძალაა. „ჩახუტების პოლიტიკა“ ამ მხრივ სადღაც უკან, დაახლოებით 2017 წლის პირველ ნახევარში, აბრუნებს, როდესაც მათ პარტიას „ცალკე მოვლენად“ არ აღიქვამდნენ. ამიტომ ისინი გამუდმებით იმეორებენ, რომ ალიანსი „ნაცმოძრაობასთან“ დროებითია და ღირებულებებზე უარის თქმას არ გულისხმობს. გასულ კვირას ბოკერიამ თქვა, რომ მათი მთავარი მიზანი არის „მეორე ტურში გრიგოლ ვაშაძის გამარჯვება, რომელსაც საარჩევნო რეფორმა და პროპორციულ სისტემაზე გადასვლა უნდა მოჰყვეს, რათა არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ჰქონდეს ისეთი ძალაუფლება, როგორიც ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და, მით უმეტეს, **ივანიშვილს** დღეს. ეს თქვა გიგი უგულავამ და ეს პოზიცია არაერთხელ დავიკავეთ საჯაროდაც. ამის შემდეგომ „ევროპული საქართველო“ და „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ ოპონენტები იქნებიან, ერთმანეთს კონკურენციას გაუწევენ და შემდეგ ქართველი ამომრჩეველი გადაწყვეტს, ვინ იქნება ხელისუფლებაში და ვინ — ოპოზიციაში“.

„ევროპული საქართველო“, სავარაუდოდ, არ წავიდოდა მისი იმიჯისთვის საზიანო „ჩახუტებაზე“, გამარჯვებისა და ხელისუფლებაში დაბრუნების იმედი რომ არ ჰქონოდა ზემოთ ჩამოთვლილი სამი ეტაპის გავლის შემდეგ: **ა)** ვაშაძის გამარჯვება; **ბ)** პროპორციულ სისტემაზე გადასვლა; **გ)** საპარლამენტო არჩევნების მოგება. ბოლო შემთხვევაში, სავარაუდოდ, იგულისხმება „ნაციონალური პარტიების“ მიერ ხმების 50%-ზე მეტის მიღება, რაც მთავრობის ფორმირების შესაძლებლობას მისცემს. საინტერესოა ბოკერიას განცხადების დასკვნითი ნაწილიც („ვინ იქნება ხელისუფლებაში და ვინ — ოპოზიციაში“). ბოლო პერიოდში ნაციონალები ორივე ბანაკიდან არცთუ იშვიათად, დიდი მონდომებით აღწერენ სოცქსელებში ალტერნატიულ რეალობას „გამარჯვების შემდეგ“ და „ფაქტობრივ ორპარტიულობას“ „ნაცმოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ დომინირებით. ალბათ იგულისხმება, რომ ერთი მემარჯვენე-პოპულისტურ ლოზუნგებს გამოიყენებს, მეორე კი — ლიბერალურს, ხოლო „ქართული ოცნება“ მარცხის შემდეგ დაიშლება. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამ ვარიანტს ნაციონალები რეალურად მიიჩნევენ და ვარაუდობენ, რომ „ოცნება“ „მოქალაქეთა კავშირის“ მსგავსად აორთქლდება, ხოლო სხვა, მათგან დამოუკიდებელ, ძლიერ (განსაკუთრებით კი კონსერვატიულ) პარტიას, უბრალოდ, შექმნისა და გაძლიერების შესაძლებლობას არ მისცემენ. კაცმა რომ თქვას, ვაშაძის გამარჯვების შემთხვევაში, ნამდვილად არაა გამორიცხული, პროცესი ადრე თუ გვიან ისეთი შედეგით დაგვირგვინდეს, რომელიც ცოტა ხნის წინათ საზოგადოების უდიდეს ნაწილს წარმოუდგენლად მიაჩნდა.

იმ პარტიის ლიდერმა კი, რომელმაც საქმე აქამდე მიიყვანა, გასულ კვირას მოსახლეობას დაშვებული შეცდომებისთვის, ფაქტობრივად, პატიება სთხოვა, მნიშვნელოვანი ცვლილებები დააანონსა და „ძველ გვარდიას“ მიმართა, „მათ, ვინც შეუძლებელი შეძლეს 2012 წლის იმ ისტორიულ დღეებში“: **„საქართველოს კიდევ ერთხელ დასჭირდა თქვენი ერთგულება და გამოცდილება, თქვენი სამოქალაქო გმირობა. მე ვიცი თქვენი გულისტკივილი, მე ვიცი თქვენი გაბრაზების ყველა მიზეზი. გაძლევთ პირობას, რომ ყველა პატრიოტი იპოვის საკუთარ ადგილს თავისი დამსახურების მიხედვით ჩვენს ერთიან ოჯახში, არავის ღვაწლი არ დარჩება უყურადღებოდ“**, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ეს განცხადება მიუთითებს იმაზე, რა ძალებზე დაყრდნობას ცდილობს ივანიშვილი და რა მოტივების მიმართ აპელირებს. კარგად ჩანს, რომ ის, უპირველესად, იმ აქტივისტებს მიმართავს, რომლებიც გაღიზიანებული არიან იმის გამო, რომ გამარჯვების შემდეგ პარტიამ ისინი არ დაასაქმა, მატერიალური პრობლემები არ მოუგვარა და არა იმ იდეალისტებს, რომლებსაც ეს არ აინტერესებდათ და სააკაშვილის რეჟიმს მისი არაადამიანური ბუნების გამო ებრძოდნენ. შემდგომმა მოვლენებმა სიტუაცია კიდევ უფრო ტრაგიკომიკური გახადა. თბილისის ყოფილმა მერმა **დავით ნარმანიამ** განაცხადა: „არასოდეს დამიტოვებია გვარდია!“ და ათასობით ადამიანმა, რომელმაც ძველ რეჟიმთან ბრძოლაში თავი არ დაზოგა, ალბათ, გაიფიქრა, რომ ეს რაღაც სხვა გვარდიაა და მასთან საერთო არაფერი აქვთ. ამას დაემთხვა ასპარეზზე **გიორგი კვირიკაშვილისა** და **ირაკლი ღარიბაშვილის** გამოჩენა, დაბალი და საშუალო რგოლის პარტმუშაკების გააქტიურება და ა.შ.

აქ მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური ნიუანსი — ივანიშვილმა არა ძველი ოპოზიციური მოძრაობის, არამედ „ქართული ოცნების“ „გვარდიას“ მიმართა და სწორედ მისი წარმომადგენლები გამოეხმაურნენ. არადა, კრიტიკული სიტუაცია, ალბათ, მოითხოვდა, იმ ადამიანებისთვის მიემართა, რომლებიც სააკაშვილს „ოცნების“ შექმნამდე ებრძოდნენ და ამისთვის გასამრჯელო არ მოუთხოვიათ — მათი იდეალიზმი გაცილებით წონიანი სამობილიზაციო რესურსია, ვიდრე პარტიული მუშაკების მერკანტილური გათვლები. **ზოგიერთმა „ძველგვარდიელმა“ ლამის პირდაპირ ეთერში დაიწყო ივანიშვილთან ვაჭრობა და მიანიშნებდა, რის სანაცვლოდ დაეხმარება მმართველ პარტიას.** მთლიანობაში, ეს იყო გასროლა სწორი მიმართულებით, მაგრამ ტყვია მიზანს ასცდა, შესაძლოა იმიტომ, რომ ივანიშვილი დღესაც კი „2012 წლის იდეალისტებს“ შიშით და უნდობლობით უყურებს, რადგან გრძნობს, რომ მათ ბოლომდე ვერასოდეს გააკონტროლებს. აღსანიშნავია, რომ 2016-17 წლებში სწორედ ამ ადამიანების კრიტიკამ შექმნა წინაპირობები ხელისუფლების რეიტინგის დაცემისთვის, რადგან „ქართული ოცნების“ ძველი ამომრჩეველი არ ენდობოდა „ნაციონალების“ პროპაგანდას, მაგრამ უსმენდა მათ, ვისაც თანამებრძოლად თვლიდა.

**7 ნოემბერს ჩატარებულმა აქციამ და სხვა ღონისძიებებმა ნათლად აჩვენა, რომ ხელისუფლება პასიური ამომრჩევლების მობილიზებას უპირველესად თბილისში ცდილობს. ადგილობრივ საზოგადოებას, განსაკუთრებით ცენტრალურ უბნებში, სააკაშვილი არასოდეს მოსწონდა და (არსებითად) მიიჩნევდა, რომ მის მიმდევრებს სოციალური პირამიდის ამოყირავება სურთ. მთავარი გამაერთიანებელი იდეა ამ შემთხვევაში არის არა სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა, არამედ მისი კონკურენტის (და სააკაშვილის სასტიკი რეჟიმის რესტავრაციის) შეჩერება. ნაციონალები, როგორც ჩანს, ხედავენ, რომ ხელისუფლების პროპაგანდა ამ მიმართულებით ასე თუ ისე მუშაობს, ამიტომ თითქმის ყოველდღე ირწმუნებიან (ვაშაძე იქნება, ბოკერია თუ სხვა), რომ ძველი რეჟიმი არ დაბრუნდება და ახალ ხელისუფლებას განსხვავებული ფორმატი და მართვის სტილი ექნება.**

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ამ შემთხვევაში სწორი მიმართულებით მიდის (ამას უნდა დავუმატოთ ახალი სოციალური პროგრამების დააანონსებაც) მთლიანობაში მისი კამპანია კვლავინდებურად მოუქნელია, მას ბევრი შეცდომა ახასიათებს. ვერაფერს ვიზამთ — **ნეპოტიზმით შედუღაბებული კლეპტოკრატიული „ვერტიკალი“, უბრალოდ, ვერ ქმნის კრეატიულ იმპულსებს და უპირატესობის მიღწევას ისევ და ისევ ჭარბი რესურსების ხარჯზე ცდილობს.** ძნელია, ამას უწოდო სხვა რამ, პოლიტიკური იმპოტენციის გარდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე „ქართული ოცნების“ კანდიდატის შანსები ოდნავ უფრო მაღალი ჩანს, სტრატეგიულად ივანიშვილის პარტია მარცხდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის „ინერციით“ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს მოიგებს, მისი პერსპექტივები პოსტსაარჩევნო კვირებში და საზოგადოდ 2018-20 წლების პერიოდში ფრიად არასახარბიელოდ გამოიყურება.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართველ ხალხს ივანიშვილისა და სააკაშვილის მოცილება თუ სურს, ამ მიზნისკენ მიმავალი უმოკლესი გზა სალომე ზურაბიშვილის არჩევაა, მაგრამ თუ ივანიშვილისა და სააკაშვილის ტანდემისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება უნდა, ამ მიზნისკენ გრიგოლ ვაშაძის არჩევა მიდის“.**

# რას გადაწყვეტს ქართველი ხალხი

**2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა მეორე ტურის დანიშვნის აუცილებლობა გამოიწვია. საზოგადოების ერთი ნაწილი დარაზმულია იმისთვის, რომ ყოფილი მმართველების, ნაციონალების, ხელისუფლებაში დაბრუნება არ მოხდეს; ამომრჩეველთა ნაწილი კი ამბობს, რომ არჩევნებზე არ წავა... დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ახლა რიგით მეხუთე პრეზიდენტს ვირჩევთ. გადავხედოთ არჩევნების ტენდენციას, როგორი იყო ამ წლების განმავლობაში ამომრჩეველთა პროცენტული მაჩვენებელი:**
**1990 წელი: ზვიად გამსახურდია — 87%;**
**1995 წელი: ედუარდ შევარდნაძე – 74%;**
**2000 წელი: ედუარდ შევარდნაძე — 79%;**
**2004 წელი: მიხეილ სააკაშვილი — 96%;**
**2008 წელი (რიგგარეშე): მიხეილ სააკაშვილი — 53%;**
**2013 წელი: გიორგი მარგველაშვილი — 62%;**
**2018 წელი: ?**
**რა სურს ქართველ საზოგადოებას? ვის და რის მოლოდინშია ამომრჩეველთა 50 პროცენტზე მეტი? ვინ შეიძლება იყოს მესამე ძალა, რომელსაც მხარს დაუჭერენ? — ამ მნიშვნელოვან საკითხებზე, გარდა საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებისა, რიგით მოქალაქეებსაც ვესაუბრეთ.**



## „მესამე პოლიტიკური ძალა ისტორიის სანაგვეზე მოისვრის ივანიშვილსაც და სააკაშვილსაც, როგორც ნათელი მომავლის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს“

**დავით გოგიშვილი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, იუმორისტი:**

— უნდა გაკეთდეს მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაკეთდეს სწორი დასკვნა — რა უნდა არჩევნების პირველ ტურში არგამოცხადებულ ამომრჩეველს, რა იყო მთავარი საფუძველი და მოტივაცია არჩევნების ბოიკოტისა და რა გახდა საფუძველი „ქართული ოცნების“ ძველი ამომრჩევლის ნაწილის მიერ „ნაციონალური მოძრაობისათვის“ ხმის მიცემისა. ნაციონალებს არც ერთი მონაცემით არ აქვთ ისეთი სასტარტო მდგომარეობა და პოლიტიკური საგარეო თუ საშინაო მხარდაჭერა, როგორიც ჰქონდათ 2003 წელს ხელისუფლებაში მოსვლისას. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ უუნარობითა და სუსტი მმართველობით იმედგაცრუებული და ნაციონალების „ძლიერი ხელის“ მომლოდინე ამომრჩეველი მიიღებს ორმაგ იმედგაცრუებას, მეტიც: ხელისუფლებაში დაბრუნებულ ნაციონალებს სულ რამდენიმე თვეში თავზე დაემხობა ქვეყანა.

ეს არჩევნები „ნაციონალური მოძრაობისათვის“ არის ისტორიული შანსი, ერთი მხრივ, კიდევ უფრო გაიმყაროს საკმაოდ დაკნინებული და შესუსტებული მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი, კიდევ ერთხელ შეახსენოს მთავრობასა და ხალხს თავისი ადგილი და როლი ქართულ პოლიტიკაში, ხოლო, მეორე მხრივ, ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ ივანიშვილი „გაწეწონ“ ასტრონომიულ ციფრებში. **2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულმა პროცესებმა თვალნათლივ დაანახვა ქართველ საზოგადოებას მესამე ალტერნატიული პოლიტიკური ძალის არსებობის სასიცოცხლო მნიშვნელობა,** რომელიც იდილიას დაურღვევს ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის დღიდან დღემდე შეთანხმებულ-გარიგებულ ნაციონალურ-ოცნებურ ტანდემს, ხოლო პერსპექტივაში ისტორიის სანაგვეზე მოისვრის ივანიშვილსაც და სააკაშვილსაც, როგორც ქართველი ხალხის ნათელი მომავლის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს. ეს მზარდი სოციალური დაკვეთა ქართველი ხალხისა და საღად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების უმთავრესი სტრატეგიული მიზანი კარგად ესმის ივანიშვილსაც და სააკაშვილსაც, **ამიტომ ამ ორივე ცენტრის მიზანია, პოლიტიკური ველისა და სივრცის იმგვარად ოკუპირება, რომ არ დაუშვას იქ მათთვის უმთავრესი საფრთხის შემცველი მესამე პოლიტიკური ცენტრის გამოჩენა. საზოგადოების მეტად დასაზნევად საჭიროა ვითარების რაც შეიძლება მეტი ესკალაცია და ორმხრივი დრამატიზება, რათა შეუიარაღებელი თვალისთვის ძნელად გასაშიფრი გახდეს ამ ორი პოლიტიკური ძალის ნამდვილი ზრახვები.**

არ გამოვრიცხავ, რომ ამ პოლიტიკური ნიშის შესავსებად ივანიშვილმა შექმნას და დააფინანსოს ასეთი ე. წ. მესამე ძალა, მის მიერ მართული და მარიონეტული, ისევე, როგორც, მაგალითად, თავის დროზე სააკაშვილმა შექმნა ხელოვნური ოპოზიცია **გიორგი თარგამაძისა** და ქრისტიან-დემოკრატების სახით. სანამ ძლიერი მესამე პოლიტიკური ცენტრი არ გამოჩნდება ქართულ პოლიტიკაში, მანამდე მზარდი ტემპით გაგრძელდება ქვეყნის უკუსვლა და ახალგაზრდობის მიგრაცია საქართველოდან.



## „არჩევნებზე საერთოდ არ დავდივარ, რადგან ვთვლი, რომ ეს ხალხის გაბრიყვებაა“

**მერაბ ზურაბაშვილი — გურჯაანის მცხოვრები:**

— არჩევნებზე საერთოდ არ დავდივარ, რადგან ვთვლი, რომ ეს ხალხის გაბრიყვებაა, ვინც არჩევნებს ატარებს, ის დებს იმ შედეგს, რისი მიღებაც უნდა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ვატარებთ არჩევნებს, მაგრამ რომელი არჩევნები ჩატარდა ისე, რომ აყალმაყალი არ ყოფილიყო — მოგვატყუეს, გაგვიყალბეს და ა.შ. ასე რომ, არჩევნები ყალბდება და სანდო არ არის.

**ამ და წინა არჩევნებზე მისული ხალხის რაოდენობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არავის აღარ ენდობა.** არჩევნები რომ რამეს ნიშნავდეს, ხელისუფლებები მიხვდებოდნენ, ხალხს რა სურს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ეს არ აინტერესებთ.

**საზოგადოება ახალ ძალას ელოდება, ისეთს, რომელიც ხალხს მოუსმენს და არ იცრუებს. გაკეთდება კიდეც, მოიფიქრებს ხალხი რამეს.** უნდა გამოინახოს ფორმაცია, სადაც მშრომელი ადამიანის ინტერესები იქნება დაცული, შრომა ავითარებს ადამიანსაც და სახელმწიფოსაც, ამაზე არავინ ფიქრობს. **გადასახედია საგარეო კურსი. დასავლეთმა ჩვენ დაგვიმონა, შრომას გადაგვაჩვიეს, ფაბრიკა-ქარხნის აშენების საშუალებას არ გვაძლევენ. ჩვენ გვჭირდება ისეთი კურსი, ისეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, რომელთანაც თანასწორნი ვიქნებით, აღებ-მიცემობა გვექნება.**

გვჭირდება ისეთი იდეა, რომელიც გადაგვარჩენს და გლობალიზაციის პროცესსაც აუწყობს ფეხს.



## „ქართველი კაცი ბარომეტრივით არის: ყველაფერს გიჩვენებს და ზომავს, უბრალოდ, უნდა დაინახო“

**ივანე ბუჩუკური — თელავის მკვიდრი:**

— ხალხის სოციალური მდგომარეობა უმძიმესია, რაც ხელისუფლებას არ აინტერესებს. წლებია, ხალხს ვერაფერი დაანახვეს. მხოლოდ არასწორ საკადრო, საშინაო და საგარეო პოლიტიკას ვხედავთ, რაც იწვევს იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება აღარ გვსურს. ქართველი კაცი ბარომეტრივით არის: ყველაფერს გიჩვენებს და ზომავს, უბრალოდ, უნდა დაინახო...

ხელისუფლებები იცვლება თითქოს, მაგრამ ხალხისთვის არა, ჩვენთვის მხოლოდ სახელები და გვარები იცვლება.

ჩვენ გვჭირდება ძალა, რომელიც ილიასა და ერეკლეს გზას დაადგება. ეს ქართულია, ეს ხსნაა, შველაა. სხვა დანარჩენი დამღუპველია.

**რუსეთი ერთმორწმუნე სახელმწიფოა, ჩვენი დიდი მეზობელი. თუ გადარჩენა გვინდა, მასთან ახლო, მეგობრული ურთიერთობები უნდა გვქონდეს. რუსეთს რომ აგინებენ, იმის მეათედი თუ გაუკეთებიათ საქართველოსთვის, რაც ილიამ და ერეკლემ გააკეთეს?**



## „ბინძური ძალაა ივანიშვილ-სააკაშვილის ტანდემი, რომელიც ამერიკელებმა მოგვახვიეს თავს“

**ვალერი კვარაცხელია — ანალიტიკოსი:**

— ქართველი ამომრჩეველი და მთლიანად საზოგადოება სისტემური, ძირფესვიანი, რადიკალური ცვლილებებისთვისაა მომწიფებული, ვინაიდან დამოუკიდებლობის ვითომ მოპოვების შემდეგ ქვეყნის ნგრევამ და მოსახლეობის გაღატაკებამ ფორსირებული, ტოტალური ხასიათი მიიღო. უბედურებაა, რომ ხელისუფლება ხელთ უპყრია შავ ძალას და დათმობას არ აპირებს.

ბინძური ძალაა ივანიშვილ-სააკაშვილის ტანდემი, რომელიც ამერიკელებმა მოგვახვიეს თავს. ამ ტანდემის დანიშნულებაა ის, რომ ქართველების ულევი პოლიტიკური და საარჩევნო ენერგიის დახარჯვის საშუალება მუდმივად არსებობდეს, მაგრამ ეს მოზღვავებული ენერგია, ვითარების ქართველი ხალხის სასიკეთოდ შეცვლის ნაცვლად, ამერიკული რეჟიმის მარადიულად შენარჩუნების ვერაგულ გეგმას ხმარდებოდეს. სააკაშვილის დანაშაულებრივი და სისხლიანი მმართველობით შეწუხებული ნაწილი ამომრჩევლებისა ანთებულია ერთი პოლიტიკური სურვილით: სააკაშვილი არ მობრუნდეს ხელისუფლებაში, მაგრამ, როდესაც ეს ნაწილი სააკაშვილს ეუბნება მტკიცე უარს, იმავე წუთს ივანიშვილს უვარდება ხახაში, ვინაიდან ამ ორის გარდა, სხვა ორგანიზებული ძალა არ არსებობს. და პირიქით, ივანიშვილის მიერ ხალხისთვის მიცემული დაპირებების შეუსრულებლობით, მისი მთავრობის უნიათობითა და უმოქმედობით, ე.წ. კოაბიტაციით შეწუხებული ამომრჩევლის დიდი ნაწილი, რომელიც მას არ აძლევს ხმას, იმავე წუთს სააკაშვილს უვარდება ხახაში, ვინაიდან მხოლოდ ისაა ალტერნატივა. საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი ამერიკელთა წისქვილზე ასხამს წყალს, ვინაიდან ორივე ძალა აშშ-დან იმართება.

**— ორივე საპრეზიდენტო კანდიდატი ერთმანეთს რუსეთის აგენტობას რომ აბრალებს?**

— ენას ძვალი არ აქვს. რუსებს, მას შემდეგ, რაც სააკაშვილის დანაშულებრივ სამხედრო ავანტიურაზე დაყრდნობით აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიარეს და ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზები განალაგეს, დანარჩენი საქართველოს ბედი, ბოდიში და, სულ ფეხებზე ჰკიდიათ. ვინაიდან ძალიან კარგად იციან, რომ ეს ქვეყანა სულ მალე აღმოჩნდება იმ ჩიხში, რომლიდანაც გამოსასვლელს ველარ იპოვის და დაჩოქილი გაიწვდის ხელს რუსეთისკენ, — მიშველეო.

**— ამბობთ, რომ ამერიკელებისთვის სულერთია, რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს ამ არჩევნებში?**

— არა, პირიქით. **ვფიქრობ, რომ ამ უაღრესად დაძაბული საერთაშორისო ვითარების გამო, როდესაც ისინი გადიან საშუალო და ახლო მოქმედების რადიუსის რაკეტების ხელშეკრულებიდან და დიდი ომისკენ სერიოზულ ნაბიჯებს დგამენ, ამერიკელებს, ალბათ, სააკაშვილის დაბრუნება უნდათ, ვინაიდან აქ, სტრატეგიული თვალსაზრისით ამ უაღრესად მნიშვნელოვან რეგიონში, სჭირდებათ ისეთი აგრესიული და გაწაფული ავანტიურისტი, როგორიც სააკაშვილია.**

სააკაშვილი ივანიშვილის მოყვანილია ხელისუფლებაში, მისი ფულითაა ნაკვები და არც იმას გამოვრიცხავ, რომ მას და მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“ ახლაც ივანიშვილი აფინანსებდეს და კვებავდეს. ეს ერთი თაღლითურ-პოლიტიკური გუნდია, რომელიც ერთმანეთთან ხალხის მოსაჩვენებლად დააპირისპირეს, რათა ორივეს ხანგრძლივი პოლიტიკური სიცოცხლე გაუნაღდონ, რათა ერთგულად და დაუღლელად ემსახურონ საკუთარ სტომაქსა და ამერიკის გეოპოლიტიკურ ინტერესებს საქართველოსა და რუსეთის საზიანოდ.

საპარლამენტო არჩევნებამდე როგორმე გაათრევენ დროს და მათი ჩანაცვლება იმ ახალი პოლიტიკური ძალით, რომელიც 2020 წლამდე აუცილებლად უნდა გამოჩნდეს, ძნელი არ იქნება. ერთი სიტყვით, **ქართველ ხალხს ივანიშვილისა და სააკაშვილის მოცილება თუ სურს, ამ მიზნისკენ მიმავალი უმოკლესი გზა სალომე ზურაბიშვილის არჩევაა, ხოლო თუ ივანიშვილისა და სააკაშვილის ტანდემისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება უნდა, ამ მიზნისკენ გრიგოლ ვაშაძის არჩევა მიდის. ვნახოთ, რას გადაწყვეტს ქართველი ხალხი.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებულმა პროცესებმა თვალნათლივ დაანახვა ქართველ საზოგადოებას მესამე ალტერნატიული პოლიტიკური ძალის არსებობის სასიცოცხლო მნიშვნელობა»**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აღიაროს რუსეთის მიერ ბანდერულ-ფაშისტური უკრაინისთვის ყირიმის ჩამორთმევა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ კი უპირობო მხარდაჭერა უნდა აღუთქვას მოსკოვის საპატრიარქოს ე.წ. მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსთან კონფლიქტში, ასე „ხელდამშვენებული"ვესტუმროთ მოსკოვს და მოლაპარაკებები ყოველგვარი წინა პირობების გარეშე, სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ.**

# საქართველოს გადარჩენა? — ილიას გზით, რუსეთთან ერთად!

**სამი თვეა, ქვეყანა საპრეზიდენტო არჩევნების ნაკარნახევი დღის წესრიგით ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, არა მხოლოდ მასმედია (ეს თავისთავად), არამედ, როგორც ჩვენში იტყვიან, უთო რომ ჩართო, ისიც იმაზე ილაპარაკებს, ვინ იქნება პრეზიდენტი — ამხანაგი გრიგოლ (იგივე გრიშა, იგივე გრეგორი, გააჩნია, რომელი „კლიჩკით" და სად უშვებდა საბჭოთა „კა-გე-ბე" მორიგ „ზადანიაზე") ვაშაძე თუ მადამ სალომე ზურაბიშვილი, რომლებსაც მხოლოდ ერთი რამ აქვთ საერთო — ორივენი საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრები არიან. რაც შეეხება მათ შორის განსხვავებას, ასეთს ორს ვხედავ — „პოეტურსა" და „პროზაულს", თუ ასე თქმა შეიძლება. „პოეტურიდან" დავიწყებ...**

## თუნდაც უტოპიური ხედვა სჯობს კონფლიქტის ზონაში მავთულხლართებთან ჩახდილ-ნაკუზულ ხედვას



ამხანაგ გრიშას ერთადერთი „ღირსება" ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის თვალში არის ის, რომ მშვენიერი **ნინო ანანიაშვილის** ცოლია (უუფ, შემეშალა, ქმარი უნდა დამეწერა). ხოლო მადამ სალომეს ერთადერთი „ნაკლი", გენიალური „ქეთო და კოტე"-დან ხანუმას რეფრენად ქცეული ნათქვამის პერიფრაზით, არის: „როდესაც მამამ პარიზში წაგილო, კარტული სულ დაგავიწყდა". რაც შეეხება „პროზაულ" სხვაობებს — **სალომეს მინისტრობისას რუსეთის ჯარმა დატოვა საქართველოს ტერიტორია, ხოლო გრიშას მინისტრობისას რუსის ტანკები უკანვე შემოგრიხინდნენ; სალომემ საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარი თქვა, ხოლო გრიშას რუსეთ-საქართველოს შორის ომის შემდეგაც კი ძლივს გააგდებინეს ხელიდან „ოკუპანტი" რუსეთის პასპორტი.**

ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, რატომ არ მივიდა არჩევნებზე ელექტორატის უმრავლესობა, რამაც განაპირობა „ქართული ოცნების" ფავორიტის მარცხი (დიახ, მარცხი, რადგან ის, რომ ნაცებმა მეორე ტურში გააღწიეს, ქოცების პოლიტიკური მარცხია). მიზეზთა ძებნა, ძირითადად, ეკონომიკური სიდუხჭირისა და სამართლიანობის არაღდგენის მიმართულებით წარმოებს და **არავინ საუბრობს ივანიშვილის კიდევ ერთ შეუსრულებელ დაპირებაზე, რომ „ქართული ოცნება" რუსეთთან ურთიერთობას მოაგვარებდა, რომელიც არათუ შესრულდა, პირიქით — რაც ასე თუ ისე დალაგებული იყო, ისიც აურ-დაურიეს. იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მიუხედავად აგვისტოს ომის შედეგებისა, საღი აზრიდან გამომდინარე, მაინც კეთილგანწყობილია რუსეთის მიმართ, სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზეზითაც არ მივიდა არჩევნებზე ელექტორატის „რუსეთუმე" ნაწილი.**

მიუხედავად იმისა, რომ ოკუპანტი რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ ქოცების ხელისუფლების მიმართ არაერთხელ პირდაპირ თუ ირიბად იყო გამოთქმული აზრი მოლაპარაკებების დაწყების მზადყოფნის შესახებ, ქოცების ხელისუფლებამ არათუ ადეკვატური იმპულსებით უპასუხა, არამედ პირიქით — **ნაცების იდიოტურ-პოპულისტური „ფორმულით" (ჯერ ჯარები გაიყვანოს სოხუმ-ცხინვალიდან, უკან წაიღოს რუსეთმა ამ რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. არადა, თუ მათი ყველა პირობა შეასრულა რუსეთმა, ნეტავი რაღაზე უნდა ველაპარაკოთ, სოჭის დაბრუნებაზე ხომ არა?) დაშანტაჟებული ქოცები, 6 წელია, ნაცებს ეჯიბრებიან რუსეთის ლანძღვაგინებაში.**

თუმცა არიან კი დაშანტაჟებულები? ქოცები და ნაცები ხომ იდეოლოგიურად ერთი ლიბერასტული ხის სხვადასხვა ტოტი არიან? აქედან გამომდინარე, ერთი „ნაჩალნიკი" ჰყავთ აშშ-ევროპაში და იქნებ შანტაჟი არაფერ შუაშია და ორივენი დასავლელი „ბოსების" დავალებებს ასრულებენ ხელისუფლება-ოპოზიციის კომუფლაჟით შენიღბულები? თუ ჩუგოშვილებით, თალაკვაძეებით, მდინარაძეებით „გამდიდრებულ" ქოცების „სასტავს" გადავხედავთ, ზემოთ დასმული კითხვის ნიშნები ზედმეტი აღმოჩნდება.

დროებით თავი დავანებოთ შანტაჟისტებსა დაშანტაჟებულებსაც და მარტივი შეკითხვა დავსვათ: **რუსეთს უფრო სჭირდება საქართველო თუ საქართველოს რუსეთი?** კითხვა რიტორიკულია და ამიტომ პასუხად დიდ **ილიას** მოვუხმობ:

**„რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული,** — წერდა ილია ჭავჭავაძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს 1898 წელს, — **ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი — ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხთან... დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის".** დიდი ილიას აზრითაც, საქართველოს უფრო სჭირდება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, უფრო მეტიც, სტრატეგიული მოკავშირეობა, ვიდრე პირიქით, და თითქოს წერტილი აქ უნდა დაგვესვა, მაგრამ...

ლიბერასტი რუსოფობებისთვის ავტორიტეტები არ არსებობენ, მათ შორის, არც თავადი ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ აწ და მარადის ილია მართლად წოდებული. მეტიც, ლიბერასტ-ხლისტები იმასაც კადრულობენ, ილია მართალი რუსეთის „ოხრანკის" აგენტი იყო და ამიტომ ამბობდა რუსეთის სასარგებლო რაღაცებსო... ეს იყო საუკუნეზე მეტი ხნის წინათ და ვითარებამ ისე მოიტანა, რომ, როგორც 2 საუკუნე ჩვენ უფრო გვჭირდებოდა რუსეთი, დღეს შეიძლება ასევე სისხლხორცეულად დასჭირდეს რუსეთს საქართველო. უფრო სწორად, უკვე ვჭირდებით, მაგრამ ამ „ვჭირდებით"-ს დროულად უნდა დანახვა და საჩვენოდ გამოყენება...

ჩემი აზრით, **საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აღიაროს რუსეთის მიერ ბანდერულ-ფაშისტური უკრაინისთვის ყირიმის ჩამორთმევა, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ კი უპირობო მხარდაჭერა აღუთქვას მოსკოვის საპატრიარქოს ე.წ. მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსთან კონფლიქტში, ასე „ხელდამშვენებული"ვესტუმროთ მოსკოვს და მოლაპარაკებები ყოველგვარი წინა პირობების გარეშე, სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ.**

რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთისთვის ამ მართლაც ეპოქალური მნიშვნელობის კეთილი ნების ჟესტს უპასუხოდ ვერ დატოვებს მოსკოვი და, აღიარების უკან წაღებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სავსებით რეალურია, რომ საერო ხელისუფლების დახმარებით ლტოლვილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების პერსპექტივა გაჩნდეს, ხოლო მოსკოვის პატრიარქატის მეშვეობით ცხინვალ-სოხუმში არსებულ ქართულ ტაძრებში ქართული წირვა-ლოცვა აღდგეს. ეს საყოფაცხოვრებო დონეზე ურთიერთობების დაწყებას ნიშნავს, რაც დროთა განმავლობაში უფრო გაძლიერდება ბიზნესკონტაქტების მეშვეობით, რაც, საბოლოო ჯამში, ერთმანეთის ჭირისა და ლხინის ბუნებრივად გაზიარებას, ანუ ქართველთა, ოსთა და აფხაზთა შერიგებას ნიშნავს.

არ ვიცი, გაიზიარებს თუ არა მკითხველი რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის ჩემეულ ხედვას, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ თუნდაც უტოპიური ხედვა სჯობს კონფლიქტის ზონაში მავთულხლართებთან ჩახდილ-ნაკუზულ ხედვას.

ერთი რამ ცხადია — **ქოცნაცთა ხელისუფლების პირობებში რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების იდეა იმთავითვე მკვდრადშობილია, რადგან, ქოცი იქნება თუ ნაცი, ორივე ასრულებს ერთი უფროსის მითითებებს, რომელიც საქართველოს მიერ რუსეთისთვის მაქსიმალური დისკომფორტის შექმნას ისახავს მიზნად კავკასიის რეგიონში.**

ანალოგიურ ამოცანას ემსახურებოდა მავთულხლართებთან ზემოხსენებული წაკუზულ-ჩახდილი უკანალების პერფორმანსი, რამაც სირცხვილთან ერთად გვაფიქრებინა:

ასე თუ გაგრძელდა რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე ცივი ომი, სულ ადვილად შეიძლება, რომ ნებისმიერ წამს ცხელ, ნამდვილ ომში გადაიზარდოს და მაშინ შარვალჩახდილი პერფორმანსისტები, რომლებსაც ფულის კეთების წყაროდ გაუხდიათ მსგავსი ღონისძიებები, პირველები გაიქცევიან და გავეშებული რუსების წინაშე პასუხისგება რიგით მოქალაქეებს მოუწევთ.

პასუხისგება კი, სავარაუდოდ, მკაცრი იქნება, რადგან რუსებს, პლასტილინ-ქსლისამბეჭველი ფალოს-ოფოსი კი არა, ვლადიმერ პუტინი ჰყავთ პრეზიდენტად, რომელსაც, მიუხედავად დიდი ეკონომიკური პრობლემებისა, ენდობიან, სჯერათ და პატივს სცემენ რუსები.

**დავით მხეიძე**

**P.S. სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვითომ მიმართვა, რომელიც იმთავითვე ჩანდა, რომ ე.წ. ფეიკი იყო, მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, მართლა ე.წ. დაფარულმა მეუფემ გაასაღა უწმინდესის ნათქვამად ეს ყველაფერი თუ მავანმა „ფეიკმაისტერმა", მთავარი იმ „მიმართვის" შინაარსია, რომელსაც, სამწუხაროდ, ერთობ ოპერატიულად გაემიჯნა საპატრიარქო.**

**აი მიმართვის მოკლე შინაარსი და თავად განსაჯეთ, რასთან გვაქვს საქმე:**

**„არჩევნების მეორე ტურის ჩატარებამდე, არაუგვიანეს 10 დღით ადრე, „ქართულმა ოცნებამ" საჯაროდ უნდა დადოს შემდეგი ხუთი პირობა:**

*** 2004 წლიდან დღემდე საქართველოში შემოსულ ყველა მიგრანტს (ირანელს, თურქს, ინდოელს, ჩინელს და სხვა მრავალს უნდა ჩამოერთვას საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლება და მომავალშიც არ უნდა ჰქონდეთ ამის შესაძლებლობა. გამონაკლის შემთხვევას უნდა წარმოადგენდნენ: ა) ქართველური წარმომავლობის პირები, როგორებიც არიან ფერეიდნელი ქართველები, ლაზები, ტაო-კლარჯელი ქართველები და ა.შ.; ბ) ასევე ის უცხოელები, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკაში განახორციელეს არანაკლებ 5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია და ამ ინვესტირებით შექმნილ საწარმოში დაასაქმეს არანაკლებ 80% საქართველოს მოქალაქეებისა; გ) ასევე ის უცხოელები, რომლებიც განსაკუთრებულ წვლილს შეიტანენ საქართველოს კულტურისა და მეცნიერების სფეროებში.**

*** კონსტიტუციურად უნდა აიკრძალოს უცხოელებზე მიწის მიყიდვა;**

*** საქართველოს ყველა 14 წლის მოქალაქისთვის დაშვებული უნდა იქნას ალტერნატიული არაელექტრონული პირადობის მოწმობები;**

*** ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონიდან ამოღებული უნდა იქნას შემდეგი სიტყვები და ტერმინები: „გენდერული იდენტობა", „სექსუალური უმცირესობა". შესაბამისად უნდა აიკრძალოს სოდომური ცოდვების ნებისმიერი პროპაგანდა;**

*** პარლამენტიდან სამუდამოდ უნდა იქნას გაწვეული „კანონპროექტი კანაფის წარმოების შესახებ".**

**ვიმეორებ, მთავარია მიმართვის შინაარსი და არა მისი ავთენტურობა. შინაარსი კი მართლაც საქართველოს, ქართველი ერის გადარჩენის ფორმულაა და სამწუხაროა, რომ საპატრიარქო გაემიჯნა მიმართვას და არაფერი თქვა მის შინაარსზე. სამწუხაროა, რადგან ასეთ მიმართვებს თვითონ სასულიერო პირები უნდა წერდნენ. არადა, ამ პირობების შესრულება ავტომატურად ნიშნავს ლიბერასტულ დასავლეთთან მეგობრობაზე უარის თქმას, ერთმორწმუნე რუსეთის სასარგებლოდ...**

**„თუკი დღეს ვხედავთ, რომ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა არის ბუნებრივი პროცესი, რომელსაც მოაქვს ძალიან დიდი სარგებელი, ისღა დაგვრჩენია, ამ პროცესებზე დაყრდნობით პოლიტიკური ინტერესების დაახლოებაც დავაანონსოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პრობლემები, რომლებიც დიდწილად განპირობებულია სწორედ რუსეთთან ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის არარსებობით, დარჩება უცვლელი“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# ის ცხრაწლიანი უბედურება, სახელად «ნაცმოძრაობა», არ უნდა დაბრუნდეს!

**არჩევნების პირველსა და მეორე ტურს შორის ნაცებსა და ქოცებს შორის მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი, რომელიც ამთავითვე ცხადია, რომ არც ერთ შემთხვევაში ხალხის გამარჯვებით არ დასრულდება, დღითიდღე კომიკური ხდება. ურთიერთბრალდებები იმის თაობაზე, რომ თურმე ესა თუ ის ძალა რუსეთის დასაყრდენს წარმოადგენს (და არჩევნებში მისი გამარჯვება ქვეყნისთვის „ბნელ ისტორიულ წარსულში“ დაბრუნებას ნიშნავს), უკვე ცხადყოფს, რომ ორივე მათგანს სერიოზული პოლიტიკური კომპლექსები და გართულებები აქვს.**

## «ჩვენ ახლა პოლიტიკური კრიზისის სტადიაში ვართ, რომელიც ქვეყნის დესუვერენიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი უფროა, ვიდრე რამე სახის გეგმა»

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ბოლოდროინდელი კვლევა (მათ შორის თვით ენ-დი-აის მიერ ჩატარებულიც კი) ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს მოსახლეობის დიდი ნაწილის სურვილს რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებისა, „ოცნების“ კანდიდატი მეტოქის ყიჟინს მის პრორუსულობაზე კომპლიმენტად უფრო უნდა აღიქვამდეს, ვიდრე საფრთხედ (რომელზეც თავი უნდა იმართლოს), თუმცა **ზურაბიშვილის** კამპანია ამ „კომპლიმენტს“ მარჯვედ ისხლეტს და იმავე რიტორიკას თვითონაც იმეორებს მეტოქის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში ივანიშვილის პოლიტიკურ ჯალაბს (პრეზიდენტობის კანდიდატსა და მის გარემოცვას) არ ეტყობა, რომ მოვლენებს ობიექტურად აფასებს და ხვდება, რა ხიბლი აქვს ან შეიძლება ჰქონდეს მომავალში საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას. **როგორც ჩანს, მათ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ყველაფერთან ერთად, მხედველობიდან გამორჩათ ის, რომ სწორედ რუსეთთან აღდგენილი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, გამარტივებული მიმოსვლისა და კიდევ სხვა ფაქტორების შედეგია საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის ზრდა, ტურისტების რაოდენობის მატება და ა.შ.** მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობაში რუსეთთან ურთიერთობისთვის მზადყოფნა დიდია, პრორუსულობის ბრალდება და იარლიყი „ლიბერალების“ მხრიდან ის უნებლიე დივიდენდია, რომელსაც ჯერჯერობით ვერც ერთი ძალა ვერ იყენებს...

**რატომ მიაჩნია დღეს ხელისუფლებას საფრთხედ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაზე საუბარი და რა განწყობებია რეალურად საზოგადოებაში, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, ამ არჩევნებზე „ნაცმოძრაობამ“ „ოცნება“ გარკვეულწილად დააკომპლექსა იმ თვალსაზრისით, რომ სალომე ზურაბიშვილს ძარღვის გაწყვეტამდე უწევს მტკიცება: პრორუსული ძალა არ ვარო. არადა, ეს ისედაც ყველამ კარგად იცის, თუმცა ფაქტია: ყველა ბოლოდროინდელი კვლევა ცხადყოფს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მომხრეა რუსეთთან პირდაპირი დიალოგის. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას რატომ აქვს კომპლექსი, პრორუსული ძალის იარლიყი რომ არ მიაკრან? რეალურად ვისზე და რაზეა გათვლილი მისი კამპანია, თუ არა საკუთარ მოსახლეობაზე?**

— ჩემთვის, როგორც ქართულ-რუსული ურთიერთობების საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორისთვის, ერთი რამ ცხადია: **მიუხედავად იმისა, რომ იყო ომი, იყო ტრაგედია და ეს ყველაფერი, ბუნებრივია, მძიმედ დაეტყო ჩვენს ქვეყანას, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში მოლოდინი და სურვილი იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის მოხდეს სერიოზული პოლიტიკური ძვრები, ძალიან დიდია.** ეს არის აბსოლუტურად ლოგიკური და ადეკვატური სურვილი გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენთვის არაერთი და მათ შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხებია ამაზე დამოკიდებული.

რაც შეეხება კანდიდატებსა და იმ რიტორიკას, რომ ორივე მხარე ცდილობს, ერთმანეთს პრორუსული ძალის იარლიყი მიაკეროს, პირდაპირ გეტყვით: ძალიან ცდება ნებისმიერი ადამიანი თუ ადამიანების ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ მთავარი დარტყმა და იერიში პოლიტიკურ მეტოქეზე სწორედ ამ გზით უნდა მიიტანოს. მათ, როგორც ჩანს, მხედველობიდან რჩებათ ერთი რამ: **ამ არჩევნებზე ამომრჩევლების დაახლოებით 54% არ მივიდა; და ეს სწორედ ის 54%-ია, რომელიც 2012 წლიდან დღემდე მოთმინებით ელოდებოდა „ოცნებისგან“ ორი ძირითადი დაპირების შესრულებას: ერთი — ეს იყო სამართლიანობის აღდგენა და მეორე — ურთიერთობების მოგვარება რუსეთის ფედერაციასთან.**

**— „ოცნების“ ხელმძღვანელობა, ალბათ, ფიქრობს, რომ ორივე მოაგვარა: ერთი იმით, რომ უგულავა, მერაბიშვილი და ახალაია ციხეში გამოკეტა, ხოლო მეორე იმით, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აღადგინა რუსეთთან.**

— აქ საუბარია იმაზე, რომ „ნაცმოძრაობას“, როგორც დანაშაულების ჩამდენ სუბიექტს, უნდა მისცემოდა შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება, თუმცა ამის ნაცვლად ამ პარტიამ მიიღო ერთგვარი შეწყალება ხელისუფლებისგან და დღეს რა მდგომარეობაცაა შექმნილი ქვეყანაში, ამის შედეგია.

ახლა შევხედოთ მეორე მთავარ დაპირებას. კი, კარგია, რომ აღდგა რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, კარგია, რომ ქართული პროდუქცია შედის რუსულ ბაზარზე, მაგრამ არის ეს ის მდგომარეობა, რომლითაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი მიზანი და ამოცანა მიღწეულია? თუმცა, **კიდევ ვიმეორებ: ის, რომ ამ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის შედეგად მიღებულმა სარგებელმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და ეს სარგებელი მილიარდ 200 მილიონი დოლარით განისაზღვრა; ის, რომ ტურიზმის ზრდა გრძელდება და ამ მხრივ მართლაც უპრეცედენტო წარმატებებია, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მიღწევაა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ისეთი სტრატეგიული მიმართულება, როგორიცაა, მაგალითად, რკინიგზა, მარაგი ნაწილების მიღების კუთხით მთლიანად დამოკიდებულია სწორედ რუსეთის ფედერაციაზე.** საზოგადოდ, მსხვილ გადამხდელებს შორის რუსული კაპიტალი და ინვესტიციები პირველ ადილზეა; და ამ ვითარებაში როცა გვაქვს მოცემულობა, რომ პოლიტიკური პარტიები თავიანთ ოპონენტებს ებრძვიან სწორედ პრორუსული ძალის იარლიყის მიკერებით, ჩნდება ლოგიკური კითხვა: **სად არის აქ საღი აზრი? ესენი საქართველოზე ზრუნავენ, ქართული პოლიტიკური პარტიები არიან?** საერთოდ, ვფიქრობ, რომ ეს არის საკუთარი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული თავის მოტყუების პოლიტიკა, რომელიც, ყველაფერთან ერთად, აშკარად სახელმწიფო საბოტაჟის ელემენტებს შეიცავს. აი, ამ ყველაფრის შედეგად დღეს ქვეყანა, ფაქტობრივად, პარალიზებულია პოლიტიკურად და ჩვენ ახლა რეალურად ვიმყოფებით პოლიტიკური კრიზისის სტადიაში, რომელიც ქვეყნის დესუვერენიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი უფროა, ვიდრე რამე სახის გათვლა.

**— გათვლა რადგან ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, საზოგადოების რა სეგმენტზე შეიძლება იყოს ორიენტირებული პოლიტიკური ოპონენტისთვის პრორუსული ძალის იარლიყის მიკერების მცდელობა?**

— სიმართლე გითხრათ, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ვინმე კარნახობს რუსეთის მისამართით კრიტიკული განცხადებების გაკეთებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს განცხადებები ხშირად გვესმის. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ხელისუფლების განცხადებები, თორემ „ნაცმოძრაობა“ რაცაა, ყველამ ვიცით. რაც შეეხება გათვლას, ვერ გეტყვით, რა ამოცანას შეიძლება ემსახურებოდეს ეს ყველაფერი, ამ შეკითხვით, ალბათ, მათ უნდა მიმართოთ, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, რაც უფრო მეტი იქნება ბრალდებები ერთმანეთის მიმართ და პრორუსულობის იარლიყის მიწებების გზით სტიგმის შექმნის მცდელობა, მით უფრო გადმოიწევს ქვეყანაში ბოძები და მავთულხლართები, რომელიც ისედაც, დიდი ხანია უკვე, ღრმა იარად ემჩნევა ჩვენს ქვეყანას.

## «რაც მეტი იქნება ერთმანეთის მიმართ პრორუსულობის იარლიყის მიწებების გზით სტიგმის შექმნის მცდელობა, მით უფრო გადმოიწევს ქვეყანაში ბოძები და მავთულხლართები, რომლებიც ისედაც, დიდი ხანია უკვე, ღრმა იარად ემჩნევა ჩვენს ქვეყანას»

**— მოდი, ობიექტურად შევხედოთ ამ ყველაფერს: რას მოიტანს ჩვენთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, დღევანდელ ვითარებაში რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება?**

— რას მოიტანს და, თუკი ჩვენ დღეს ვხედავთ, რომ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა არის ბუნებრივი პროცესი, რომელსაც მოაქვს ძალიან დიდი სარგებელი, ისღა დაგვრჩენია, ამ პროცესებზე დაყრდნობით პოლიტიკური ინტერესების დაახლოებაც დავაანონსოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პრობლემები, რომლებიც დიდწილად განპირობებულია სწორედ რუსეთთან ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის არარსებობით, დარჩება უცვლელი. სხვათა შორის, **დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ დიპლომატიური ურთიერთობის არქონის გამო რუსეთში მცხოვრები ათასობით ქართველი არჩევნებში ვერ მონაწილეობს, არადა, იმ ერთიან საარჩევნო სიებში, რომლებსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია აქვეყნებს, შეყვანილნი არიან ეს მოქალაქეებიც. საქართველოს სუვერენიზაციას ამ მიმართულებითაც ექმნება საფრთხე და ეს არის საკითხი, რომელიც, ჩემი აზრით, პირველ რიგში მოსაგვარებელი.**

ახლა ვისარგებლებ შემთხვევით და ძალიან მოკლედ არჩევნების თემასაც შევეხები. ცხადია, გასაგებია, რომ მოსახლეობაში არის დიდი პოლიტიკური ნიჰილიზმი და ხალხმა ნდობა დაკარგა ყველასადმი, მაგრამ დღეს გვაქვს ასეთი სამწუხარო, მე ვიტყოდი, ტრაგიკული რეალობა — იმ შემთხვევაში, თუ ვაშაძე გახდება პრეზიდენტი, რეალური მესამე ძალის ფორმირების პერსპექტივა მოისპობა და ის გადაიწევს განუსაზღვრელი ვადით. ზურაბიშვილის გასვლის შემთხვევაში, ერთი მხრივ, ეს პერსპექტივაც იქნება და, მეორე მხრივ, ამით, რა თქმა უნდა, არ ამაღლდება მოსახლეობის ნდობა „ოცნებისადმი“. ამდენად, ჯანსაღი პოზიციის მოქალაქის მხრიდან სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერას მოცემულ ეტაპზე რამე ალტერნატივა არ აქვს; და, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს იმ ხალხის, რომელიც ამბობს, რომ არჩევნის გაკეთებას აზრი არ აქვს. მთავარია, რომ ის ცხრაწლიანი უბედურება, სახელად „ნაცმოძრაობა“, არ დაბრუნდეს, ის ცხრაწლიანი ტერორი და გენოციდი, რომელიც სააკაშვილმა მოუწყო ქართველ ხალხს და უკვე ეტყობათ, რომ მოსვლის შემთხვევაში უარესის გამკეთებლები არიან, საბოლოოდ უნდა წავიდეს და დასამარდეს პოლიტიკურ მოუსავლეთში...

## «ჯანსაღი პოზიციის მოქალაქის მხრიდან სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერას მოცემულ ეტაპზე ალტერნატივა არ აქვს; და, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს იმ ხალხის, რომელიც ამბობს, რომ არჩევნის გაკეთებას აზრი არ აქვს. მთავარია, რომ ის ცხრაწლიანი უბედურება, სახელად «ნაცმოძრაობა», არ დაბრუნდეს, ის ცხრაწლიანი ტერორი და გენოციდი, რომელიც სააკაშვილმა მოუწყო ქართველ ხალხს. უკვე ეტყობათ, რომ მოსვლის შემთხვევაში უარესის გამკეთებლები არიან, ამიტომ საბოლოოდ უნდა წავიდეს და დასამარდეს პოლიტიკურ მოუსავლეთში»

ესაუბრა **ჯაბა ჭუანია**

ჩაკეჩსი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და სადაც მინისტრები, დეპუტატები — მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები არიან... სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის. სახელმწიფოს მართვაში სულ სხვა პრინციპები მოქმედებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ივანიშვილს არ ესმის. საერთოდ, ბიზნესი და პოლიტიკა მოღვაწეობის სრულიად განსხვავებული სფეროებია“.

# ცნობილი პოლიტოლოგის პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც ზედმიწევნით ასრულდა

თითქმის 28 წელიწადია, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და უკვე მე-5 პრეზიდენტსაც ვირჩევთ, ბოლო ოთხჯერ – თავსმოხვეულს. ქვეყანა წინ ვერ წავიდა — ვერც სოციალურ-ეკონომიკური, ვერც საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით. მოსახლეობის დიდი ნაწილი ისევ სიდუხჭირეში ცხოვრობს. დღეს ბევრი ლაპარაკობს იმ შეცდომებზე, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა შემქმნელმა ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ დაუშვეს, მაგრამ იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მხარს უჭერდნენ „ქართული ოცნების“ ბრძოლას სააკაშვილის ქართველთმოძულე რეჟიმის წინააღმდეგ, ამ პოლიტიკური ძალისა და მისი ლიდერის ბევრ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდნენ. ამ ადამიანთა შორის არის პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია, რომლის პოლიტიკური პროგნოზებიც საქართველოში პროცესების განვითარების შესახებ ზედმიწევნით ასრულდა. წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების I ტურის შემდეგაც „საქართველო და მსოფლიო“ უამრავ წერილს იღებდა და იღებს მკითხველისგან. მათ აინტერესებთ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებები და შეფასებები საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესებზე. ჩვენ დავუკავშირდით ბატონ ალექსანდრეს კომენტარებისთვის, მაგრამ, რაკი ბოლო ექვს წელიწადში ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერი არ შეცვლილა, ხოლო არსებულ ვითარებაზე მისი თვალსაზრისი და შეფასებები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა პერიოდულ პრესაში, იმავეს გამეორებაში აზრს ვერ ხედავს.

ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს პრესაში გამოქვეყნებული ინტერვიუებიდან, სადაც ალექსანდრე ჭაჭია საუბრობს პრეზიდენტის ინსტიტუტზე, „ქართულ ოცნებაზე“, ივანიშვილზე, კოაბიტაციაზე, საქართველოს პერსპექტივებსა და სხვა საკითხებზე. მის მიერ ადრე გაკეთებული შეფასებები და პროგნოზები ზუსტად ესადაგება დღევანდელ რეალობას.



დასასრული. დასაწყისი იხ. №40 (464)

## აფხაზეთისა და სამაჩაბლოს თემა

* **„საერთოდ, ივანიშვილის ქცევიდან, მისი საკადრო პოლიტიკიდან, რიტორიკიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ჩვენი კონფლიქტების მოგვარება არც პირადად მისთვის და არც ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. თუ თქვენ შენიშნეთ, აფხაზეთის თემა საქართველოს საჯარო პოლიტიკიდან შეუმჩნევლად ამოვარდა. არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, არსებითად, ამ საკითხს არ ეხება. რაკი აცნობიერებენ, რომ მათგან ვერც ერთი ვერ ახერხებს, თუნდაც შეუდგეს ამ პრობლემების მოგვარებას, ცდილობენ, მათ გვერდი აუარონ, ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლონ, არ გაამახვილონ საზოგადოების ყურადღება ამ, მათი აზრით, უიმედო თემებზე. თუთიყუშივით იმეორებენ ივანიშვილის გაუგებარ სენტენციას: „ჩვენს ძმებ აფხაზებსა და ოსებთან ერთად ავაშენებთ აყვავებულ საქართველოს“. რომელმა აფხაზმა გიწოდა ძმა? რომელი ოსი დაგთანხმდა ერთად ქვეყნის აშენებაზე? გაიხსენეთ სააკაშვილის მმართველობის პირველი წლები, ისიც ლაყბობდა ძმობაზე, ამზადებინებდა ისეთ სამარცხვინო კლიპებს, როგორიცაა „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“, სადაც დაქირავებული მომღერლები ყველას აფხაზეთში ეპატიჟებოდნენ. სოხუმში სიამოვნებით აჩვენებდნენ ამ კლიპს, რათა დაეცინათ ბრიყვი ქართველებისთვის. არავის სჭირდება ძმობის შესახებ მტკიცებები, ამის არავის სჯერა, ეს არაფრის მომცემია, საკუთარი ღირსების დამცირების გარდა. საჭიროა პრაგმატული, არსებითი დიალოგი რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობით, მაგრამ ამგვარი დიალოგის დაწყების არც სურვილი და არც შესაძლებლობები ახალ ხელისუფლებას არ აქვს, ისე, როგორც არ ჰქონდათ არც სააკაშვილს და არც შევარდნაძეს“** („საქართველო და მსოფლიო“, №31 (218), 21 აგვისტო–4 სექტემბერი, 2013წ).

არც სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში და არც ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ ნაბიჯი არ გადადგმულა. ამ საკითხზე, არათუ ხელისუფლებაში, მედიასაშუალებებშიც აღარ მსჯელობენ.

## მეორე შვეიცარია, მეორე სინგაპური და მეორე დუბაი

* **„ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და სადაც მინისტრები, დეპუტატები — მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები არიან. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს „საინტერესო“ პრეზიდენტს და „საინტერესო“ პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპური მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებო, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის. სახელმწიფოს მართვაში სულ სხვა პრინციპები მოქმედებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ივანიშვილს არ ესმის. საერთოდ, ბიზნესი და პოლიტიკა მოღვაწეობის სრულიად განსხვავებული სფეროებია. სიტყვამ მოიტანა და, პირადად მე ვერ ვიხსენებ ისტორიაში შემთხვევას, როდესაც ბიზნესმენი წარმატებული სახელმწიფო მოღვაწე გახდა. გგონიათ, სააკაშვილს არ უნდოდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვა? — უნდოდა, მაგრამ არავინ დებდა ინვესტიციას. დასავლეთს არ სჭირდება საქართველოს სამრეწველო და სასოფლო–სამეურნეო პროდუქცია. ამ სფეროებში დასავლური კაპიტალი ინვესტიციას არ ჩადებს. სწორედ ამიტომ შევარდნაძეც და სააკაშვილიც დასავლეთისგან მხოლოდ კრედიტებს იღებდნენ, ანუ ფულს სესხულობდნენ. დღეს საქართველოს საგარეო ვალი, თუ არ ვცდები, 13 თუ 14 მილიარდი დოლარია. საკუთარი ეკონომიკის არარსებობის პირობებში, ამ ვალის მხოლოდ პროცენტების გადასახდელად ახალ-ახალი კრედიტები უნდა ავიღოთ. ეს კაბალაა! შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ „მეორე შვეიცარიად“ ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ „მეორე სინგაპური“ გავხდებოდით, ივანიშვილი კი „მეორე დუბაიდ“ გადაქცევას გვპირდება. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი. და მადლობა ღმერთს, რომ ვერ იქნება. ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და მხოლოდ საქართველო“** („საქართველო და მსოფლიო“, №34 (221), 18-24 სექტემბერი, 2013წ.).

საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი დასავლეთში უმნიშვნელოა, ჩვენს დახლებზე იმპორტი მძლავრობს, ჩვენი პროდუქტების (ღვინისა და ხილის, მინერალური წყლების) ძირითადი მომხმარებელი რუსეთია; მუდმივად იზრდება საგარეო ვალი და მისი მომსახურებისთვის გადასახდელი პროცენტის თანხა, ქვეყანა თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული ისეთ ორგანიზაციებზე, როგორებიც არის მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და სხვ. რაც შეეხება საქართველოს გადაქცევას მეორე დუბაიდ, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს.

## კოაბიტაციაზე

* **„ფართო გაგებით, კოაბიტაცია ვერ დასრულდება იმიტომ, რომ პარლამენტის 40 პროცენტს „ნაციონალური მოძრაობა“ შეადგენს, ხოლო რეგიონებში, ძირითადად, მათი კადრები განაგრძობენ მუშაობას. მეტიც, ვფიქრობ, რომ ივანიშვილის პრემიერის პოსტიდან წასვლის შემდეგ ნაციონალების გავლენა ხელისუფლებაზე გაიზრდება. იდეოლოგიური უთანხმოება მათ არ აქვთ, კურატორებიც საერთო ჰყავთ, რაც შეეხება პირად უთანხმოებებს, მალე შეთანხმდებიან. თუკი კოაბიტაციის დასრულებაში ვგულისხმობთ რამდენიმე მაღალჩინოსნის ისე გასამართლებას, რომ პრეზიდენტმა მათი შეწყალება ვერ მოახერხოს, ეს სავსებით შესაძლებელია. საზოგადოების დასაშოშმინებლად ამერიკელები რამდენიმე ცნობილი მოღვაწის დაპატიმრების ნებას დართავენ ახალ ხელისუფლებას“** („საქართველო და მსოფლიო“, №34 (221), 18-24 სექტემბერი, 2013წ).

დასავლეთისგან თავსმოხვეულ ე. წ. კოაბიტაციას ხალხი რომ შეცდომად უთვლის ივანიშვილს, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებმაც დაადასტურა, როცა „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ კანდიდატებმა ხმების თითქმის ერთაირი რაოდენობა დააგროვეს.

## ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე

* **„ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ ზღაპრებზე ბევრჯერ გამომითქვამს აზრი, ამ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რაც ქართველ საზოგადოებას დიდი ხნის წინ უნდა მიეღო აქსიომად: პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს“** („საქართველო და მსოფლიო“, №34(221), 18-24 სექტემბერი, 2013წ).

წელს, ფაქტობრივად, უკვე პირდაპირი ტექსტით გვითხრეს უარი ნატოზეც და ევროკავშირზეც ტრამპმაც, აპატურაიმაც, მერკელმაც, მაკრონმაც და კიდევ ბევრმა სხვამ, ვისაც ეს თემა ეხება.

## კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ

* **„პირველი — პრეზიდენტად სააკაშვილის ყოფნამ პრეზიდენტის პოსტი იმდენად გააუფასურა, რომ პოლიტიკისგან ყველაზე შორს მდგომ ადამიანსაც კი ჰგონია, თითქოს მისთვისაც შესაძლებელია პრეზიდენტობა. ლოგიკა მარტივია: თუ მიშა 9 წელი იჯდა პრეზიდენტად, მე რატომ არ შემიძლია? საერთოდ, ბოლო 20 წლის განმავლობაში მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეჭირათ და ახლაც უჭირავთ იმდენად უსარგებლო, უფერულ და გაუნათლებელ ადამიანებს, რომ საზოგადოების წესიერი, ავტორიტეტული, ღირსეული წევრისთვის უხერხული და სირცხვილიც კია, იყოს მინისტრი, დეპუტატი. მე ვიცნობდი და ახლაც ვიცნობ პარლამენტის რამდენიმე წევრს, რომლებიც უცხო საზოგადოებაში მალავენ თავიანთ სტატუსს; მეორე — იმ ვალდებულებების არქონისას, რომლებითაც მე ვთავაზობდი, დაეტ-** ▶

## «ქართველ საზოგადოებას დიდი ხნის წინ უნდა მიეღო აქსიომად: პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს»

„შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ „მეორე შვეიცარიად“ ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ „მეორე სინგაპური“ გავხდებოდით, ივანიშვილი კი “მეორე დუბაიდ“ გადაქცევას გვპირდება. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი. და მადლობა ღმერთს, რომ ვერ იქნება. ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და მხოლოდ საქართველო“.

ჩაკურსი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ კანდიდატებისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგეს»**

◀ვირთათ პრეზიდენტი, ეს თანამდებობა აღიქმება, როგორც საპატიო, კომფორტული დროსტარება, რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას, უნარს, შესაძლებლობებს, პატივი და კომფორტი კი ჩვენს ხალხს უყვარს, განსაკუთრებით სახელმწიფოს ხარჯზე; მესამე — თავისი საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებლობის რაიმე მექანიზმის არარსებობა პრეზიდენტის პოსტს უკიდურესად მიმზიდველს ხდის. ყოველი კანდიდატი დაგპირდებათ ყველა პრობლემის მოგვარებას და ქვეყნის მიწიერ სამოთხედ გადაქცევას. რით რისკავს იგი ამ დროს? არაფრით. 5-წლიანი ვადა მას გარანტირებული აქვს, ხოლო შემდეგ — საპატიო პენსია და უზრუნველი ცხოვრება. ეს ეხება სხვა მაღალ სახელმწიფო თანამდებობებსაც. ამიტომ, მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ კანდიდატებისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგეს“ („საქართველო და მსოფლიო“, №31(218), 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013წ.).

ასეთი კანონის მიღება რომ აუცილებელია, ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ გაცემული დაპირებების შეუსრულებლობაც ადასტურებს და ისიც, რომ ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი მხოლოდ თავისი კეთილდღეობით, ხელფასებისა და პრემიების გამოწერით არის დაკავებული და არა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებით.

## მიწის საკითხი

* „თუ გახსოვთ, ყოველთვის გამოვდიოდი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდეგ, მომყავდა მაგალითები რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ მახეში გაებნენ; ვარწმუნებდი საზოგადოებას, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა გახდება ღარიბი გლეხისთვის ერთადერთი, მაგრამ მკვდარი კაპიტალი და ის აუცილებლად შეეცდება მის გაყიდვას, ხოლო ყიდვას შეძლებენ მხოლოდ უცხოელები. ჩემი ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ეს არის „ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკა“ და, „თუ ჩვენ ევროპაში გვინდა“, უნდა ვიყოთ ასეთივე ცივილიზებულები. მთავარი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა და მის მიერ დაქირავებული საქართველოს მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები არწმუნებდნენ ერს, რომ ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას „საბჭოთა ჩიხიდან“ გამოიყვანს. ეს ასფალტზე გაზრდილი „ექსპერტები“ არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ, თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააუქმებდნენ და მიწას გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგებდნენ, მაშინ მადლიერი და გახარებული გლეხობა ენთუზიაზმით დაამუშავებდა მას, მოსავლიანობა ათმაგად გაიზრდებოდა და ყველა იქნებოდა ბედნიერი და კმაყოფილი. საინტერესოა, რომ თვითონ გლეხები სხვა აზრისანი იყვნენ, მაგრამ „ექსპერტები“ ამას მათი „ჩამორჩენილობითა“ და „საბჭოთა მენტალიტეტით“ ხსნიდნენ. მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება არის დანაშაული არამხოლოდ მცირემიწიანობის მიზეზით, არამედ იმიტომაც, რომ ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს და ერი არ არის მხოლოდ დღევანდელი თაობა, არამედ — წინა და მომავალი თაობებიც, ერთად აღებული. ერის არც ერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის“ („საქართველო და მსოფლიო“, №20 (207), 5-11 ივნისი, 2013წ.).

ტერიტორიადაკარგული და ისედაც მცირემიწიანი საქართველოს მიწის უცხოელებისთვის მიყიდვაზე კვლავ უჭირავს ხელისუფლებას თვალი. გვაქვს ისტორიული გამოცდილება — ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე საადგილმამულო ბანკი სწორედ ქართული მიწის შესანარჩუნებლად შექმნა, რომელიც ქეიფსა და დროსტარებას გადაგებულ თავადებს მასობრივად ბანკში ჰქონდათ დაგირავებული. დღეს არც ილია გვყავს და არც საადგილმამულო ბანკი არსებობს, დღეს საქართველოს ქართული ინტერესების მაიგნორირებელი ხელისუფლება მართავს, ამიტომ არის კვლავაც აქტუალური ალექსანდრე ჭაჭიას განცხადება: „ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია!“

## პოლიტიკა, როგორც ბიზნესი

* „პარტიული ლიდერები ვერ ახერხებენ სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას ან მალე კარგავენ მას. პარტიები, პარტიული გუნდები ყალიბდება არა ქვეყნის განვითარების იდეების რეალიზაციისთვის, არამედ ადამიანთა ჯგუფის მომგებიანი დასაქმების მიზნით. პოლიტიკა ბიზნესი გახდა, ამიტომაც ჩვენ მუდმივად ვხედავთ გარიგებებს ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის, განხეთქილებას პარტიებში, ერთი და იმავე სახეების გადასვლას პარტიიდან პარტიაში. ჩვენ ხომ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნამყოფი არიან აბსოლუტურად ერთმანეთის საწინააღმდეგო დასახელების მქონე ხუთ-ექვს პარტიაში. იდეოლოგიის, სტრატეგიული მიზნების არარსებობამ, პარტიული ლიდერების უპრინციპობამ მოსახლეობაში მათ მიმართ უნდობლობა გამოიწვია“ („საქართველო და მსოფლიო“ №13 (151), 4-10 აპრილი, 2012წ.).

დღესაც ასეა — ქართველი პოლიტიკოსები, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე კი არა, თავიანთი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, ჯიბის გასქელებაზე ზრუნავენ.

## „ძია სემისა“ და „ძია ვანიას“ დახმარების იმედით, ანუ ავტორიტეტული ლიდერების მწვავე დეფიციტი

* „გაიხსენეთ ამ პოლიტიკოსების ადრინდელი პოლიტიკური კარიერა. რომელი არ იყო ჯერ შევარდნაძესთან, შემდეგ კი — სააკაშვილთან? რას ელაპარაკებოდნენ მაშინ ხალხს? ნატოში უმოკლეს ვადაში შესვლაზე, ევროკავშირზე, აშშ-თან სტრატეგიულ პარტნიორობაზე, „დასავლური ღირებულებების“ დანერგვაზე, „სამარცხვინო წარსულზე“ უარის თქმაზე, მტერზე რუსეთის სახით. სხვათა შორის, ამერიკელებისგან უარის მიღების შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა მხარდაჭერისთვის სწორედ რუსეთს მიმართა, იქ კი კარგად ახსოვთ მათი პოლიტიკური წარსული, თუმცა ზრდილობიანად მიიღეს, გაუღიმეს კიდეც, მაგრამ, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის მხარდაჭერის მოპოვება ურჩიეს. იქნებ ახლა მაინც, როდესაც „ძია სემის“ და „ძია ვანიას“ დახმარების იმედი დაეკარგათ, ამ პოლიტიკოსებმა მკაფიო იდეოლოგიური კონცეფციის შემუშავება დაიწყონ, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და სულიერ-ზნეობრივ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული და ამგვარად სცადონ ერის მხარდაჭერის მოპოვება, ნაცვლად იმისა, რომ ამერიკის ელჩის მისაღებში საკუთარ რიგს დაელოდონ. შეგიძლიათ დამისახელოთ თუნდაც ერთი ქართველი პოლიტიკოსი მოქმედთა შორის, რომელიც იქნებოდა სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების შესახებ პროგრამული სტატიის ავტორი? წიგნზე არ ვამბობ, თუნდაც ერთი უბრალო სტატიის ავტორი რომ იყოს? ისინი ურიცხვ ინტერვიუს აძლევენ, რომლებშიც სააკაშვილის სკანდალურ ქცევას განიხილავენ, ერთმანეთს პრეტენზიებს უყენებენ, საკუთარ თავს იქებენ, სხვებს კიცხავენ. განა შეიძლება ამ ინტერვიუებიდან ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ მათი პოზიციის გაგება? პარტიული პროგრამები ერთნაირია, მათ კითხვას არანაირი აზრი არ აქვს, ისინი, უბრალოდ, დასავლური ნიმუშებიდანაა გადმოწერილი და ქართულ სინამდვილესთან არანაირი კავშირი არ აქვს. მაშ, რის საფუძველზე უნდა მისცეს მათ ამომრჩეველმა ხმა? ყველა „საქართველოს აყვავებას“ გვპირდება, მაგრამ როგორ გავიგოთ, თუ რა გზით უზრუნველყოფენ ისინი ამ „აყვავებას“? („საქართველო და მსოფლიო“ №13 (151), 4-10 აპრილი, 2012 წ).

პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ქართველი პოლიტიკოსები ფლუგერივით არიან — იქით იხრებიან, საიდანაც ძალაუფლების სიო უბერავს, ძალაუფლების მოსაპოვებლად კი არც „ძია სემთან“ (აშშ-თან) და არც „ძია ვანიასთან“ (რუსეთთან) თანამშრომლობას არ თაკილობენ, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესების ხარჯზე.

## საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის გადარჩენის გარანტია

* „პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში არანაირად არ მონაწილეობს. საქართველოში რაღაც პოლიტიკურ პროცესებს რუსეთი მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსების ავადმყოფურ წარმოსახვაში ხელმძღვანელობს. რეალურად კი ეს ასე არ არის, რაც, სხვათა შორის, ცუდია საქართველოსთვის. აშშ-ის მხრიდან მონოპოლიურმა პატრონაჟმა ჩვეულებრივ კოლონიად გადაგვაქცია. მოუსმინეთ ქართველ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს: ყველა კამათობს იმაზე, თუ ვის მხარეს იქნება აშშ; ყველა ცდილობს, მოიპოვოს ამერიკის ელჩის კეთილგანწყობა, რამენაირად თავი მოაწონოს ვინმეს სახელმწიფო დეპარტამენტში, სხვადასხვა მხრიდან წონიან ობამას ყოველ სიტყვას, წერენ უზარმაზარ სტატიებს, რომლებშიც მისი სიტყვების ინტერპრეტაციას ახდენენ თავიანთ სასარგებლოდ. ეს სასაცილო და ამაზრზენია. აშშ-ის მონოპოლიური გავლენა საქართველოზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე სრულ ბატონობად იქცა, რაც გვართმევს დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთაზე ბალანსირების საშუალებას, მათი წინააღმდეგობების ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას. მსოფლიოში ცოტაა აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფო: აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ირანი, სამხრეთ კორეა, კუბა. ქვეყანათა უმრავლესობა, განსაკუთრებით პატარები, დამოკიდებულნი არიან დიდ სახელმწიფოებზე. მაგრამ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის განსაკუთრებულობა ისაა, რომ აქ იკვეთება ოთხი გიგანტის ინტერესები — აშშ-ის, რუსეთის, თურქეთის, ირანის. ჩვენ გვქონდა შანსი, ამ ინტერესების ბალანსზე სწორი პოლიტიკა აგვეგო. ეს იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის გადარჩენის გარანტია, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა და, უკვე 20 წელია, ერთი ძალის ხელში მარიონეტის როლს ასრულებს. სწორედ ამ როლის შედეგია ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაღატაკება და საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაცია“ („საქართველო და მსოფლიო“ №10 (148), 14-20 მარტი, 2012 წ).

აშშ-ის გავლენის შედეგები საკუთარ თავზე ვიწვნიეთ — დანგრეული განათლება, მეცნიერება, კულტურა, ქუჩაში დახვრეტილი ათეულობით ახალგაზრდა, უამრავი ადამიანისთვის წართმეული ქონება, ქვეყნისთვის აკიდებული მილიარდობით საგარეო ვალი, რომელიც მომავალი თაობების გასასტუმრებელია. რუსეთთან დაპირისპირება კი ძმათამკვლელ ომად და ტერიტორიების დაკარგვად დაგვიჯდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენა სწორედ ამ დიდი ქვეყნებისა და ჩვენი ინტერესების დაბალანსებით არის შესაძლებელი.

მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ

**P.S.** გულსატკენია, რომ ბატონ ალექსანდრეს პოლიტიკური პროგნოზები, რომლებიც ზედმიწევნით ასრულდა, ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა. არადა, ამ პროგნოზების გათვალისწინების შემთხვევაში, ქვეყანაში სულ სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება იქნებოდა.

**«მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება არის დანაშაული არამხოლოდ მცირემიწიანობის მიზეზით, არამედ იმიტომაც, რომ ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს და ერი არ არის მხოლოდ დღევანდელი თაობა, არამედ — წინა და მომავალი თაობებიც, ერთად აღებული. ერის არც ერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის»**

მოკლე მეხსიერება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თბილისში დენის ტარიფი 19,2 თეთრია, რეგიონებში — 18,5; აზერბაიჯანში დენის ტარიფი 13,4 თეთრია; რუსეთში — 13,8; სომხეთში — 24,3. ქართული, აზერბაიჯანული, სომხური და რუსული პენსია-ხელფასები რომ დავთვალოთ, კატასტროფულ შედეგს მივიღებთ — აღმოჩნდება, რომ ქართველები სასწაულს ვახდენთ და იმ ფულით, რომელიც გვაქვს, გადასახადებსაც ვიხდით, ვჭამთ, ვსვამთ და... ვილაცების ჯიბრზე არც ვკვდებით.**

# ბატონო აკაკი (კაკო, კაკი), ხვდებით მაინც, რამხელა სისულელე თქვით?

**„ქართულმა ოცნებამ“, რაც 2020 წლისთვის დაპირებები ჰქონდა გადანახული, ყველაფერი ამ არჩევნებისთვის გამოაჩინა: პენსიის მომატება, სოციალური დახმარების გაზრდა და ამ სოციალური დახმარების შენარჩუნება ერთი წლის განმავლობაში, თუ ადამიანი მუშაობას დაიწყებს... და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი საჭირო თუ არასაჭირო დაპირება გაიცა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახლა გაცემულ დაპირებებს ხელისუფლება შეასრულებს, რადგან წინ 2020 წელია, უფრო სწორად, ძალიან ახლოს არის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და, თუ ახლა გაცემული დაპირებები არ შესრულდა, მოსახლეობას ველარ დაარწმუნებს. მართალია, ამომრჩეველს ძალიან მოკლე პოლიტიკური მეხსიერება აქვს (სხვაგვარად ნაციონალების 37 პროცენტი წარმოუდგენელია), მაგრამ არც ისე მოკლე, ერთ წელიწადში ყველაფერი რომ დაავიწყდეს.**



**თუ თვლით, რომ პენსია საარსებო მინიმუმზე მაღალია, ხომ წარმოგიდგენიათ, საარსებო მინიმუმი რა აქვს მოსახლეობას?! ან რას ეძახით თქვენ არსებობას?! კაცურად, ადამიანურად... თვეში 180 ლარს, ანუ საარსებო მინიმუმზე დიდ თანხას მოგცემთ და შეძლებთ ოჯახის შენახვას? ეს ის თანხაა, თქვენ დღეში რომ გაქვთ ხელფასად და დარწმუნებული ვარ, თვის ბოლოს რაღაცაში მაინც არ გყოფნით. და იმასაც თუ ვერ ხვდებით, ამ განცხადებით მოსახლეობას რომ დასცინით, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა**

საზოგადოდ, **ბიძინა ივანიშვილის** გამოსვლისა და მობოდიშების შემდეგ თითქოს ბევრი რამ შეიცვალა: ოდიოზური ფიგურები (როგორც იქნა, აღიარა მმართველმა გუნდმა, რომ ასეთები ჰყავს) საგულდაგულოდ გადამალეს, თვალს მოარიდეს **სალომე ზურაბიშვილი**, პარლამენტის თავმჯდომარეც თავის მენტორული ტონით ნაკლებად ჩანს, „კომკავშირელებიც“ დაიმალნენ და ასპარეზზე თითქოს უფრო სერიოზული ხალხი გამოჩნდა, მაგრამ...

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ ხმამაღლა და ამაყად განაცხადა: რა გჭირთ, ხალხო, რეალურად რომ ვიმსჯელოთ, პენსია საარსებო მინიმუმზე მაღალიაო.

„დღეს პენსია საარსებო მინიმუმზე მაღალია. რასაკვირველია, ეს საკმარისი არაა და მხოლოდ ვემხრობი, თუ გვაქვს საშუალება, გავზარდოთ პენსია. ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ პენსიონერი არ იყოს პოლიტიკოსზე წინასაარჩევნოდ დამოკიდებული“, — განაცხადა ზოიძემ.

**ბატონო აკაკი (კაკო, კაკი), ხვდებით მაინც, რამხელა სისულელე თქვით?** ბოდიში, ამხელა თანამდებობის კაცს ასე პირდაპირ და მოურიდებლად რომ გეკითხებით, მაგრამ... თქვენ არ დაიწყეთ?! ჯერ ერთი, **თუ თვლით, რომ პენსია საარსებო მინიმუმზე მაღალია, ხომ წარმოგიდგენიათ, საარსებო მინიმუმი რა აქვს მოსახლეობას?! ან რას ეძახით თქვენ არსებობას?! კაცურად, ადამიანურად... თვეში 180 ლარს, ანუ საარსებო მინიმუმზე დიდ თანხას მოგცემთ და შეძლებთ ოჯახის შენახვას? ეს ის თანხაა, თქვენ დღეში რომ გაქვთ ხელფასად და დარწმუნებული ვარ, თვის ბოლოს რაღაცაში მაინც არ გყოფნით. და იმასაც თუ ვერ ხვდებით, ამ განცხადებით მოსახლეობას რომ დასცინით, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა.**

ის თუ გახსოვთ, ბატონო აკაკი, ხელისუფლებაში თქვენი მოსვლისას რა დღეში იყო ეროვნული ვალუტა და რა დღეშია ახლა? შეიძლება ცუდი შედარებაა, მაგრამ ლარი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც „გირჩის“ აქტივისტები გამოიყურებოდნენ რამდენიმე დღის წინათ სოფელ ატოცში. და თქვენი წინასაარჩევნო დაპირება თუ გახსოვთ — ტარიფები გაბერილია, ბენზინიდან ერთი ლარი ნაციონალების ჯიბეში მიდისო? მას შემდეგ ტარიფები რამდენჯერმე გაიზარდა და ისიც ვთქვათ, რომ ნაახალწლევს ბუნებრივი აირის ტარიფს ისევ მოემატება. ბენზინი ჩვენი სახელოვანი სპორტსმენივით, **ლაშა ტალახაძესავით,** რეკორდებს ხსნის, ოღონდ ფასების ზრდის რეკორდებს.

ახლა ისე არ გაიგოთ, თითქოს ყველაფერში მხოლოდ ზოიძეს ვადანაშაულებდე, პირიქით — ზოიძე, შესაძლოა, ყველაზე ნაკლებად არის დამნაშავე იმაში, რაც ხდება, რადგან მას 2012 წელს კარდაკარ არ უვლია და არ უთქვამს: ამას ვიზამთ და იმას ვიზამთო. აი, **ისინი, ვინც დადიოდნენ და ივანიშვილის სახელით საოცრებებს გვპირდებოდნენ, დღეს ჩუმად არიან. თავის მართლება, ყველაფერი კარგად არ გვქონდა დათვლილიო, უადგილოა.** თუ არ გქონდათ, ვალდებული იყავით, დაგეთვალათ და ადამიანები არ მოგეტყუებინათ. ხომ **კარგად იცოდით, რომ ხალხმა 2012-ში ხმა, ტარიფებს კი არა, რეჟიმის გასამართლებას მისცა, იმ რეჟიმის, მერე გულში რომ ჩაიკრა „ქართულმა ოცნებამ“ და ისე შეისისხლხორცა, რომ დღემდე ველარ ელევა.**

ამას წინათ ერთ-ერთმა პარლამენტარმა პირად საუბარში თქვა: იცი, თურმე დანიაში ერთი კუბური მეტრი წყალი დაახლოებით 25 ლარი ღირს და ჩვენთან რა იაფიაო. დანიაშიო, ხალხო, ქვეყანაში, რომელიც ყველა ინდექსით ლამის პირველია მსოფლიოში. დანიაში, სადაც ხელფასი და პენსია იმხელაა, ერთი თვის ჯამაგირით იმდენ წყალს იყიდი, მდინარედ რომ აქცევ; დანიაში, სადაც პენსია 2 500 ევროდან იწყება და... დანიას კი ნუ ვედრებით, აგერ ჩვენი მეზობლები ვნახოთ.

საქართველოში, კერძოდ თბილისში, ბუნებრივი აირის ტარიფი 0,46 თეთრია, რეგიონებში კი ფასი უფრო მაღალია — 0,56-დან 0,57 თეთრამდე მერყეობს. რატომ გადაწყვიტეს, რომ რეგიონებში უფრო მეტი ფული აქვს ხალხს, ვერ გეტყვით, მაგრამ ნუ ნერვიულობთ, ახალი წლიდან ყველგან მოიმატებს და, სავარაუდოდ, გათანაბრდება. აზერბაიჯანში ბუნებრივი აირის ტარიფი ყველგან ერთნაირია და 0,22 თეთრის ტოლია; რუსეთში — 0,27 თეთრია; სომხეთში კი ბუნებრივი აირის ტარიფს უზარმაზარი ტრანსპორტირების ხარჯიც ემატება და 0,86 თეთრს უტოლდება.

ელექტროენერგიაზეც ვთქვათ: **თბილისში დენის ტარიფი 19,2 თეთრია, რეგიონებში — 18,5; აზერბაიჯანში დენის ტარიფი 13,4 თეთრია; რუსეთში — 13,8; სომხეთში — 24,3. ახლა ქართული, აზერბაიჯანული, სომხური და რუსული პენსია-ხელფასები რომ დავთვალოთ, კატასტროფულ შედეგს მივიღებთ, აღმოჩნდება, რომ ქართველები სასწაულს ვახდენთ და იმ ფულით, რომელიც გვაქვს, გადასახადებსაც ვიხდით, ვჭამთ, ვსვამთ და... ვილაცების ჯიბრზე არც ვკვდებით.**

სხვათა შორის, გაერთიანებულმა ოპოზიციამ უკვე აღიარა, რომ დაპირებული 400-ლარიანი პენსია უტოპიაა. ასე რომ, მთავარი დაპირება ტყუილი აღმოჩნდა. ასევე გაირკვა, რომ 2020 წლისთვის გამზადებული 20-ლარიანი საპენსიო მატების რესურსი ხელისუფლებას ახლაც ჰქონია, ამიტომ სწორედ წინასაარჩევნოდ იქნება მატება და ეჭვი მაქვს, მორიგი მატება 2020 წლისთვის გველოდება, რადგან უმნიშვნელოვანესი ეტაპი იქნება და „ბარტყის გადმოგდების“ გარეშე ეს საქმე არ ჩაივლის. შესაბამისად, აკაკი ზოიძის სიტყვები „მხოლოდ წინასაარჩევნოდ არ უნდა ვუმატებდეთ პენსიასო“ 2020 წლამდე სასაცილოდ გამოჩნდება.

ისევ ივანიშვილის ტელეეთერს დავუბრუნდეთ. აქაოდა, ეს რა დაგვემართა, ხალხო, არ ვიცოდი, ასე თუ გიჭირდათო, და ბიძინამ ძველ ტყუილებზე ბოდიში ხომ მოიხადა, ახლებიც დაგვიანონსა. დაგვიანონსა იმიტომ, რომ გამორიცხულია, ერთ წელიწადში ივანიშვილმა გუნდი გაასუფთაოს. ჯერ ერთი, **არ არსებობს მუნიციპალიტეტი, რომელშიც ნაციონალების ყოფილი მაღალჩინოსნები კარგ თანამდებობებზე არ იყვნენ მოკლათებულნი, პარლამენტშიც ყოფილი ნაციონალებისგან არის „ქართული ოცნება“ დაკომპლექტებული და, ყველა რომ ხელის ერთი მოსმით გაყაროს, საპარლამენტოს გარდა, ადგილობრივი თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნებიც ხელში უჭირავს.** ამისთვის კი „ოცნება“ მზად არ არის და ივანიშვილსაც ერთი სული აქვს, როგორმე 2020 წლამდე მივიდეს, რათა მერე თქვას: ყველა ნაციონალი მოვიშორე, განვიწმინდე და მოდით, ისევ ჩვენ აგვირჩიეთო. ეს მაშინ, როცა ის ნაციონალყოფილები მილიონებს აგროვებენ და ამ მილიონებს 2020-ში ისევ ივანიშვილს შეუტრიალებენ.

თუმცა პოლიტიკაზე შემდგომ, ახლა ისევ სოციალურ ფონს მივხედოთ, იმ ფონს, რომელიც ყოველდღიურად უარესდება. ტარიფების გაიაფებას რომ ვერ მოვესწრებით და ველირსებით, უკვე გაცხადდა, რადგან საქართველო ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის შემომტანია, შესაბამისად, ფულს დოლარში იხდის, დოლარი კი ისეა გამყარებული, ლარი თქვენობით ესაუბრება. 20 ლარით გაზრდილი პენსია გაძვირებულ პროდუქტსა და გაზის გადასახადს არ ეყოფა და, იმავე დოლარში თუ ვიანგარიშებთ, 200-ლარიანი პენსია უფრო ცოტა გამოდის, ვიდრე 2012 წელს არსებული 150-ლარიანი პენსია იყო. და ასე, ტყუილ-ტყუილში გადის დრო, პენსიონერთა რაოდენობა რეალურად ნერვებს უშლის ყველა ხელისუფალს, რადგან ეს პრობლემა მუდმივად დგას, თუმცა არ იმჩნევენ. იმჩნევენ კი არა, წინასაარჩევნოდ მოხუცებს გულში იხუტებენ, აქაოდა, ჩვენი სიამაყეები ხართო, და სიამაყეს რომ აშიმშილებ და სასიკვდილოდ იმეტებ, ეგ აღარავის ახსოვს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ათასჯერ მოტყუებული ამომრჩეველი, ორიოდე კვირაში ათასმეერთედ მივა საარჩევნო ყუთთან, ათასმეერთედ გააკეთებს არჩევანს და ეს იმის მიუხედავად, რომ ზუსტად იცის, ორივე მხარე ატყუებს. ტყუილში ცხოვრებას მივეჩვიეთ თითქოს, ათასჯერ ჩამქრალ იმედის ნაპერწკალს სულს მაინც ვუბერავთ, ვაღვივებთ და იმის იმედად ვართ, რომ იქნებ ახლა მაინც არ მოგვატყუონ... **ისე, ბატონმა აკაკიმ რომ თქვა, პენსია საარსებო მინიმუმზე მეტიაო, არ მოვუტყუებივართ, რადგან ერთი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი საქართველოში 168 ლარია. შედარებისთვის გეტყვით, რომ იმავე შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმად ლუქსემბურგში 1922 ევროა დაწესებული, ჰოლანდიაში — 1501 ევრო, ირლანდიაში — 1461, საფრანგეთში — 1457...** ახლა არ დამიწყოთ: ეგ ევროპის განვითარებული ქვეყნებია, აბა, რეგიონს შეედარეო. კი ბატონო, სომხეთში საარსებო მინიმუმი 260 ლარია, აზერბაიჯანში — 370 ლარი. ახლა არ მითხრათ, სომხეთი და აზერბაიჯანიც ევროპის განვითარებული ქვეყნებიაო...

**საქართველოში, კერძოდ თბილისში, ბუნებრივი აირის ტარიფი 0,46 თეთრია, რეგიონებში კი ფასი უფრო მაღალია და 0,56-დან 0,57 თეთრამდე მერყეობს. რატომ გადაწყვიტეს, რომ რეგიონებში უფრო მეტი ფული აქვს ხალხს, ვერ გეტყვით, მაგრამ ნუ ნერვიულობთ, ახალი წლიდან ყველგან მოიმატებს და, სავარაუდოდ, გათანაბრდება. აზერბაიჯანში ბუნებრივი აირის ტარიფი ყველგან ერთნაირია და 0,22 თეთრის ტოლია; რუსეთში — 0,27 თეთრია; სომხეთში კი ბუნებრივი აირის ტარიფს უზარმაზარი ტრანსპორტირების ხარჯიც ემატება და 0,86 თეთრს უტოლდება**

**ბესო ბარბაქაძე**

ტრამპის ადმინისტრაცია გზაგასაყარზეა — ლოზუნგი „ამერიკა — უპირველეს ყოვლისა“ და პროტექციონიზმი გლობალიზაციის პროცესზე მიბმული პოლიტიკის გადახედვას მოითხოვს, მაგრამ ეს ახალ საფრთხეებს ქმნის, მათ შორის გლობალური უსაფრთხოების სისტემის მოულოდნელი ჩამონგრევის საფრთხეს, რომელიც აშშ-ს შეიძლება ძვირი დაუჯდეს. ასეთ ვითარებაში სტრატეგიული დიალოგის გაგრძელება ევრაზიის დომინანტ სახელმწიფოსთან — რუსეთთან, გარდაუვალი ჩანს და ნაკლებად სავარაუდოა, თეთრი სახლი „პაუზის აღებას“ მიემხროს.

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

11 ნოემბერს პირველი მსოფლიო ომის დასრულების მეასე წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე საფრანგეთში ათეულობით ქვეყნის ლიდერი შეიკრიბა. ნავარაუდევი იყო, რომ იქ გაიმართებოდა დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის მორიგი მოლაპარაკება, მაგრამ იმის გამო, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა მიანიშნა სტუმრებს, ეს არასასურველიაო, რუსი და ამერიკელი დიპლომატები შეთანხმდნენ, რომ ლიდერების შეხვედრა ბუენოს-აირესში „დიდი ოცეულის“ სამიტის დროს (30.11-01.12) გაიმართება.

# პუტინი, ტრამპი და გლობალური ფსიქოთერაპია



**ემანუელ მაკრონს**, სავარაუდოდ, სურდა, საიუბილეო ღონისძიებების მთავარ მოქმედ პირად დარჩენილიყო და არ უნდოდა, ექსპერტებსა და მედიას ყურადღება პუტინისა და ტრამპის შეხვედრაზე გადაეტანა. ძვირად ღირებულმა სამიტმა მაკრონი ავანსცენაზე დააბრუნა, რაც, მისი რეიტინგის საგანგაშო დაცემიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია. 10 ნოემბერს საფრანგეთის პრეზიდენტი და გერმანიის კანცლერი კომპიენში ჩავიდნენ, სადაც 1918 წლის 11 ნოემბერს მარშალ **ფოშის** ვაგონში მოკავშირეებისა და გერმანიის წარმომადგენლებმა ზავი გააფორმეს, ხოლო 1940 წლის 22 ივნისს ჰიტლერმა აიძულა დამარცხებული ფრანგები, ამავე ვაგონში ხელი მოეწერათ კომპიენის მეორე ზავისთვის. საინტერესოა, რომ შემდგომ ვაგონი გერმანიაში გადაიტანეს, ხოლო 1945 წლის აპრილში **ჰიტლერის** ბრძანებით დაწვეს. 1992-ში გერმანელებმა მისი ნარჩენები იპოვეს და საფრანგეთს გადასცეს, ამჟამად კი კომპიენში იმავე მოდელის სხვა ვაგონი დგას. **ანგელა მერკელი** ომის შემდგომი გერმანიის პირველი კანცლერია, რომელიც კომპიენს ეწვია. ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ მაკრონსა და მერკელს სურდათ, სიმბოლურად „გაემეორებინათ“ **ფრანსუა მიტერანისა** და **ჰელმუტ კოლის** 1984 წლის შეხვედრა ვერდენში — მათ პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალთან ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს ფრანგებისა და გერმანელების ისტორიული შერიგების ნიშნად, მაგრამ მერკელისა და მაკრონის წლევანდელ შეხვედრას ასეთი რეზონანსი ნამდვილად არ გამოუწვევია.

ამასთანავე, მაკრონს უნდოდა, ხაზი გაესვა საფრანგეთის განსაკუთრებული, წამყვანი როლისთვის პირველ მსოფლიო ომში და, შესაძლოა, ამიტომ ბრიტანელებმა საჭიროდ ჩათვალეს, პარიზის შეხვედრაში მონაწილეობის გარდა, საკუთარი საიუბილეო ღონისძიებებიც ჩაეტარებინათ, რომლებზეც გერმანიის პრეზიდენტი **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი** მიიწვიეს. მან გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი ლონდონში.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებს ძალიან უყვართ საუბარი იმაზე, რომ პირველი მსოფლიო ომის ბედი სწორედ მათმა ჩარევამ გადაწყვიტა, ტრამპის ადმინისტრაციას იუბილეზე მნიშვნელოვანი სიმბოლური ნაბიჯები არ გადაუდგამს, ხოლო თვით პრეზიდენტმა 11 ნოემბრის ღონისძიებების შემდეგ პარიზის „მშვიდობის სამიტში“ მონაწილეობაზე უარი თქვა. ამით მან, შესაძლოა, მიანიშნა, რომ არ სურს მონაწილეობა სხვის პრესტიჟსა და სიმბოლოებთან დაკავშირებულ თამაშებში. ეს მართლაც ნაკლებად შეესაბამება მისი საგარეო პოლიტიკის პრაგმატულ, ხშირ შემთხვევაში კი უხეშ სტილს.

ეს პოლიტიკა, დიდი ალბათობით, კიდევ უფრო ხისტი გახდება. გასულ კვირას აშშ-ში კონგრესის შუალედური არჩევნები გაიმართა. რესპუბლიკურმა პარტიამ დაკარგა უმრავლესობა კონგრესში, მაგრამ სენატში უპირატესობა შეინარჩუნა. ექსპერტების ნაწილი აფასებს დემოკრატების წარმატებას, როგორც ავისმომასწავებელ სიგნალს ტრამპისთვის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, მაგრამ სიტუაცია, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებზე იმარჯვებს ერთი პარტიის წარმომადგენელი, ხოლო ორი წლის შემდეგ კონგრესში მისი ოპონენტების წარმომადგენლობა იზრდება, აშშ-ის პოლიტიკისთვის სავსებით ბუნებრივია. ეს წესია და არა გამონაკლისი.

დემოკრატების წარმატება რესპუბლიკელებისთვის არსებითად არაფერს ცვლის. 2014 წლიდან ისინი ორივე პალატაში უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ დაყოფილები იყვნენ რამდენიმე ბანაკად — ტრადიციონალისტებად, ზომიერ კონსერვატორებად, ე.წ. ჩაის ფრაქციად. ცალკე ფენომენია ნეოკონსერვატორები და მათი გავლენა, როგორც რესპუბლიკურ პარტიაზე, ისე სრულიად პოლიტიკურ ელიტაზე. ამასთანავე, განსხვავებით მეტ-ნაკლებად მონოლითური დემოკრატიული პარტიისგან, სხვადასხვა შტატის რესპუბლიკელი წარმომადგენლები, ამომრჩევლების თუ გავლენიანი ჯგუფების ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირად თანაპარტიელების წინააღმდეგ მიდიან. ასე, მაგალითად, რესპუბლიკელი ლიდერები ფლორიდასა და კალიფორნიაში მხარს არ უჭერენ ტრამპის საიმიგრაციო პოლიტიკას. ამგვარად, 2014-18 წლების პერიოდში რესპუბლიკელების უპირატესობა ორივე პალატაში მეტწილად სიმბოლურ ხასიათს ატარებდა.

უცხოელი კომენტატორები განსაკუთრებულ ყურადღებას სენატის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტში მოსალოდნელ ცვლილებებს აქცევენ. მისმა ხელმძღვანელმა **ბობ კორკერმა** პოსტი დატოვა და მას, სავარაუდოდ, შეცვლის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი **მიტ რომნი**, **ჯიმ რიში** ან **მარკ რუბიო**. სამივე რუსეთის, ირანისა და ჩინეთის მიმართულებით უფრო ხისტი პოლიტიკის გატარების მომხრეა, ვიდრე კორკერი გახლდათ.

დემოკრატებმა მიიღეს საკმარისი ადგილები იმისთვის, რომ ტრამპს ცხოვრება გაურთულონ და მისთვის მნიშვნელოვანი კანონპროექტები დაბლოკონ, მაგრამ ისინი ვერ დაეუფლნენ იმპიჩმენტისთვის საჭირო ბერკეტებს. ტრამპის ადმინისტრაციას დამატებითი სირთულეები შეექმნება, მაგრამ შესაძლებლობა ექნება, პრობლემები დემოკრატების საბოტაჟს დაუკავშიროს, რაც 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების გათვალისწინებით, არც ისე უმნიშვნელოა.

**იმაზე, რომ დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, ნათლად მიუთითებს პირველი მსოფლიო ომის მაგალითიც, რომლის დასრულების მეასე წლისთავის აღსანიშნავად გასულ კვირას ათეულობით ქვეყნის ლიდერები პარიზში შეიკრიბებიან. ამგვარად, ზოგიერთი ქართველი ექსპერტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მალე ვაშინგტონი მოსკოვთან მოლაპარაკებას შეწყვეტს და მასთან ყოვლისმომცველ დაპირისპირებაში შევა, რეალობას სულ უფრო მეტად შორდება**

**ვლადიმერ პუტინისა** და **დონალდ ტრამპის** შეხვედრებს ორმხრივ ურთიერთობებში გარღვევა არ მოჰყოლია — ჰამბურგის, დანანგისა და ჰელსინკის სამიტების შემდეგ უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა, უფრო პირიქით. მნიშვნელოვან როლს ამაში შიგაამერიკული დაპირისპირება ასრულებს — ტრამპის ნებისმიერ შეთანხმებას პუტინთან მისი ოპონენტები განიხილავენ, როგორც კაპიტულაციას. ამასთანავე, **ტრამპის ადმინისტრაციას დიპლომატიის განსხვავებული სტილი აქვს — ის თანდათან აძლიერებს ზეწოლას ოპონენტზე და პარალელურად რიტორიკის აგრესიულობასაც ზრდის. ეს ნათლად გამოვლინდა, მაგალითად, აშშ-თურქეთის ბოლო დაპირისპირებისას, მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსეთთან და ჩინეთთან ეს ტაქტიკა არ ჭრის და, ურთიერთობების გაუარესების გარდა, სხვა შესამჩნევი შედეგი არ მოაქვს.**

ექსპერტების ნაწილი მოსკოვსა და ვაშინგტონში მივიდა დასკვნამდე, რომ პრეზიდენტებს შორის შეხვედრების გამართვა ასეთ სიტუაციაში არ ღირს და მხარეებმა პაუზა უნდა აიღონ, მაგრამ მათი ოპონენტები ამბობენ, რომ დიალოგის შეწყვეტა გლობალური არასტაბილურობისა და რეგიონული კრიზისების გამწვავების პირობებში საშიშია. ცნობილმა რუსმა ექსპერტმა **ანდრეი კორტუნოვმა** თქვა: **„რუსი და ამერიკელი სამხედროების ურთიერთქმედება სირიაში, მაღალი რანგის დიპლომატების კონსულტაციები კორეის ნახევარკუნძულის თაობაზე, ჯონ ბოლტონის პერიოდული შეხვედრები ნიკოლაი პატრუშევთან, რა თქმა უნდა, სასარგებლო და მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი ვერ ჩაანაცვლებენ ორი ქვეყნის ლიდერების შეხვედრებს, ყოველ შემთხვევაში, იმ პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ ეფექტს ვერ მოახდენენ. სანამ ტრამპი და პუტინი რეგულარულად ურთიერთობენ, მსოფლიოს შეუძლია მშვიდად იძინოს. ამგვარად, რეგულარული შეხვედრები საჭიროა, თუნდაც როგორც გლობალური ფსიქოთერაპიის საშუალება“.**

ალბათ, საინტერესო იქნება ამ პარადოქსული პოსტულატის მისადაგება საქართველოს მდგომარეობის მიმართ. **გვამშვიდებს პუტინისა და ტრამპის შეხვედრები თუ პირიქით — გვანერვიულებს? რას მოვიგებთ ან წავაგებთ, თუ მხარეები ზემოთ ნახსენებ ექსპერტებს დაუჯერებენ და პაუზას აიღებენ?**

ის, რომ „გლობალური ფსიქოთერაპიის სეანსი“ პარიზში არ შედგა, მეტწილად პრეზიდენტ მაკრონის „დამსახურებაა“. მან, ფაქტობრივად, ხელი შეუშალა პუტინისა და ტრამპის სრულფასოვანი შეხვედრის გამართვას. საინტერესო რამ მოხდა ელისეს სასახლეში გამართული ლანჩის დროს — თავდაპირველად დელეგაციებს დაურიგეს სქემა, რომლის თანახმად ტრამპი და პუტინი გვერდიგვერდ უნდა მსხდარიყვნენ და, შესაბამისად, საუბრის შესაძლებლობა მიეცემოდათ, მაგრამ ბოლო მომენტში ეს სქემა შეიცვალა — პუტინი და ტრამპი ერთმანეთს დააშორეს. ძნელი სათქმელია, რა იყო ამის მიზეზი — შემთხვევითობა, ემანუელ მაკრონის ამბიციები თუ სხვა გავლენიანი ძალების მოქმედება.

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორმა **ჩარლზ კაპლანმა** ასე აღწერა მთავარი პრობლემა, რომელიც დონალდ ტრამპის წინაშე დგას: „მან დაინახა, რომ მზარდი საფრთხეების გამო ქვეყანას არ შეუძლია დაუბრუნდეს ჯეფერსონისეულ „ეპოქას ალიანსების გარეშე“. აშშ-ის მიერ შექმნილ წესებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი ზღუდავს მანევრის თავისუფლებას, მაგრამ მისი განადგურება ანარქიისკენ მიმავალი გზაა“. **ტრამპის ადმინისტრაცია გზაგასაყარზეა — ლოზუნგი „ამერიკა — უპირველეს ყოვლისა“ და პროტექციონიზმი გლობალიზაციის პროცესზე მიბმული პოლიტიკის გადახედვას მოითხოვს, მაგრამ ეს ქმნის ახალ საფრთხეებს, მათ შორის გლობალური უსაფრთხოების სისტემის მოულოდნელი ჩამონგრევის საფრთხეს, რაც აშშ-ს შეიძლება ძვირი დაუჯდეს. ასეთ ვითარებაში სტრატეგიული დიალოგის გაგრძელება ევრაზიის დომინანტ სახელმწიფოსთან — რუსეთთან, გარდაუვალი ჩანს და ნაკლებად სავარაუდოა, თეთრი სახლი „პაუზის აღებას“ მიემხროს**. იმაზე, რომ დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, ნათლად მიუთითებს პირველი მსოფლიო ომის მაგალითიც, რომლის დასრულების მეასე წლისთავის აღსანიშნავად გასულ კვირას ათეულობით ქვეყნის ლიდერები პარიზში შეიკრიბნენ. ამგვარად, ზოგიერთი ქართველი ექსპერტის მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ მალე ვაშინგტონი მოსკოვთან მოლაპარაკებას შეწყვეტს და მასთან ყოვლისმომცველ დაპირისპირებაში შევა, რეალობას სულ უფრო მეტად შორდება.

**ლუკა ნემსაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„თანამედროვე ინდუსტრიული სახელმწიფო ისტორიულად მოკლე ვადებში ჩამოვაყალიბეთ. ხანგრძლივი გვალვებიდან ბირთვულ ენერგეტიკამდე და იარაღამდე მივედით, კოსმოსი პირველებმა დავიპყარით. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სტალინის დიდი დამსახურებაა“.**

# სტალინის პორტრეტისთვის

## ნიკოლოზ ბაიბაკოვი — სტალინის ბოლო სახალხო კომისარი

დასასრული. დასაწყისი იხ. №40 (464)

**ბაიბაკოვი თავმდაბლობითა და თავაზიანობით არ გამოირჩეოდა. პრინციპული, საქმიანი, პირდაპირი, სამართლიანი და დაუღალავი — ასეთ პიროვნებად იცნობდა ბაიბაკოვს არა მხოლოდ საბჭოეთი, არამედ მსოფლიო. უდიდეს პატივს სცემდა სტალინს, მაგრამ მის წინაშე ქედი არასოდეს მოუხრია, ამიტომაც იყო ბაიბაკოვი სტალინისთვის ახალი ქვეყნის მშენებლის სახე. ბაიბაკოვს სტალინისადმი პატივისცემა მისი გარდაცვალების შემდეგ გაუმძაფრდა და საფლავში ჩავიდა, როგორც მგრძნებარე სტალინელი, რაზეც მიუთითებს მისი მოგონებები, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩაწერა თავის დღიურებში. გთავაზობთ ზოგიერთ შთაბეჭდილებას:**

„სოციალისტური სისტემის დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის საბაზრო ტექნოლოგიებთან შერწყმის მომხრე ვარ... სტალინის პერიოდში დისციპლინა არსებობდა. დღეს მისი ხელმძღვანელობის მეთოდების შემოღების მომხრე ვარ, რა თქმა უნდა, რეპრესიების გარეშე. არაერთხელ დამისვამს საკუთარი თავისთვის კითხვა — რით დაიმსახურა **ბერიამ** სტალინის განსაკუთრებული ნდობა, რომ იგი ესოდენ უზარმაზარი უფლებებით გაენებივრებინა? ეს ხომ არც ისე მარტივი იყო, რადგან სტალინი არ გახლდათ ადვილად მიმნდობი პიროვნება. ნუთუ ეს მხოლოდ ბელადის მიერ წამოყენებული რთული და საპასუხისმგებლო დავალებების წარმატებით გადაწყვეტის შედეგი იყო? მგონია, რომ საქმე სწორედ ამაში მდგომარეობდა — ბერიას ჰქონდა უნარი, სტალინის უმნიშვნელოვანესი დავალებები წარმატებით შეესრულებინა.

რა თქმა უნდა, იგი ადამიანებში შიშს ნერგავდა, მათ კარგად იცოდნენ, რაც ელოდათ ბერიას დავალებების შეუსრულებლობის შემთხვევაში და ყველანაირი მსხვერპლის გაღებით შეუძლებელს აღწევდნენ.

სტალინი, როგორც ჩანს, არაერთხელ დარწმუნებულა, რისი გამკეთებელიც იყო მისი ერთგული გოშია და ამით სრულიად კმაყოფილი ჩანდა. იგი ინტერესსაც კი არ იჩენდა, რა გზებითა და საშუალებებით ასრულებდა ბერია დავალებებს. ბერია ხშირად აშკარა ავანტიურასაც კი მიმართავდა, როდესაც ქვეყნის საწვავისა და ენერგეტიკის განვითარების მიღწევების შესახებ სტალინს ინფორმაციას აწვდიდა.

ერთ-ერთ მაგალითს გავიხსენებ: 1941 წლის თებერვალში, როდესაც სტალინი დიდ თეატრში ამომრჩევლის წინაშე გამოდიოდა, სხვა დავალებებს დაურთო შემდეგიც — 15 წლის შემდეგ ქვეყანას ყოველწლიურად 60 მილიონი ტონა ნავთობი უნდა მოეპოვებინა. ამის მოსმენისას თმები ყალყზე დამიდგა, საიდან აქვს მას ეს რიცხვები? ან ვინ მისცა? მომდევნო დღეს დამირეკა ბერიამ, რომელიც იმხანად საწვავის საწარმოებს კურატორობდა. დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ ვუთხარი:

— ლავრენტი პავლოვიჩ, ამხანაგ სტალინის მოხსენებაში ნავთობის შესახებ ასეთი რიცხვები საიდან მოხვდა? მე რატომ არავინ არაფერი მკითხა? ასეთ მოკლე ვადებში შევძლებთ ამ შედეგის მიღწევას? „მეორე ბაქოს“ ათვისების შესაძლებლობა და იქ არსებული მარაგის განსაზღვრა ჯერ ხომ არ დაგვისრულებია? ბერიამ მიპასუხა:

— ბაიბაკოვ, ეს შენი საქმე არ არის. სტალინმა უკვე თქვა, ახლა კი რაც გინდა, ის გააკეთე.

მაშინვე მივხვდი, რომ სტალინს ეს მონაცემები მან მისცა და ვუპასუხე:

— რადგანაც ასეა, ამხანაგო ლავრენტი, მე გადაწყვეტილების პროექტი მოვამზადე და უნდა დამეხმაროთ.

— ნებისმიერი დახმარებისთვის მზად ვარ, — მიპასუხა ბერიამ.

საჭირო მატერიალურ-ტექნიკური დახმარება მისგან ნამდვილად მივიღეთ. 1945 წლის აგვისტოში მოლოტოვის კურატორობით უკმაყოფილო სტალინმა თავდაცვის სტრატეგიის სფეროში ბერიას უმნიშვნელოვანესი საქმე ანდო. ეს ბირთვული პროექტის ხელმძღვანელობა იყო. ბერიამ მითითებულ პროექტზე მუშაობის სრულიად საიდუმლო რეჟიმი და ყველა ობიექტის ზესაიმედო დაცვა უზრუნველყო. ბელადისგან დავალების მიღების შემდეგ ატომის დარგში ყველა მეცნიერს მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინა. ამ ყველაფრის დაგვირგვინება კი 1949 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა ატომური ბომბის წარმატებული გამოცდა იყო. ამის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტ **ტრუმენის** მხრიდან საბჭოთა კავშირის ბირთვულ შანტაჟს წერტილი დაესვა. ამ მხრივ ლავრენტი ბერიას როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

როგორც უკვე აღვნიშნე, სტალინს პირველად იმ დროს შევხვდი, როცა ნავთობის წარმოების სამინისტროში **კაგანოვიჩის** პირველი მოადგილე ვიყავი. სტალინი ქვეყნის ნავთობის წარმოების მდგომარეობით შეშფოთებული იყო. შექმნილ ვითარებაში, რომელიც ომის დაწყების საშიშროებით იყო გამოწვეული, სტალინმა ნავთობის მოპოვების პრობლემებს დიდი ყურადღება დაუთმო. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეებიდან სტალინი ყველაზე ცნობისმოყვარე და პრაქტიკული პიროვნება იყო და ყველაზე მეტად ის გვეხმარებოდა.

ამ თათბირზე, რომელზეც ჩვენი საწარმოს პრობლემების გადაუდებელი საკითხები განიხილებოდა, ჩემს სამინისტროსთან ერთად ვიყავი გამოძახებული. აქ იმყოფებოდა, აგრეთვე, ცკ-ის თითქმის ყველა წევრი. კაგანოვიჩს სსრკ-ის ნავთობის მრეწველობაში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსთხოვეს. რადგან კაგანოვიჩი ნავთობის მოპოვების დარგში სპეციალისტი არ იყო, ჯერ ჩემი მოსმენა მოითხოვა (ამის შესახებ წინასწარ ვყავდი გაფრთხილებული). დაახლოებით 30 წუთი ვილაპარაკე და ამ დროის განმავლობაში სტალინი ყურადღებით მისმენდა. სიტყვა ერთხელაც არ შეუწყვეტინებია. როდესაც ლაპარაკი დავასრულე, საკმაოდ მშვიდი ხმით დამისვა კითხვები. სახეზე ეტყობოდა, რომ ჩემი პასუხებით კმაყოფილი იყო.

— როგორ ფიქრობთ, ამხანაგო ბაიბაკოვ, „მეორე ბაქოს“ სწრაფად ასათვისებლად რომელი საორგანიზაციო ზომებია საჭირო? ჩემთვის უკვე ცნობილი იყო, რომ სტალინს ზოგადი და ბუნდოვანი ფრაზების მოსმენა არ უყვარდა, მასთან მოსაუბრე კარგად უნდა ყოფილიყო საკითხის არსში გარკვეული და საკუთარ სიმართლეშიც დარწმუნებული. ბელადს პრობლემის ყველა შემადგენელი ნაწილი აინტერესებდა. ჩემი პასუხების შემდეგ სტალინმა მთავრობის მიერ მითითებული მოკლე ვადებითა და შესრულების გზებით დადგენილი პუნქტები ჩამოაყალიბა.

შემდეგ ყოველთვის ვცდილობდი, ნებისმიერი საკითხი ასეთი კონკრეტული სტილით განმეხილა ხოლმე, გარშემომყოფთა მოსაზრებების უგულებელყოფა არ მომეხდინა და თითოეული მათგანის წინადადებისა და შენიშვნისთვის მომესმინა, რათა სწორი და კონსტრუქციული გადაწყვეტილება გვეპოვა.

1940 წლის ივლისში ნავთობის მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობაში ცვლილება მოხდა. მინისტრად **ივანე სედინი** დანიშნეს. ამავე წლის ოქტომბერში მთელი სამინისტრო სტალინთან მიგვიწვიეს. ქვეყანაში ნავთობის მოპოვების მდგომარეობაზე, როგორც სახალხო კომისრის პირველ მოადგილეს, მცირე მოხსენება მქონდა მომზადებული. სტალინი ამჯერადაც ყურადღებით მისმენდა. კაბინეტში დადიოდა და დიალოგის რეჟიმში კითხვებს მისვამდა. განსაკუთრებით აინტერესებდა აღმოსავლეთში, ბაშკირეთის რესპუბლიკაში, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის მდგომარეობა. სტლინმა უბის წიგნაკში ყველაფერი ჩაიწერა, თუ რა იყო საჭირო ქარხნის ასამუშავებლად. ბერიამ და **ვოზნესენსკიმ** კი შესაბამისი ოპერატიული დავალებები მიიღეს.

საუბრისას აქცენტი გაკეთდა ფოლადის მილებზე, რომლებიც საწარმოებს შეფერხებით მიეწოდებოდა, შემდეგ კი სწრაფად ზიანდებოდა და საბადოების ბურღვის პროცესს აფერხებდა. **სტალინმა სედინს განმარტებები მოსთხოვა. იგი დაიბნა, საუბრისას ენა დაება და ბოლოს დამნაშავესავით გაჩუმდა. სტალინი მას დაჟინებით უყურებდა, თან თავს იქნევდა. სედინს კარგად მესმოდა, ის მენავთბე არასოდეს ყოფილა, საჭირო გამოცდილებაც არ ჰქონდა.**

სამინისტროს გადარჩენა მე მომიწია. სტალინს ავუხსენი, რომ ბურღვისას უამრავი ავარია ხდებოდა. ჩემი კრიტიკა შავი მეტალურგიიის სამინისტრომ დაიმსახურა, რომელიც მასიური ფოლადის მილების მიწოდებას აფერხებდა. სტალინი მაშინვე საწერ მაგიდას მიუჯდა და შავი მეტალურგიის მინისტრ **ტევოსიანს** დაურეკა: — ამხანაგო ტევოსიან, დაკავებული ხომ არ ხართ? მაშინ დაუყოვნებლივ ჩემთან გამოცხადდით.



პირველ რიგში მარჯვნიდან მეორე — ნიკოლოზ ბაიბაკოვი

**«სტალინი საქმის მცოდნე, პირდაპირ და სამართლიან ადამიანებს დიდ პატივს სცემდა. იგი მათ ყურადღებით უსმენდა და მათთან ნდობით აღსავსე და საქმიან კავშირს ამყარებდა. მას შეეძლო თანამოსაუბრის აღელვების მიზეზს ჩასწვდომოდა და მისი გულწრფელობა დაენახა: ერთი მოძრაობით ახერხებდა, ადამიანისთვის დაძაბულობა მოეხსნა და დაემშვიდებინა»**

შავი მეტალურგიის სამინისტრო კრემლთან ახლოს იყო. ზუსტად ათ წუთში ტევოსიანი თათბირზე გაჩნდა. სტალინმა მას ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— ამხანაგო ტევოსიან, ამხანაგი ბაიბაკოვი ჩივის, რომ არხების ბურღვის შეფერხებებში თქვენი უხარისხო მილები ტყუის. ამხანაგო ბაიბაკოვ, გთხოვთ, ზუსტად უთხრათ, საქმე რასაც ეხება...

ცნობილია, რომ თავდაცვის საუკეთესო ფორმა თავდახმაა და ტევოსიანმა ეს მეთოდი მაშინვე გამოიყენა. მან თავის მართლება დაიწყო, ამტკიცებდა, რომ თვითონ არაფერ შუაში იყო. ჩვენი კამათი რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

სტალინი განზე გადგა, შუბლი უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა და გვითხრა:

— თქვენ იკამათეთ და იჩხუბეთ, ჩვენ კი მოგისმენთ...

ორივე მაშინვე გავჩუმდით. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ტევოსიანმა აღნიშნა, რომ მილები, რომლებზეც საუბარი იყო, არხების ბურღვისას უდიდეს დატვირთვას განიცდიდა, რომ ამ დროს მასიური ფოლადით დამზადებული მილებიც კი ზიანდებოდა...

— როგორ მოვიქცეთ? — კითხა სტალინმა.

— უნდა ავითვისოთ, — უპასუხა ტევოსიანმა.

სტალინმა მას მკაცრად შეხედა და ირონიულად უთხრა:

— თუ არ გამოგივათ, იმ მოხუცივით აპირებთ ტანჯვას, ახალგაზრდაზე რომ დაქორწინდა და მასაც ტანჯავდა და თვითონაც იტანჯებოდა? უკეთესი იქნება, თუ გვეტყვით, ხარისხიანი მილების დასამზადებლად რა არის საჭირო!

დარცხვენილმა ტევოსიანმა, როგორც იქნა, გაგვარკვია, რომ ხარისხიანი მილების გამოსაშვებად ლეგირებული ფოლადი იყო საჭირო, ამისთვის კი ჩვეულებრივ ფოლადს მოლიბდენი უნდა დამატებოდა.

— პირველ ჯერზე რა რაოდენობაა საჭირო? — დაინტერესდა სტალინი.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მინისტრმა უპასუხა, რომ დაახლოებით 300 ტონა მოლიბდენის გამოყოფა იქნებოდა საჭირო.

სტალინმა იქ მყოფ ვოზნესენკის მიმართა:

— ამხანაგო ვოზნესენსკი, მოლიბდენის საჭირო დანამატს რატომ არ აძლევთ?

მან მშრალი, ოფიციალური ტონით უპასუხა:

— ამხანაგო სტალინ, თავისუფალი რაოდენობით არ გაგვაჩნია, მხოლოდ ხელშეუხებელი მარაგი გვაქვს.

გავბედე და სასწრაფოდ საუბარში ჩავერიე, აღვნიშნე, რომ თითოეული დაზიანებული მილი სერიოზულ ავარიას იწვევდა, რომლის გამოსასწორებლადაც ათია- ▶

**„როგორც მინისტრების უმრავლესობას, სტალინთან შეხვედრა ხშირად მეც არ მიწევდა. იგი ომის წლებში უფრო მეტად ომის საკითხებით იყო დაკავებული. დიდ ყურადღებას უთმობდა, როგორ მიმდინარეობდა საომარი პროდუქციის წარმოება. დღეს სტალინსა და სტალინიზმზე ბევრს საუბრობენ და წერენ, თანაც უმეტესად ნეგატიური თვალსაზრისით. არაერთი ფაქტი მოჰყავთ რეპრესიების განხორციელებაში მისი უშუალო მონაწილეობის შესახებ, თუმცა ამ ყველაფერში სტალინის დადანაშაულება არ შეიძლება“.**

გრიგოლ ორიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თასობით რუბლი იყო საჭირო. მსგავსი ტიპის ავარია კი ჯერ კიდევ ბურღვის პროცესში არხის ლიკვიდაციას იწვევდა. სტალინს ჩემი დასკვნა დამაჯერებლად მოეჩვენა და თავმჯდომარეს კვლავ კითხვით მიმართა:

— მითხარით, ამხანაგო ვოზნესენსკი, რისთვის არის შექმნილი ხელშეუხებელი მარაგი?

და შეკითხვას თვითონვე გასცა პასუხი:

— ხელშეუხებელი მარაგი იმისათვის იქმნება, რომ ისეთ დროს გამოიყენო, როცა საჭმელი და სასმელი აღარ გაქვს. ასე არ არის? მაშ, მარაგს რატომ არ ვიყენებთ? ჩვენ ახლა 300 ტონა მოლიბდენს გამოვიყენებთ, თქვენ კი, ამხანაგო თავმჯდომარევ, გთხოვთ, ეს რაოდენობა, ხელშეუხებელ მარაგში რაც შეიძლება სწრაფად აღადგინოთ.

ბელადი მოლოტოვს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— მითხარით, ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, ხელშეუხებელი მარაგიდან მოლიბდენის გამოყოფის საბუთს ხელს ვაწერთ თუ არა?

მოლოტოვმა უპასუხა:

— მზად ვარ, მხარი დაგიჭიროთ.

ყველამ თანხმობა გამოთქვა და რამდენიმე დღეში საჭირო რაოდენობის მოლიბდენი იქნა გამოყოფილი.

ამ ეპიზოდის შესახებ დაწვრილებით იმიტომ გიამბეთ, რომ, ჩემი აზრით, სტალინის მუშაობის სტილს კარგად წარმოაჩენს. მსგავსი თათბირებისათვის ყოველთვის ყურადღებით ემზადებოდა და მათი ჩატარებისას გამუდმებით უდიდესი ცოდნის დემონსტრირებას ახდენდა. ყველაფრის მიმართ ინტერესს იჩენდა.

მახსოვს **ერთხელ, კრემლში გამოსვლისას, კრასნოდარის ნავთობკომბინატის უფროს აპრიატკინს მხარეში ნავთობის მარაგის რაოდენობა გამოჰკითხა. ორატორმა 150 მილიონი ტონა დაუსახელა. მაშინ სტალინმა მარაგის კატეგორიების მიხედვით გაშიფვრა მოსთოვა, რაზეც პასუხი ვერ მიიღო. აპრიატკინი, უბრალოდ, საქმის კურსში არ იყო.**

— კარგმა უფროსმა, მარაგი კატეგორიების მიხედვით უნდა იცოდეს, — შენიშნა სტალინმა.

სტალინი საქმის მცოდნე, პირდაპირ და სამართლიან ადამიანებს დიდ პატივს სცემდა. იგი მათ ყურადღებით უსმენდა და მათთან ნდობით აღსავსე და საქმიან კავშირებს ამყარებდა. მას შეეძლო თანამოსაუბრის აღელვების მიზეზს ჩაწვდომოდა და მისი გულწრფელობა დაენახა. ერთი მოძრაობით ახერხებდა, ადამიანისთვის დაძაბულობა მოეხსნა და დაემშვიდებინა.

მიუხედავად ამისა, „უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე“ სტალინთან მუშაობა არც ისე იოლი იყო. **რკინისებური ლოგიკის, ფხიზელი გონების, უსაზღვრო განათლებისა და რთული ხასიათის მქონე სტალინი თითოეული ჩვენგანისგან საქმის უმაღლეს ცოდნას, შესრულების უნარსა და ინიციატივას მოითხოვდა.**

სტალინის პერიოდში ჩვენი მუშაობის გრაფიკი ასეთი იყო: სამსახურში დილის 10 საათზე მივდიოდით და იქიდან მხოლოდ დილის 4-5 საათზე ვბრუნდებოდით. ვიდრე სტალინი იქ იმყოფებოდა, სახლში წასვლას ვერავინ ბედავდა. ბოლოს **პოსკრებიშჩევი** ბელადის უახლოეს გარემოცვას დაურეკავდა და შეატყობინებდა, რომ სტალინი დასასვენებლად წავიდა. შინ მხოლოდ ამის მერე მივდიოდით; პირველ რიგში — **მოლოტოვი, ბერია, მალენკოვი, მიქოიანი და ვოზნესენსკი;** ჩვენ, მინისტრები, მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ ვტოვებდით იქაურობას. ჩვენს სამინისტროში ხშირად ისეც ხდებოდა, რომ პოლიტბიუროს ყველა წევრის წასვლის შემდეგ კაგანოვიჩი თავის მოადგილეებს გამოიძახებდა და სხვადასხვა დავალებას აძლევდა, რომლებიც, როგორც წესი, ყოველთვის სასწრაფოდ შესასრულებელი იყო. როცა ვეკითხებოდით, როდისღა უნდა დაგვეძინა, გვიპასუხებდა:

— ახალგაზრდები ხართ, შეგიძლიათ არც დაიძინოთ.

ათობით მაგალითის მოყვანა შემიძლია იმის თაობაზე, როგორი სულისკვეთებით შრომობდნენ ომის მძიმე თვეებში საწარმოები. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: ჩვენ დღე და ღამე მუხლჩაუხრელად ვშრომობდით და ბევრსაც ვაღწევდით.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ამაღლდებოდა ხალხის განწყობა, როდესაც მოსკოვის შემოგარენში ფაშისტური დამპყრობლების მარცხი იხილა, თუმცა ომი გრძელდებოდა და წინ ახალი გამოცდა გველოდა. 1942 წლის ზაფხულში ჩვენს პატარ-პატარა წარუმატებლობებს ვგულისხმობ. როგორც ცნობილია, იმ დროს მოწინააღმდეგემ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. **გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილი წერილის პატარა ნაწყვეტს გაგაცნობთ: „კავკასიის მთიან ზოლში წარმოუდგენელი მასშტაბისა და განსაკუთრებული სისასტიკის ბრძოლა მიმდინარეობს. საბჭოთა სამშობლოს სერიოზული საფრთხე ემუქრება. მტერმა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი რაიონები დაიკავა. მას სურს, პურისა და ნავთობის გარეშე დაგვტოვოს...“**

მართლაც, საწვავის პრობლემა გერმანული რაიხისთვის მნიშვნელოვანი იყო. საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ხომ გერმანია მხოლოდ 8-9 ტონა ნავთობს აწარმოებდა და მას საკუთარი ნავთობი, ფაქტობრივად, არც ჰქონდა.

ამის შესახებ სტალინმა კარგად იცოდა. ჩვენი დაზვერვის სამსახური ომის დაწყებამდე ცნობებს აწვდიდა, რა შესაძლებლობები ჰქონდა გერმანიას, როგორ იღებდნენ გერმანელები თხევად საწვავს. გერმანიას გარკვეულწილად რუმინეთიც ეხმარებოდა, მაგრამ მისთვის ეს საკმარისი არ იყო.

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი ნავთობის საბადოები გერმანელების ხელში რომ არ ჩავარდნილიყო, საბოლოო ჯამში, დაახლოებით სამი ათასი ჭაბურღილი გავანადგურეთ.

სტალინმა კარგად იცოდა, გერმანელები როგორ იღებდნენ ქვანახშირიდან ნავთობს. როდესაც ომი დამთავრდა დამირეკა და მითხრა:

— ამხანაგო ბაიბაკოვ, გერმანიაში არსებული ყველა ქარხანა უნდა ჩამოიტანოთ და შეისწავლოთ, რომლებიც აქამდე ჰიტლერის ხელში იყო, და მას საწვავს აწვდიდა. ამ ყველაფრის განსახორციელებლად ორი წლის ვადა მომცა. სამწუხაროდ, ჩვენ საწვავის მიღების მსგავსი მეთოდი არ გაგვაჩნდა. მხოლოდ ლაბორატორიული გამოკვლევები და მოკრძალებული შედეგები იყო ჩვენი უპირატესობა. ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ ბელადს ვუპასუხე:

— ამხანაგო სტალინ, ასეთ მოკლე ვადაში ამ საქმეს ვერ გავუმკლავდებით. საკმაოდ სერიოზული ობიექტებია და, შესაბამისად, დავალებაც რთული.

— კარგი, მაშინ ექვს თვეს დაგიმატებთ. არც მეტი, არც ნაკლები.

ქვეყანაში არსებობდა სამი პუნქტი, რომლებშიც ყველა დანადგარი განვათავსეთ, თანაც დროშიც ჩავეტიეთ, თუმცა არც ერთი ქარხნიდან ქვანახშირისგან თხევადი საწვავი არ მიგვიღია. რატომ? იმიტომ, რომ იმ წლებში ქვეყანაში უმდიდრესი ნავთობსაბადოების აღმოჩენამ „მეორე ბაქოს“ ათვისებას შეუწყო ხელი, რამაც ნავთობის წარმოება მნიშვნელოვნად გაზარდა. ასე რომ, ჩვენ თვითონაც არ ვიცოდით, უდიდესი რაოდენობის მაზუთი სად წაგველო და ქვანახშირის გადამუშავება აღარ დაგვჭირდა.

როგორც მინისტრების უმრავლესობას, სტალინთან შეხვედრა ხშირად მეც არ მიწევდა. იგი ომის წლებში უფრო მეტად ომის საკითხებით იყო დაკავებული. დიდ ყურადღებას უთმობდა, როგორ მიმდინარეობდა და საომარი პროდუქციის წარმოება. დღეს სტალინსა და სტალინიზმზე ბევრს საუბრობენ და წერენ, თანაც უმეტესად ნეგატიური თვალსაზრისით. არაერთი ფაქტი მოჰყავთ რეპრესიების განხორციელებაში მისი უშუალო მონაწილეობის შესახებ, თუმცა ამ ყველაფერში სტალინის დადანაშაულება არ შეიძლება.

წარმოიდგინეთ, როგორ ვითარდებოდა და იზრდებოდა ომის დაწყებამდე ქვეყნის ეკონომიკა. გადავხედოთ, რა ხდებოდა ქვეყანაში პირველ, მეორე და მესამე ხუთწლედებში. ჩვენ ეროვნული შემოსავლების ზრდას საშუალო ტემპის ნაბიჯებით ვახდენდით და მაინც **თანამედროვე ინდუსტრიული სახელმწიფო ისტორიულად მოკლე ვადებში ჩამოვაყალიბეთ. ხანგრძლივი გვალვებიდან ბირთვულ ენერგეტიკამდე და იარაღამდე მივედით, კოსმოსი პირველებმა დავიპყარით. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სტალინის დიდი დამსახურებაა.**

ზოგიერთი თანამედროვე კრიტიკოსი ამბობს, რომ ეს ყველაფერი ხალხის დამსახურებაა და თითქოს ნამდვილი შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელობა იმ დროს არ არსებობდა. თითქოს სტალინი აქ არაფერ შუაშია და მეტიც, ქვეყანას უვარგისი ხელმძღვანელობა ჰყავდა. ნუთუ შეიძლება მსგავს პოპულისტურ მტკიცებულებებს დავეთანხმოთ? რა თქმა უნდა, არა.

ჩნდება კითხვა: **როგორი იყო სტალინი, როგორც სამხედრო მოღვაწე, მეთაური და მთავარსარდალი? მე, როგორც სამოქალაქო პირი, მას კვალიფიციურად ვერ შევაფასებ, მაგრამ არაერთხელ მიმიდევნებია თვალი, როგორი აქტიურობით, კომპეტენტურობითა და კორექტულობით იყო სტალინი საომარი საქმეებით დაკავებული.** ჩემი აზრით, უადგილო არ იქნება, ისეთი ავტორიტეტული და გამოჩენილი პირის მოსაზრებას დავეთანხმოთ, როგორიც საბჭოთა კავშირის მარშალი **ჟუკოვი** იყო. ერთხელ მას ვკითხე:

— გიორგი კონსტანტინოვიჩ, ახლა, როცა სტალინი აღარ არის, მასზე სხვადასხვაგვარად მსჯელობენ. მაგალითად, იყო თუ არა ის ღირსეული სამხედრო მეთაური ან შეეძლო თუ არა სინამდვილეში ღირსეული მთავარსარდალი ყოფილიყო?

ჟუკოვმა მიპასუხა:

**— სტალინი უდიდესი სამხედრო მეთაური და გამოცდილი, უმაღლესი მთავარსარდალი იყო; ფენომენალური მახსოვრობის მქონე და ნიჭიერი ადამიანი, რომელსაც შრომისუნარიანობა და დაკვირვება არ აკლდა. არ მახსოვს შემთხვევა, რომ სტალინს რომელიმე გადაწყვეტილების მიღებისას თავი ემტვრიოს, თუნდაც ეს საქმეში უკან დახევას ან თავდასხმას ეხებოდეს; ყოველთვის ყურადღებით გვისმენდა და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ იღებდა.**

ისეთი პირდაპირი, მამაცი და პატიოსანი ადამიანის მიერ სტალინის შეფასებას, როგორიც ჟუკოვი იყო, ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მახსოვს, 1965 წელს, როდესაც **კოსიგინის** აგარაკზე ვისვენებდი, შევხვდი მარშალ **ვასილევსკის**, რომელთანაც ძალიან თბილი ურთიერთობა მქონდა. მასაც იგივე კითხვა დავუსვი და თითქმის იგივე მიპასუხა, რა ჟუკოვმა.

გასაგებია რომ სტალინი არა მხოლოდ გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, არამედ მე-20 საუკუნის უდიდესი სამხედრო მოღვაწეც იყო“.

დიდია ბაიბაკოვის როლი სოციალისტური სისტემისა და მისი დაგეგმვის არნახულ წარმატებებში, მაგრამ ის მაინც ის „ბუზია“, რომელიც კამეჩის რქაზე იჯდა და მალ-მალე უკან იხედებოდა: „ეს რამხელა ტვირთს ვეზიდებითო“.



ნიკოლოზ ბაიბაკოვი

**გიორგი ჟუკოვი: სტალინი უდიდესი სამხედრო მეთაური და გამოცდილი, უმაღლესი მთავარსარდალი იყო. ფენომენალური მახსოვრობის ნიჭიერი ადამიანი, რომელსაც შრომისუნარიანობა და დაკვირვება არ აკლდა. არ მახსოვს შემთხვევა, რომ სტალინს რომელიმე გადაწყვეტილების მიღებისას თავი ემტვრიოს, თუნდაც ეს საქმეში უკან დახევას ან თავდასხმას ეხებოდეს. ყოველთვის ყურადღებით გვისმენდა და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ იღებდა**



ნიკოლოზ ბაიბაკოვი და ჟუნა დავითაშვილი

მართლმადიდებლობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეჩერდით, შეაჩერეთ თქვენი ფილოპაპისტური ქმედებები, როდესაც უკვე ამდენი ღმრთისმეტყველი აცხადებს, რომ ამას მოაქვს მავნებლობა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. შეჩერდით, რათა მიღწეულ იქნას ერთობა იესო ქრისტეში. მისია დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე, ამინ!**

# ათონის ბერების მიმართვა მსოფლიო პატრიარქს

**უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხში საქმე ისე არ მიდის, როგორც გამოცხადებული იყო, მაგრამ მსოფლიო პატრიარქს თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია. ბართოლომეოსმა თავისი ნამდვილი სახე ჯერ კიდევ წლების წინათ გამოაჩინა და ამაზე მისი ეკუმენისტური ქმედებები ყველაზე ნათლად მეტყველებს.**

ის, რომ ბართოლომეოსს სურდა სასულიერო პირებისთვის მეორედ ქორწინების უფლების მიცემა, ერთობლივი ლოცვების დაკანონება სხვა რელიგიურ კონფესიებთან (ვთქვათ, მუსლიმანებთან, პროტესტანტებთან, კათოლიკეებთან და ა.შ.), ის, რომ მან გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღება დაიწყო, რაც მართლმადიდებელ სამყაროში არ ხდება და ცალსახად პაპიზმის გამოვლინებაა, ყველასთვის მკაფიო სიგნალი იყო. ჰოდა, ვისაც ძალა, რწმენა და უფლის სიყვარული შესწევდა, პოზიციის გამოხატვას არც მაშინ ერიდებოდა. ერთ-ერთი ნათელი მაგალითი კი ამისა ათონის წმინდა მთის ბერების საგანგებო განცხადება იყო, რომელიც მათ ჯერ კიდევ 2011 წლის ოქტომბერში გაავრცელეს, როცა ბართოლომეოსი საბერძნეთს ეწვია. გთავაზობთ ამ განცხადებას სრულად და უცვლელად, რათა ყველამ გაიგოს, რომ მსოფლიო პატრიარქად წოდებული ბართოლომეოსის ქმედებები არა მხოლოდ რუსეთისთვის ან ცალკეული სასულიერო პირებისთვის, არამედ ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანისა და მართლმადიდებლისთვისაა მიუღებელი.



## ათონის წმინდა მთის მამების კრიტიკული შენიშვნა მსოფლიო პატრიარქისადმი

### ΚΡΙΣΙΜΟΙ ΕΠΙΣΗΜΑΝΣΕΙΣ ΥΠΟ ΑΓΙΟΡΕΙΤΩΝ ΠΑΤΕΡΩΝ ΕΙΣ ΤΟΝ ΟΙΚΟΥΜΕΝΙΚΟΝ ΠΑΤΡΙΑΡΧΗΝ

თქვენო უწმინდესობავ, მსოფლიო პატრიარქო, პატივცემულო ბატონო პრემიერმინისტრო! ეს ორი ეკლესიისა და ქვეყნის მეთაურის ისტორიული ვიზიტია ათონის წმიდა მთაზე, რომელიც წარმოადგენს მართლმადიდებელი ეკლესიის გულს მსოფლიოში. ისტორიულია იმიტომ, რომ თვით ჩვენი ეპოქაა კრიტიკული, როდესაც ასე სწრაფად ვითარდება მოვლენები, და მათ მოსდევს დიდი შედეგები. ეკუმენიზმისა და გლობალიზაციის წიაღიდან გვევლინება ორი მტრული ძალა: ერთი მხრივ, ეს თვით ეკუმენიზმია, მეორე მხრივ — გლობალიზაცია, რომელიც წარმოადგენს მტრულ ძალებს, რომლებიც ცდილობენ, ხელში ჩაიგდონ მართლმადიდებელი ეკლესია და ჩვენი სამშობლო — საბერძნეთი. **ჩვენ, ათონიტები, რომლებიც აქ დიდი ტკივილით ვლოცულობთ სრულიად მსოფლიოსთვის და განსაკუთრებით ეკლესიისა და ჩვენი მამულისთვის, უმორჩილესად გთხოვთ, არ გაჰყვეთ ამ ორ ბნელ ძალას...** ეკლესიის მეთაურის მიერ უკვე დაშვებულია მრავალი შეცდომა, როგორიცაა ღიაობა და კომპრომისი ერეტიკოსების მიმართ, ამპარტავანი და არაშემნანებელი პაპის მიმართ, პაპისა, რომელმაც გაანადგურა დასავლეთის ქრისტიანული ეკლესია და მიიყვანა დასავლეთი ათეიზმამდე, სიბნელემდე და ბოროტებამდე. **რაც შეეხება ჩვენი სამშობლოს მმართველებს, მათ ქვეყანა მიიყვანეს უცხო, ბნელი, ანტიქრისტესმიერი და დამანგრეველი ძალების დაქვემდებარებამდე; მიგვიყვანეს შეცდომებამდე, რომლებსაც ახლა იძულებით ვითმენთ, ითმენს შოკირებული ეკლესიის მრევლი, საბერძნეთის ყველა მოქალაქე, რომლებიც განიცდიან ხსენებული ძალების ზეწოლას.** ჩვენ ასევე გთხოვთ თქვენ, ჩვენს პატივცემულ პატრიარქს, როდესაც მობრძანდებით „ღმრთის დედის ბაღში“, რომელიც საყოველთაო აღიარებით მიჩნეულია „მართლმადიდებლობის დამცველად“, მაშინ თქვენ იმის მსგავსად უნდა მიაგოთ პატივი წმინდა მთას, როგორც ამას ყველა თქვენი წინამორბედი მიაგებდა. თქვენ მოხვედით წმინდა მთაზე იმისათვის, რათა „მიიღოთ, და არა — თავს მოახვიოთ“, რადგან, თქვენი სიტყვების თანახმად, რომლებიც წმ. კინოტის კრებაზე განაცხადეთ, „თქვენ არა გაქვთ ხმა, და, როგორც ეპისკოპოსმა, მხოლოდ ჩვენთან კავშირი უნდა იქონიოთ“. მაგრამ თქვენი ქმედება ამ სიტყვების საპირისპიროა, რადგან თქვენ, პირველ რიგში, აუქმებთ წმინდა მთის იმ თვითმმართველობას, რომელიც არის ღმრთივბოძებული ნიჭი, დამოწმებული საპატრიარქო და იმპერატორული ქრისოვულებით (საზეიმო სიგელი) მოცემული, რათა წმინდა მთამ შეძლოს, განამტკიცოს ეკლესიის წმინდა გადმოცემა და არ დაექვემდებაროს ეკლსიის თავებს, რომლებიც, როგორც დროდადრო ხდება, ეკლესიას განუდგებიან ხოლმე. მაგალითად, ასეთი იყო პატრიარქი **ИОАНЕ ВЕКА**, რომელმაც ათონელი წმ. მოწამეებისა და წმ. აღმსარებლების სახელები შავი ასოებით ჩაწერა ისტორიის წიგნში, ამიტომ ჩვენ ვევედრებით ღმერთს, რომ განგანათლოს თქვენ, რათა არც თქვენ, არც პრემიერმინისტრმა არ მიბაძოთ იოანე ვეკას. მეორე რიგში: წმინდა მთამ მოგვივლინა იმდენი წმინდანი, თვით თანამედროვე ბერები, რომლებიც იყვნენ ღმრთივგანბრძნობილი ადამიანები, ისინი სამაგალითონი არიან მთელი მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და მთელი მსოფლიო კითხულობს: „რას ამბობს წმინდა მთა?“ გაუგონარია, გაანადგურო და გაასწორო წმინდა მთის მთელი მემკვიდრეობა და ფასეულობები. თქვენო უწმინდესობავ, თქვენს სიტყვაში ყურადღება გაამახვილეთ საკითხზე ესთიგმენის მონასტერთან დაკავშირებით, თქვით, რომ უნდა აღდგეს ახალი კანონიკური ძმობის უფლებები და განდევნილ იქნენ მონასტრიდან ანტიკანონიკური მიმტაცებლებიო. როგორ შეიძლება ახალი საძმო კანონიკური იყოს, მაშინ, როდესაც, წმინდა მთის დამფუძნებლური სიგელის თანახმად, გერონდას ელისონიდან სამონაზვნო აღკვეცა წმინდა მთაზე უნდა მიეღო და მონასტრის საძმოს მიერ უნდა ყოფილიყო არჩეული. და რა მიზეზით არიან ესთიგმენის მამები ანტიკანონიკურები და საკუთარი მონასტრის მიმტაცებლები? ჩვენი კი ვფიქრობთ, რომ ეს არის ე.წ. „კანონიერი წესრიგის“ აღდგენა თავსმოხვეული უწესობისა და ომონის დახმარებით, მსოფლიოში საყვედურებისა და დამცირებების თანხლებით. და ჩვენ, წმინდამთიელები, მეტად გაოგნებულები ვართ, იმიტომ, რომ ჩვენი ესთიგმენელი ძმები მოწყვეტილნი არიან წმინდა მთის ერთობას. მიუხედავად ამისა, განა თქვენ არ გამოდიხართ მოწოდებებით თქვენს ეკუმენისტურ ქმედებებთან ერთად, რომ რატომ არა აქვთ ზილოტ მამებს ურთიერთობა თქვენთან და წმინდა მთის იმ ერთობასთან, რომელიც თქვენ მოგდევს? შეჩერდით, შეაჩერეთ თქვენი ფილოპაპისტური ქმედებები, როდესაც უკვე ამდენი ღმრთისმეტყველი აცხადებს, რომ ამას მოაქვს მავნებლობა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. იმისთვის შეჩერდით, რათა მიღწეულ იქნას ერთობა იესო ქრისტეში. მისია დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე, **ამინ!**

**მსოფლიო პატრიარქის პატივისადმი სრული პატივისცემითა და ეკლესიისა და სამშობლოსთვის შეუჩერებელი ლოცვით
წმინდა მთის მამები**

მოამზადა
**ჯაბა ჟვანია**

**P.S. ამ განცხადებით ათონის წმინდა მთის პირუთვნელმა ბერებმა, საბერძნეთის პრემიერმინისტრთან ერთად, მათ მოსანახულებლად ასულ ბართოლომეოსს სიმართლე პირში უთხრეს და, რომ იტყვიან, ყველას დასანახავად ცივი წყალი გადაასხეს. კრიტიკული დამოკიდებულება და უკმაყოფილება ბერების მხრიდან აშკარა იყო, მაგრამ პატრიარქის თანმხლებმა „ლიბერალურმა“ მედიამ ფაქტი შეარბილა და მიჩქმალა.**

**ჩვენ, ათონიტები, რომლებიც აქ დიდი ტკივილით ვლოცულობთ სრულიად მსოფლიოსთვის და განსაკუთრებით ეკლესიისა და ჩვენი მამულისთვის, უმორჩილესად გთხოვთ, არ გაჰყვეთ ამ ორ ბნელ ძალას... ეკლესიის მეთაურის მიერ უკვე დაშვებულია მრავალი შეცდომა, როგორიცაა ღიაობა და კომპრომისი ერეტიკოსების მიმართ, ამპარტავანი და არაშემნანებელი პაპის მიმართ, პაპისა, რომელმაც გაანადგურა დასავლეთის ქრისტიანული ეკლესია და მიიყვანა დასავლეთი ათეიზმამდე, სიბნელემდე და ბოროტებამდე**

# მოსკოვის საპატრიარქო თავის მღვდელმსახურებს თურქეთში მიავლენს

**კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან განხეთქილება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას აიძულებს, გადაწყვიტოს თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მართლმადიდებელ მრევლზე ზრუნვის საკითხები, — განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს სინოდის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა ილარიონმა ტელეარხ „როსია-24“-ის ეთერში.**

იერარქი მიიჩნევს, რომ მოსკოვს სხვა გზა აღარ დარჩა.

„ამჟამად, განხეთქილების პირობებში, ჩვენ არ გვექნება სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები გავგზავნოთ ჩვენი მრევლის საკითხების მოსაგვარებლად; და ეს გაგრძელდება მანამდე, სანამ კონსტანტიპოლის პატრიარქი განხეთქილებაში იქნება“, — განაცხადა მიტროპოლიტმა ილარიონმა.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც მოხდა განხეთქილება მოსკოვსა და კონსტანტინოპოლს შორის, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ უამრავი წერილი მიიღო თურქეთში მცხოვრები რუსი მართლმადიდებელი მორწმუნეებისგან.

მიტროპოლიტმა ყველას შეახსენა, რომ, თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს თურქეთში ჰყავს, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, დაახლოებით 2 ათასიანი საწმყსო, ამ ქვეყანაში რუსულენოვანი ადამიანი ათიათასობითაა. ილარიონმა ასევე გაიხსენა მიზეზი, რომლის



გამოც რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეს ნაბიჯი გადადგა.

„თუკი ადრე ვამბობდით, რომ იქ ჩვენს სასულიერო პირებს არ ვგზავნით, რადგან ეს არის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტერიტორია, ახლა ამის თქმა აღარ შეგვიძლია, რადგან კონსტანტინოპოლის პატრიარქი განხეთქილებაშია“, — განმარტა მიტროპოლიტმა ილარიონმა.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძე**

„თუ თავი ქრისტიანად მიმაჩნია, არ მოვიქცევი ისე, როგორც მე მექცევიან. თუ უნამუსოდ მომექცევიან, არ გავკიცხავ, უნამუსოდ კი არ მოვიქცევი, არამედ დავფიქრდები იმაზე, ჩემი რომელი არაღვთისნიერი ქცევის ან თვისების, ანუ რომელი ჩემი ცოდვის გამო მომიწყო ღმერთმა ასეთი გამოცდა. და როცა მიზეზს ვიპოვი, დავძლევ საკუთარ თავს და ცოდვისგან გავთავისუფლდები. სწორედ ეს არის ქრისტიანობა. „როცა დაგჩაგრავენ, ილოცე მათთვის, გიხაროდეს, რომ ქრისტესთვის იტანჯე. ჩვენ კი პასუხად კომბლის მოქნევა გვსურს“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღმერთი ქვებსა თლის თავისი ქალაქისთვის

**„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვრის, იღუმენ დოვმონტის (ბელიაევის) ინტერვიუს თარგმანს, რომელიც, გარკვეულწილად ჩვენს ქვეყანაში ამჟამად განვითარებულ მოვლენებსა და გამძაფრებულ ურთიერთობებს ეხმაურება. წერილის სათაური ერთგვარი იდიომაა, რომლის სათავე, როგორც ჩანს, ძველ აღთქმაში უნდა ვეძებოთ, კერძოდ: „ბრძანება გასცა დავითმა, რომ თავი მოეყარათ ხიზნებისთვის, რომელნიც ისრაელის ქვეყნიდან იყვნენ და განაწესა ისინი ქვისმთლელებად, რომ ღვთის სახლის ასაშენებლად ქვები დაეთალათ“ (პირველი ნეშტთა, 22,2). „ქვებად“ ადამიანებია წარმოდგენილი, განსხეულებული ტაძრები ღვთისა, რომელთაც ებრძვის ლუციფერი.**



## წმინდანების თანაგრძნობა და ტალახში ამოსვრილი უწმინდურები

**— მამაო, რატომ ბოგინებს მიწიერ ტაძარში ამქვეყნიური ვნებანი და როგორ უნდა შევებრძოლოთ მათ? როგორ უნდა ვიმოქმედოთ?**

— ბოგინებს იმიტომ, რომ ტაძარი საღმრთო-ადამიანური ორგანიზმია: ეკლესიის წინამძღოლია თავად ღმერთი, უფალი იესო ქრისტე, შედგება კი იგი ცოცხალი, მონანიე ადამიანებისგან....

**— მართლად მონანიე ადამიანებისგან.**

— მონანიება უცებ არ მოდის: მავანნი ჯერ კიდევ გზის დასაწყისში არიან. ერთ-ერთი ფილმის („კუნძული“) გმირი ამბობს: „შენ გგონია, რომ არ ვიცი ჩემი ცოდვები?“ მაგრამ ერთია, გაიცნობიერო საკუთარი ცოდვები, სხვა საქმეა, შეძლო შენი თავის დაძლევა და გამარჯვება, შეგნება იმისა, რომ ეს ერთი და იგივე არ არის. ამიტომ იყო, რომ წმინდა მამები თითოეულ ადამიანს ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდნენ. მახსოვს, აღსარებაზე რომ ვიყავი მამა **ნიკოლაი გურიანოვთან,** ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ თითქოს მეპყრობოდა, როგორც ბავშვს. მაგალითად, ახალგაზრდა მშობლებს ტალახში წაექცათ შვილი. მშობლები დაეხმარნენ, წამოაყენეს, დაბანეს, სუფთად ჩააცვეს და განაგრძო ბავშვმა სეირნობა. ბერები ასე აღიქვამენ შენს ცოდვებს, არ დაგძრახავენ, რომ წაიბორძიკე და წაიქეცი, წამოგაყენებენ, დაგბანენ და განუგეშებენ. მათთან ურთიერთობის შემდეგ ფრთებშესხმულივით ხარ, აღფრთოვანებული მიფრინავ. ტალახში კი არ ამოგთხვარეს, არამედ წამოგაყენეს და გზის გაგრძელებაში დაგეხმარნენ. მოგირჩინეს წყლული, რომელიც გტანჯავდა, გიმკურნალეს. მთავარი აქ შემდეგია: დაგეხმარნენ შენი ცოდვების გათვითცნობიერებაში და შეგაგნებინეს, რომ მათი დაძლევა მხოლოდ შენ ძალგიძს, ამას სხვა ვერავინ ვერ იქმს.

**— თქვენ ლაპარაკობთ ცოდვებზე, რომლებსაც ჩვენ, ქრისტიანები, მოვინანიებთ, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც შეგნებულად, დაუფარავად მზაკვრობს, ცრუობს, ავისმქმნელია და ამ ყველაფერს ეკლესიის სახელით აკეთებს, ეკლესიის ავტორიტეტსაა ამოფარებული. ამას როგორღა ვებრძოლოთ?**

— ბრძოლა... რას ნიშნავს „ბრძოლა“? მთავარი „მებრძოლი“ ჩვენთან ლუციფერია, რომელიც მოგვიწოდებდა ბრძოლისკენ, ცვლილებებისკენ, რეფორმირებისკენ. საინტერესო ფაქტია: **ოდიოზურმა ქალბატონმა ჰილარი კლინტონმა, რომელსაც შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტის დაკავების პრეტენზია ჰქონდა, უნივერსიტეტის დამთავრებისას თავისი სადიპლომო ნაშრომი მიუძღვნა... ლუციფერს, როგორც „დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ერთ-ერთ პირველ მებრძოლს“.**

რატომ იქმს ღმერთი ამ ყველაფერს? მხედველობაში მაქვს ჭმუნვა ეკლესიის წიაღში. მგონია იმიტომ, რომ, როგორც საღვთო წერილშია ნათქვამი, თითოეული ჩვენგანით, ვითარცა ცოცხალი ქვებით, უნდა ააგოთ სახლი ღვთისა. ეს იდეა განავითარა ნეტარმა **ავგუსტინემ** ტრაქტატში „ღვთის სახლის შესახებ“: ყოველი ქვა უნდა დამუშავდეს, გამოითალოს, და ღმერთიც გამოთლის თითოეულ ჩვენგანს თმენის, თვინიერებისა და სევდის გზით. ღმერთის ჩანაფიქრით, თმენის, ცდუნების, მწუხარების და ეგრეთ წოდებული წყენინების გზით ჩვენ უნდა ვიქცეთ ღირსეულ ცოცხალ ქვებად (რადგან ნამდვილი ქრისტიანი არ უნდა გაუნაწყენდეს ადამიანს: ხომ აშკარაა, რომ ვინც მას აწყენინა, იმის ზურგს უკან დგას რქიანი ეშმაკი და არა ადამიანი). განაწყენება, განრისხება, შურისძიება, იცოდეთ, „არ არის ჩვენი მეთოდი“. ადამიანი ავ საქმეს სჩადის არა იმიტომ, რომ თვითონ არის ცუდი, არამედ იმიტომ, რომ თავადაც არ იცის, ეშმაკი მისით რომ იკვალავს გზას.

**— ეს ნიშნავს, რომ მზაკვარ ადამიანს, რომელიც აცხადებს, რომ ეკლესიის სახელით მოქმედებს, უნდა მიუდგე ჩვენი საერთო ცოდვილობიდან გამომდინარე?**

— რასაკვირველია. ვისგან განიცადა ჭმუნვა და ვაება ღირსმა მამა **სიმონ ახალმა ღვთისმეტყველმა?** იმათგან, ვინც საპატრიარქოში იჯდა, უმაღლესი ძალაუფლებით აღჭურვილი ადამიანებისგან — მიტროპოლიტებისგან. ეძებდნენ რაიმე ისეთს, რის გამოც შეძლებდნენ გამოდევნებოდნენ, ჩაექროთ, ჩაეცხროთ, გადაესახლებინათ რაც შეიძლება შორს. იგივე ითქმის ღვთივკურთხეულ **იოანე ოქროპირზე, ნექტარ ეგინელზე, სერაფიმე საროველზე...** ვინ უტევდა? თავისიანები, ვინც გვერდით ჰყავდა, თანამოძმენი. წმინდა მამა **იოანე კრონშტატელი** ამბობდა: „ნუ ფიქრობ, რას იტყვიან შენზე ადამიანები, იფიქრე იმაზე, რას იტყვიან შენზე უფალი და მისი წმინდა ანგელოზები“. ამიტომ, დაე, რაც სურთ, ის ილაპარაკონ შენზე, გესროლონ ტალახი, ცილი დაგწამონ, არ უპასუხო იგივეთი. თუ მათ დონემდე დაეშვები, ეს ნიშნავს, რომ უარყოფ ქრისტეს მცნებას: თუ ერთ ლოყაში გაგარტყეს, მეორე მიუშვირე. **თუ თავი ქრისტიანად მიმაჩნია, არ მოვიქცევი ისე, როგორც მე მექცევიან. თუ უნამუსოდ მომექცევიან, არ გავკიცხავ; უნამუსოდ კი არ მოვიქცევი, არამედ დავფიქრდები იმაზე, ჩემი რომელი არაღვთისნიერი ქცევის ან თვისების, რომელი ჩემი ცოდვის გამო მომიწყო ღმერთმა ასეთი გამოცდა. და როცა მიზეზს ვიპოვი, დავძლევ საკუთარ თავს და ცოდვისგან განვიწმინდები. სწორედ ეს არის ქრისტიანობა. „როცა დაგჩაგრავენ, ილოცე მათთვის, გიხაროდეს, რომ ქრისტესთვის იტანჯე. ჩვენ კი პასუხად კომბლის მოქნევა გვსურს“, — ასეთია ბერის სიტყვა.**

## ადამიანის მთავარი მტრის, აგრეთვე, ხატების შესახებ

ნებისმიერ ქრისტიანს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენი მთავარი მტერია ეშმაკი. იმის გამო, რომ ამას ხშირად ვივიწყებთ და ყველაფერი პიროვნებაზე გადაგვაქვს, ვაკეთებთ საქმეს ეშმაკისას, რომელსაც სურს, მას კი არ ვებრძოლოთ, არამედ ადამიანებს. ესაა მთავარი ფანდი. თუ ამ გზას დაადგები, შეიძლება საერთოდ დაკარგო სახე ადამიანის.

დასავლური ხატთაყვანისმცემლობისგან განსხვავებით, რომლის მიხედვით ხატი განიხილება, როგორც ინფორმაციის წყარო, მართლმადიდებლობა მიიჩნევს, რომ ხატი არა მხოლოდ ქადაგებაა, არამედ საღმრთო ენერგიის გამტარებელიც არის. **ათონიდან გავრცელებული იდეების მიხედვით, ღმერთი თავისი წმინდა არსით შეუცნობელია, მაგრამ მასთან შეხება შეგვიძლია მისი ღვთიური ენერგიის მეშვეობით,** რომელიც თავს იჩენს სასწაულმოქმედი ხატების, ზიარების, ეკლესიის სიწმინდეების მეშვეობით. ეს ღვთიური ენერგია, ღვთიური ძალა, ღვთიური მადლი ამ გზით გადმოდის ჩვენზე.

ესაუბრებოდა **პეტრე დავიდოვი**

**(იბეჭდება უმნიშვნელო შემოკლებით)**

გადმოაქართულა **არმაზ სანებლიძემ**

# ფილარეტსა და მაკარის უარი ათქმევინეს ავტოკეფალიური ეკლესიის ხელმძღვანელობაზე

**უკრაინის ორი არაკანონიკური ეკლესიის — უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიისა და „კიევის საპატრიარქოს“ — წინამძღოლებმა ფილარეტმა (დენისენკო) და მაკარიმ (მალეტიჩი) კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეუსს მიმართეს წერილით, რომელშიც უარს ამბობენ თავიანთი კანდიდატურების წარდგენაზე ერთიანი ავტოკაფალიური ეკლესიის მეთაურის პოსტზე.**

**მაკარიმ** თავის წერილში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ უკრაინის საეპისკოპოსოს არც ერთ წარმომადგენელს არ აქვს სათანადო ავტორიტეტი და შესაძლებლობა, პრეტენზია განაცხადოს ახალი ეკლესიის მეთაურად არჩევაზე, ამიტომ უკრაინის არაკანონიკური ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა პატრიარქ ბართოლომეუსს სთხოვა, ამ თანამდებობაზე დანიშნოს პიროვნება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან.

თავის მხრივ, **ფილარეტმა,** სანაცვლოდ იმისა, რომ არ წამოაყენებდა თავის კანდიდატურას ადგილობრივი ეკლესიის მეთაურის პოსტზე, მოითხოვა ახალი ეკლესიის სინოდის ხელმძღვანელად დანიშვნა. ამას გარდა, ახალი სტრუქტურის ხელმძღვანელად დაასახელა მიტროპოლიტი **ეპიფანე** — პატრიარქის წარგზავნილი თავის არაკანონიკურ ეკლესიაში.

„ეს არის ფილარეტის პროტეჟე და მოსწავლე. მისი არჩევის შემთხვევაში ფილარეტი შეინარჩუნებს გავლენას, გაიმეორებს 1990-იანი წლების სიტუაციას, როცა კიევის საპატრიარქოს გამოყოფილ მართლმადიდებელ ეკლესიაში მთავარ როლს ასრულებდა პატრიარქი **ვლადიმერი** (რომანიუკი), მაგრამ ეკლესიას, ფაქტობრივად, მართავდა ფილარეტი“, — ასეთია რელიგიის ექსპერტების თვალსაზრისი.

უკრაინის პრეზიდენტ **პეტრე პოროშენკოს** ამ სტრუქტურის სათავეში თავისი კაცის დასმა სურს — ბართოლომეუსისა და ფილარეტის გავლენისგან შორს მყოფი ადამიანის. შესაძლოა, ლაპარაკია მიტროპოლიტ **სიმონზე** (უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია). სწორედ ამ საკითხის გადასაწყვეტად ხვდება პოროშენკო 13 ნოემბერს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსებს. შეხვედრის ინიციატორი პირადად პრეზიდენტია, რომელიც შეეცდება, მიაღწიოს იმას, რომ რაც შეიძლება მეტმა ეპისკოპოსმა უთხრას მიტროპოლიტ **ონოფრეს,** რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიიდან წავიდეს.

ყველაფრის მიუხედავად, **კონსტანტინოპოლს საკითხის მოგვარება სხვაგვარად სურს: 22 ნოემბერს შეიძლება ჩატარდეს არა გამაერთიანებელი, არამედ დამფუძნებელი კრება, რომელზეც სტრუქტურის ხელმძღვანელად აირჩევენ კონსტანტინოპოლში გავლენიან არქიეპისკოპოს იობს (გეჩას).**



შეგახსენებთ: პოროშენკოს და განხეთქილების შემომტანთ სურთ, რომ წლის ბოლომდე მიიღონ ტომოსი ავტოკეფალიის შესახებ, მაგრამ ის შეიძლება მისცენ მხოლოდ გაერთიანებული ეკლესიის წინამძღოლს, რომელიც უნდა აირჩიონ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის გამაერთიანებელ კრებაზე. ამასთანავე, უკრაინის კანონიკურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ განაცხადა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას ამ ღონისძიებაში. ამიტომ განხეთქილების მოსურნეები კრებას ვერ იწვევენ.

ვითარება მწვავდება ფილარეტის მომხრეთა შორის უთანხმოებითაც. მაგალითად, ფილარეტი და მაკარი აქამდე ვერ შეთანხმდნენ ახალი ერთიანი ეკლესიის დასახელებასა და წესდებაზე. ფილარეტმა განაცხადა, რომ უარს ამბობს ამ საკითხების განხილვაზე გამაერთიანებელი კრების ჩატარებამდე.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ერის საგანძური
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჭაბუას სული ტრიალებდა ამ მომცრო ოთახში — განძთსაცავში, რომელიც სავსე იყო წიგნებით, ფოტოებით, მოგონებებით და... დღევანდელობით. დღევანდელობის განცდა მით უფრო გამიმძაფრდა, როცა ქალბატონმა თამარმა სიტყვა იმ პრობლემებზე ჩამოაგდო, რომლებიც ჩვენს საზოგადოებრიობას აწუხებს და რომელთა გამოც ბატონი ჭაბუა შეგვიძახებდა ხოლმე: „ჭკუით, ქართველებო!“**

# 18 ნოემბერს ჭაბუა ამირეჯიბი 97 წლისა გახდებოდა



# «აქ ვარ და ასე მგონია, რომ აქ არის»

**წლების წინათ, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალების შემდეგ, მის კდემამოსილ მეუღლეს, შესანიშნავ პოეტს — თამარ ჯავახიშვილს რომ შევხვდი, ვკითხე: — თამრიკო, ჭაბუა რომ წავიდა, რაღაც ხომ დაწერე? დიდი განცდა დიდ შემოქმედებით მუხტს რომ შობს, ფაქტია, უწინარესად — შემოქმედებით ნატურაში. ამიტომ შევეკითხე. — არაფერიც არ დამიწერია, ორ-სამ ფრაზას სადღაც ჩავიწერ... ჯერ არც სახე აქვს, არც არაფერი, — ასე მიპასუხა.**

ჭაბუას დაბადების დღის კვირაძალს იგივე შეკითხვა დავუსვი და მან პასუხად გადამიშალა „ქართული ალმანახის“ პირველი ნომერი, რომელსაც გამოსცემს არქიმანდრიტი ადამი, ერისკაცობაში **ვახტანგ ახალაძე**.

გადაშალა ალმანახი ქალბატონმა თამარმა და წამაკითხა იქ გამოქვეყნებული თავისი რამდენიმე ლექსი, ჭაბუასადმი მიძღვნილი.

აქვე — ავტორის კომენტარი: — ძალიან მოკრძალებული პატარა ლექსებიაო.

**აივანზე მდგომი**
**ხელი შევუშვირე წვიმას,**
**ნაზად გეპკურება ცის ნამი**
**და ეს მოგაგონებს იმ დღეს,**
**სულში გაცოცხლდება**
**ის წამი:**
**იგი ლამაზი და კეთილი,**
**შენ კი უმწეო და მშიშარა,**
**სადღაც ქუხილი და ელვა,**
**აქ ნამმა დალურსმა**
**გზა-შარა.**
**გიმზერს საოცარი**
**თვალებით**
**და მისი ღიმილი**
**ციმციმებს,**
**სჯობს, სადმე თუ**
**შევეფარებით,**
**თორემ ახლა მართლა**
**იწვიმებს.**

*** * ***
**როსმე აგვისტოს ღამით**
**მე ცას შევხედავ წამით**
**და შეგადარებ ვარსკვლავს,**
**რა დაშავდება ამით...**
**მერე თენდება მშვიდად,**
**თვალს ველარ ბინდავს**
**რული,**
**და მეფერება ციდან**
**შენი უკვდავი სული...**

*** * ***
**დაცხრა გრიგალი.**
**ხევხუვებში**
**და გამოქვაბულებში**
**დაისვენა ქარიშხალმა,**
**არ ანაღვლებს,**
**რომ მიმოფანტა**
**ყვავილები,**
**ყვავილები წყნარ სამარეზე.**

აქვე, მისი ერთი ბრწყინვალე ლექსი იყო გამოქვეყნებული — მისი პოეტური კრედო. ვთხოვე, წაეკითხა (ყოველთვის საინტერესოა ავტორისეული აქცენტები). პატივი დამდო და თხოვნა შემისრულა:

**ლექსები კი არ იწერება,**
**ლექსები ხდება,**
**მსგავსად ელდისა,**
**მოვლენისა**
**რაღაცის მსგავსად,**
**და სული მხოლოდ**
**მონაწილეა.**
**კი არ დაწერეს,**
**ეს მოხდა ასე,**
**ეს ხდება ხოლმე,**
**ვით მიწისძვრა,**
**ვით ცისარტყელა**
**ან ისე,**
**თითქოს ანგელოზმა**
**ცრემლი მოგწმინდა.**
**მოხდება რაღაც უეჭველი,**
**ვით ერთხელ, ძველად**
**მოხდა „მერანი“, „განთიადი“**
**და „ნიკორწმინდა“.**

წაიკითხა და დაასკვნა:

— აქ ვარ და ასე მგონია, რომ აქ არის.

**ჭაბუას სული ტრიალებდა ამ მომცრო ოთახში — განძთსაცავში, რომელიც სავსე იყო წიგნებით, ფოტოებით, მოგონებებით და... დღევანდელობით.**

**დღევანდელობის განცდა მით უფრო გამიმძაფრდა, როცა ქალბატონმა თამარმა სიტყვა იმ პრობლემებზე ჩამოაგდო, რომლებიც ჩვენს საზოგადოებრიობას აწუხებს და რომელთა გამოც ბატონი ჭაბუა შეგვიძახებდა ხოლმე:**

## „ჭკუით, ქართველებო!“

— ეს უნდა გითხრა სასწრაფოდ: შეუძლებელია ამდენი უწმაწურობის მოსმენა ტელეეკრანიდან, ჩემო კარგო! არ ვართ ჩვენ ის ერი, ეგეთი სიბილწეები რომ ვილაპარაკოთ. გეხსომება, ჩვენი მამების ლექსიკაში ყველაზე მძიმე სიტყვა იყო — „უჰ, ეგ ასეთი და ისეთი!“ ის კაცი, რომელზეც ასეთ რამეს იტყოდნენ, მოკვდებოდა ფიქრით, რა იგულისხმესო ჩემზე?! შეწუხდებოდა.

დღეს ტელესერიალებიდან რაც გვესმის, წარმოუდგენელი უკულტურობაა.

რაღაც იღონეთ, რა...

**— ლიტერატურაშიც შეაღწია, მარტო ტელეეთერში კი არა.**

— ლიტერატურაშიც. მაგრამ ის ლიტერატურა კი არ არის, სიბილწეა.

**— ეგ ითვლება ლიტერატურისადმი რეფორმატორულ მიდგომად. პრემიებითაც აჯილდოებენ.**

— ჯანსუღ ჩარკვიანის გაზეთი ხომ გახსოვს, „ქართული სიტყვა“?

**— ჯანსუღისდროინდელი — კი.**

— იუმორისტული რუბრიკა რომ ჰქონდა — „სიცილ-ნათელები“.

**— დიახ.**

— ერთგან, უკაცრაული პასუხია, საჯდომი მოხსენიებული ჰქონდა არცთუ ლიტერატურული ფორმით. დავურეკე: ჯანუკი, ხომ ხარ ჩემი ძმა, ხომ იყავი ჩემი ქორწილის თამადა, ხომ გეთაყვანები, შენი ნაფიცი მკითხველი ვარ, ნუ მაკადრებ, ძალიან გთხოვ, ასეთ სიბინძურეს.

სიტყვას გაძლევო, მითხრა.

გაზეთის მომდევნო ნომერში ვკითხულობ (ვილაცაზე): „აუფეთქა დედის ტანკი...“

**(გულიანად ვიცინით. ჯანსუღს ეხერხებოდა, ჩარკვიანს, სკაბრეზული იუმორი, და უხდებოდა).**

**— „გაბედული“ უმწიფარიძეები, ლიტერატურის ამგვარად წარყვნას ცხოვრებასთან დაახლოებად მიიჩნევენ — სიტყვის შეუზღუდავ თავისუფლებად... ან სხვა არაფერი აქვთ სათქმელი...**

— სხვა გზით არ შეიძლება ცხოვრებასთან დაახლოება?! მათ ბილწსიტყვაობას ხომ ბავშვებიც ისმენენ, აღიქვამენ, როგორც ნორმას. აგერ ლურჯი ცაა, აგერ — ტალახი. ვიყოთ ტალახში?!

იფიქრეთ ჟურნალისტებმა ამ პრობლემაზე.

**(დავფიქრდი. გამახსენდა: თამრიკო ჯავახიშვილი წლების წინათ ცხელი ზაფხულის ერთ დღეს ჭაბუამ ამირეჯიბების ოჯახში დედასთან გასაცნობად რომ მიიყვანა, სადედამთილომ აივანზე მიიწვია სასაუბროდ. ქუჩაში წყვილი მიდიოდა, ბიჭს გოგოსთვის მხარზე ხელი გადაეხვია.**

**— ჩემი შვილი, — უთქვამს მაშინ ქალბატონ მარიამ ნაკაშიძეს საპატარძლოსთვის, — ბარიშნას ქუჩაში ასე არ გაატარებს.**

**იყო ასეთი თაობა, ასეთი ეთიკური ნორმებით მცხოვრები ადამიანები იყვნენ.**

**ახლა — ვისაც რა გსურთ, ის აირჩიეთ. გამკითხავი მაინც არავინაა).**

**— ყოფიერება ქმნის ცნობიერებას, ხომ ასეა?**

— ცხოვრება როგორიც გინდა იყოს, შენ უნდა დარჩე შენად. „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანი ტარიელს რომ ეუბნება: „მტყუანსა და შენ აგეთსა“, „აგეთს“ ისეთი დატვირთვა აქვს, რომ მოკვდა კაცი, განადგურდა. რაც გვჭირს, უბედურებაა და ეს უნდა მოვიშალოთ. ღმერთმა დაიფაროს ქართველი ერი ასეთი დაცემისგან.

სიყვარულით, დედაშვილურად ყველას ვთხოვ, თავი შეიკავონ ბილწსიტყვაობისგან. ჩვენს ღირსებას არ ეკადრება.

**— დაპირისპირება ბევრი გადაგვიტანია, მათ შორის, შიდაეროვნულიც, მამათა და შვილთა ბრძოლა, მწვავე, პრინციპული, მაგრამ ის, რაც ამ დღეებში საქართველოში ხდება, მსგავსი უზნეობა ისტორიას არ ახსოვს.**

— შედარებაც არ შეიძლება. დავსხლტით, დავქანდით, სადღაც მივექანებით. ერთი ოთხსტრიქონიანი ლექსი დავწერე, ეგებ წაგაკითხე კიდეც:

**ღმერთო, რა გვჭირს**
**ამდენ ჭირის მნახველებს,**
**ეს მაოცებს და ეს მიკლავს**
**გულს.**
**როგორ გვიყვარს**
**საქართველო**
**ქართველებს,**
**ერთმანეთი კი**
**რარიგად გვძულს.**

სიძულვილია გამეფებული. დავიღუპებით. წავიშლებით.

ამას წინათ დავით აღმაშენებელზე წავედი პენსიასთან დაკავშირებული საკითხის მოსაგვარებლად. იმდენი უცხო ხალხი რიალებს, არც კი ვიცი, არაბები არიან თუ ვინ... შევწუხდი ძალიან. ეგენი მოვლენ, ძმაო! კაპიკებად რომ დაურიგა ჩვენი მიწები ყოფილმა პრეზიდენტმა, გვარიც არ მინდა ვახსენო. ზოგს აჩუქა საერთოდ.

**— მოსულები არიან და ეგაა.**

— ჩემი ბიძაშვილი **ჟონდო ჯავახიშვილი** მიყვებოდა. ერთ დროს კასპში მუშაობდა. პირველად ლტოლვილების ნაკადი რომ წამოვიდა, საცხოვრებელი კორპუსები აუშენეს. ჩასახლდნენ, მაგრამ შემდეგ ზოგმა თბილისი აირჩია, ზოგი სხვაგან გადავიდა. დაიცალა ეს სახლები. აჩუქესო ვიღაც ჩინელებს. გადარეული მიყვებოდა — გული მაქვს გახეთქილიო.

იყოს, ვინც გინდა, ჩინელიც და სხვაც, მაგრამ ისინი თავის ენას ამკვიდრებენ, თავიანთ ყოფას, ზნე-ჩვეულებას.

**— ამას წინათ ერთი უჩვეულოდ აღელვებული ტაქსისტი მომიყვა: ორი უცხოელი ჩამიჯდა მანქანაში და მუსლიმ ჰაუსში წაგვიყვანეო. სად არის-მეთქი, რომ ვკითხე, ისე შემომიტიეს** ▶



**«დავით აღმაშენებელმა კაცურად ყველას მისცა უფლება, სალოცავების ნებაც დართო, მაგრამ თავზე ნუ დამაჯდებითო. აბა, რა! მივუშვით! მდინარეს ჯებირს თუ არ გაუკეთებ, მოვარდება და წაგლეკავს. ტოლერანტობა ჩვენ გვასწავლა იესო ქრისტემ. ვინც ჯვარს აცვა, იმათ შეუნდო. საუკუნეებია, მოგვდევს ტოლერანტობა, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, ჩემი აზრით, არის დაუფიქრებლობა, წინდაუხედაობა საკუთარი ერისა და ჩვენი შვილების წინაშე»**

„ჭაბუას მამა 1938 წელს დახვრიტეს, დედა 10 წლით გადაუსახლეს. შემდეგ თვითონაც დააპატიმრეს, მაგრამ ავჭალის კოლონიიდან გამოიქცა. მტკვარი გადაცურა, უცებვე უკან გადმოცურა. სროლით დაედევნენ და იმ ნაპირზე ეძებდნენ, რომელზეც ლოგიკურად ეგულებოდათ: ვინ წარმოიდგენდა, რომ უკან დაბრუნდებოდა. ვერ იპოვეს. ყველამ დაიჯერა, რომ დაიღუპა („გორა მბორგალშიც“ უწერია). ამირან მორჩილაძეს, რომელიც მათი ჯგუფის წევრი იყო, დედამ, დეიდა ქეთომ, მაშინ ციხეში ამანათი რომ მიუტანა, შვილი ატირებული დახვდა: — წუხელ ჭაბუკა გაიქცა და მტკვარში ჩაცხრილესო“.

ერის საგანძური
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ და შემომილრინეს, გადავირიე კაცი: უნდა იცოდე, აბა, რისთვის მუშაობო! თურმე ყოფილ პლეხანოვის პროსპექტს, ახლანდელ დავით აღმაშენებლის გამზირს ასე შეარქვეს და მეც, თბილისელ კაცს, მაიძულებენ, თავში ჩავინერგო, რომ ახლა ასეა, მათებურად, და ასეც იქნება ყოველთვის.**

— დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები დაასახლა საქართველოში და გაქართველდა ის ხალხი. ვინც არ გაქართველდა, მიადგნენ ერთ დღეს კახელები და ამოწყვიტეს თურმე. ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს ამოწყვეტა გამიხარდეს, მაგრამ ან გაქართველდი, ძმაო, ან წადი შენს გზაზე ვიღაცა ხარ. ცოტა გვყავდა გაქართველებული უცხოელი? აგერ ტრიპოლსკი გავიხსენოთ, საქართველოს სახალხო არტისტი, ცუდი ვაჟკაცი იყო? ცუდი ქართველი?! გინდაც მისი შვილი, სიტყვაზე. რაღაც ხდება და როგორ უნდა შევუშალოთ ხელი, რით უნდა აღვუდგეთ, მე არ ვიცი.

დავით აღმაშენებელმა კაცურად ყველას მისცა უფლება, სალოცავების ნებაც დართო, მაგრამ თავზე ნუ დამაჯდებითო. აბა, რა!

მივუშვით! მდინარეს ჯებირს თუ არ გაუკეთებ, მოვარდება და წაგლეკავს.

**ტოლერანტობა ჩვენ გვასწავლა იესო ქრისტემ. ვინც ჯვარს აცვა, იმათ შეუნდო. საუკუნეებია, მოგვდევს ტოლერანტობა, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, ჩემი აზრით, არის დაუფიქრებლობა, წინდაუხედაობა საკუთარი ერისა და ჩვენი შვილების წინაშე.**

**უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ და რა მოგვეთხოვება.** მე მაინც იმედი მაქვს, რომ გადაივლის ეს მღვრიე ტალღა.

**— თუ ვინმე გაწამდა რუსეთში, თუ ვინმეს თავზე უბედურება დატრიალებულა, უპირველესად, ჭაბუა ამირეჯიბზე ითქმის, მაგრამ რუსების მიმართ ზიზღი არ გასჩენია, თუმცა, ამასთანავე, ხლისტებზე სრული სიმართლე თქვა — ამ ზნეობადაკარგულ ადამიანებზე.**

— ზიზღი არ გასჩენია არავითარ შემთხვევაში, მაგრამ ერთ რამეს ყოველთვის ამბობდა, რომ შენ ვინ ხარ, იმან უნდა იცოდეს. ეგრე რომ ეჭირა თავი, იმიტომაც ეთაყვანებოდნენ.

**— და ეთაყვანებიან.**

— უნდა გადარჩეს ის, რაც არის კეთილშობილი, რაც არის ფასეული კაცობრიობის ცხოვრებაში — კულტურა, ზნეობა, სარწმუნოება, უწინარეს ყოვლისა.

ეს არა მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობებზე ითქმის, არამედ ერებს შორის, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებზე, უწინარეს ყოვლისა.

**— ჩვენ აქაც გართულება-დაპირისპირების პრინციპს ვირჩევთ, მაგალითად, რუსეთთან.**

— არაფრით არ შეიძლება კულტურული ურთიერთობების მოშლა. რუსია და აღარ მინდა რუსული ლექსის წაკითხვაო, სისულელეა. როგორ უნდა თქვა უარი, მაგალითად, **ევგენი ევტუშენკოზე,** რომელიც გიწერს:

**Забыв о Грузии**
**неосторожно,**
**В России быть поэтом**
**невозможно.**

ამას წერს რუსი კაცი. ე.ი. გაფასებს და ამ დაფასებას უბრალოდ პატივი მაინც უნდა ვცეთ.

## „აგვიშვეს და გავგიჟდით“

ნებისმიერ ერშია ბრიყვი, ჭკვიანი, ზრდილი, უზრდელი, აგრესიული, მოსიყვარულე. ისეთებიც ხომ არიან, ვინც მოიწევს, თავში რომ ჩაგიჩაჩქუნოს. არ მოგიშვებ: აბა, მოდი და გაბედე!

**არჩილ სულაკაურს** ერთი მოთხრობა აქვს — „ლუკა“.

**— აჩიკო პოეტიც და პროზაიკოსიც შესანიშნავი იყო.**

— რა თქმა უნდა! ჰოდა, იქ მოთხრობილ ამბავში მოყოლილი აქვს, რომ თავმოყვარეობა და გამბედაობა აღმატებულ ფიზიკურ ძალას ჯაბნის და



## «არაფრით არ შეიძლება კულტურული ურთიერთობების მოშლა. რუსია და აღარ მინდა რუსული ლექსის წაკითხვაო, სისულელეა. როგორ უნდა თქვა უარი, მაგალითად, ევგენი ევტუშენკოზე, რომელიც გიწერს: ЗАБЫВ О ГРУЗИИ НЕОСТОРОЖНО, В РОССИИ БЫТЬ ПОЭТОМ НЕВОЗМОЖНО»

ერევა. თავმოყვარეობა არ უნდა დაკარგოს კაცმა. თავმოყვარეობას ეწირებიან. **ლადო ქოქიაშვილს** დანა რომ დაარტყეს, ხომ გახსოვს, აი, იქიდან დაიწყო ჩვენი უბედურება. გაგიჟებულები იყვნენ უფროსი თაობის კაცები: დანაო?! დანა ვინმეს ჯიბეში რომ დებოდა, უკვე სირცხვილი იყო.

**— ბიჭობაში ჩვენც გვყავდა ერთი მეგობარი, რომელმაც რუსთაველზე პლეხანოვიდან ამოსულებთან ჩხუბისას დანა ამოიღო. მოვიკვეთეთ. კარგა ხნის მერე ციხეში მოკლეს.**

— ხასიათს ვერ მოერია... ჭაბუკას ჰყავდა მეგობარი — **გოგი წულუკიძე** („დათა თუთაშხიაში“ წულაძე დაარქვა). ერთად იყვნენ გადასახლებაში (მგონი, „თეთრ გიორგიშიც“ იყო — მაგათ ორგანიზაციაში. **მუსტაფა შელია** იყო მეთაური). ჰოდა, იქ, ციმბირში, გადასახლებაში ყოფნისას, ბანაკში ელექტროსადენი დაზიანდა. პატიმრებს უნდა აღედგინათ. გოგის დაავალეს. 45-გრადუსიან ყინვაში ბოძზე ავიდა. გააკეთა ეს საქმე, მაგრამ ფეხი მოეყინა. ვერ უმკურნალეს და მოკვეთეს. მას შემდეგ პროთეზს ატარებდა.

ერთხელ (მაშინ პავლოვზე ვცხოვრობდით) მოვიდა ჩვენთან. დაჯდა. პროთეზიან ფეხზე შარვალი აიწია, შეხედეთო, გვეუბნება და იცინის: პროთეზზე დანის დანარტყამი ჩანდა. საკმაოდ ღრმა. მოგვიყვა: თქვენთან ტრამვაით მოვდიოდი და ვხედავ, სამი ვიღაც მაიმუნი ქალს ჩანთიდან რაღაცას აცლის. მივედი, ჯერ ერთს დავარტყი, მერე მეორეს და წიხლით ჩავყარე ტრამვაიდან. მესამემ დანა ჩამარტყა პროთეზში. მე გამეცინა: ის ქურდი-მამაძაღლი გადაირია, ეს ვინ ყოფილაო და შეშინებული გადახტა ტრამვაიდან... ასეთი ხალხი იყო.

სათქმელი პირდაპირ უნდა უთხრა, მაგრამ თავი მაინც კეთილმოსურნედ უნდა დაიჭირო: რას აკეთებ, კაცო, ძმაო, რატომ იქცევი ასე?.. შეიძლება გაიგოს და შეიგნოს, მაგრამ ისეთი წამხდარი ხალხიც არსებობს, რაც გინდა უთხარი...

აგვიშვეს და გავგიჟდით. ასეთი თავაშვებული ჩვენი ხალხი ვერც წარმომედგინა.



თამარ ჯავახიშვილი და ჭაბუა ამირეჯიბი

## მზეჭაბუკი

**— სულ მინდოდა მეკითხა: ჩვენ, ყველანი, ჭაბუას ვეძახდით, შენ ყოველთვის — ჭაბუკას...**

— მისი ნამდვილი სახელია მზეჭაბუკი. მამამ დაარქვა, ძია ირაკლიმ, ღმერთმა აცხონოს. ეგრე მოდიოდა ბავშვობიდან.

როცა უწმინდესი ბრძანდებოდა ჩვენთან (ღმერთმა კარგად გვიმყოფოს. მაგის იმედი მაქვს ერთადერთი) წმინდა გიორგის ორდენის გადასაცემად, მიიხედ-მოიხედა და თქვა:

— ჩემი მზეჭაბუკი, ეს როგორ უცხოვრია.

ასე მოკრძალებულადო.

ყოველთვის მზეჭაბუკს ეძახდა, ყოველთვის მოიკითხავდა, როცა მივსულვარ: — როგორ არის ჩემი მზეჭაბუკი?

**და ქალბატონი თამარი ერთ საკრალურ ამბავს მომიყვა.**

**ჭაბუას მამა 1938 წელს დახვრიტეს, დედა 10 წლით გადაუსახლეს. შემდეგ თვითონაც დააპატიმრეს, მაგრამ ავჭალის კოლონიიდან გამოიქცა. მტკვარი გადაცურა, უცებვე უკან გადმოცურა. სროლით დაედევნენ და იმ ნაპირზე ეძებდნენ, რომელზეც ლოგიკურად ეგულებოდათ: ვინ წარმოიდგენდა, რომ უკან დაბრუნდებოდა. ვერ იპოვეს. ყველამ დაიჯერა, რომ დაიღუპა („გორა მბორგალშიც“ უწერია). ამირან მორჩილაძეს, რომელიც მათი ჯგუფის წევრი იყო, დედამ, დეიდა ქეთომ, მაშინ ციხეში ამანათი რომ მიუტანა, შვილი ატირებული დახვდა: — წუხელ ჭაბუკა გაიქცა და მტკვარში ჩაცხრილესო.**

**ოთხი წელიწადი თბილისს ეგონა, რომ მკვდარი იყო ჭაბუა.**

**დეიდამისი თამარი, რომელსაც აგრეთვე დაუხვრიტეს ქმარი — ილოვაისკი, ბათუმში ცხოვრობდა.**

**ჩვენი უწმინდესი იმ დროს ბათუმში გაამწესეს, ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი. მამამ ჩაიყვანა. იკითხა მამამ — სად იცხოვრებსო ჩემი შვილი? უპასუხეს, რომ იცხოვრებდა მორწმუნე ქალბატონის, თამარ ნაკაშიძე-ილოვაისკაიას სახლში — ნინოშვილისა და ყოფილ ენგელსის ქუჩების გადაკვეთაზე.**

— უწმინდესმა გვიამბო, — **იხსენებს თამრიკო,** — დაჯდებოდა ქალბატონი თამარი და ტიროდაო: — ჩემი მზეჭაბუკი. დაიღუპა. არის კი სადმე, ჩემი მზეჭაბუკი? ისე შემიყვარდა ეს სახელი, ძმისშვილი რომ გვეყოლა, მზეჭაბუკი დავარქვიო.

აი, ასეთი საკრალური გადაკვეთა მოხდა პარალელურად განვითარებული ისტორიების.

## „ჩემი ქართლის ცხოვრება“

**თამარ ჯავახიშვილი ჭაბუა ამირეჯიბის მოგონებების წიგნზე ამთავრებს მუშაობას.**

**— „გორა მბორგალში“ ჭაბუამ მთელი თავისი ცხოვრება გადმოგვცა. დარჩა რამე სათქმელი?**

— უფ! რამდენიც გინდა: ტიპები, სიტუაციები... 16 წელიწადი მოიხადა. გარბოდა, იჭერდნენ, წლებს უმატებდნენ. ბოლოს, გათავისუფლების წინ, ჯამში მისჯილი ჰქონდა 83 წელიწადი.

მწერლის სიტყვების „გადმოლიტერატურულება“, ახლა რომ შტამპია, იმის შესაბამისად, ხომ იცი, რომ არ შეიძლება: მწერალს ვერ შეედავები — კონსტანტინე გამსახურდიას თავისი ენა აქვს, მიხეილ ჯავახიშვილს — თავისი, ჭაბუკას — თავისი.

ეს არ არის საგაზეთო სტატია, ტრაფარეტი რომ იყოს.

**— ცუდი საგაზეთო წერილი... — დავიცავი მუნდირის ღირსება.**

— ჰო, რა თქმა უნდა... მივყევი ასე თანდათან, დრო დასჭირდა ამას.

**— როდის გამოიცემა?**

— მალე, შეიძლება ახალ წლამდეც კი.

**შევთანხმდით, როგორც კი მიიღებს სასიგნალო ეგზემპლიარს, თამარ ჯავახიშვილი აუცილებლად გადმოგვცემს ერთ ფრაგმენტს „საქართველო და მსოფლიოში“ გამოსაქვეყნებლად.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## «ზიზღი არ გასჩენია არავითარ შემთხვევაში, მაგრამ ერთ რამეს ყოველთვის ამბობდა, რომ შენ ვინ ხარ, იმან უნდა იცოდეს. ეგრე რომ ეჭირა თავი, იმიტომაც ეთაყვანებოდნენ»

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „რა მომავალი აქვს ქვეყანას, რომლის არა მხოლოდ ინტელიგენციას, არამედ მეთაურებსაც კი არ ესმით, რომ ასეთი ცხოვრება სამომავლოდ შეუძლებელია?“

# «ეღირსება კი ოდესმე ჩვენი უბედური ქვეყანა, რომ მის საქმეთა სათავეში, მისი ბედის მეთაურად... თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული წინამძღოლები ჰყავდეს?»

დასასრული. დასაწყისი იხ. №40 (464)

**ნიკო ნიკოლაძემ ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციით თავისი ქვეყნისთვის მტკიცე ევროპული საზღვაო კარიბჭე შექმნა, მაგრამ წუხდა, რომ ამ პროგრესის წარმატების გზები და მეთოდები იმ დროს არ ესმოდათ. ასე ცხოვრება რომ სამომავლოდ შეუძლებელი იყო, არ ესმოდა არა მხოლოდ ინტელიგენციას, არამედ ქვეყნის მეთაურებსაც კი.**

**ნარკვევი „ოცნება და ცხოვრება“ მეცნიერების მიღწევების, ცოდნის პრიმატის, ტექნიკის განუსაზღვრელი შესაძლებლობების განმარტებაა მათთვის, ვინც ეწინააღმდეგებოდა პროგრესული წესებით საზოგადოების ცხოვრების მართვას, ახალი ტექნიკის შემოღებას, უახლეს საწარმოო საშუალებათა დანერგვას. ასეთები იმდროინდელ საქართველოში ცოტანი როდი იყვნენ.**

**დღეს სხვა დროა, სხვა შეხედულებები და დამოკიდებულებები, პროგრესის დანახვა არც ინტელიგენციისთვისაა რთული და არც ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც გამუდმებით საუბრობენ ევროპულ სტანდარტებზე, მაღალ ტექნოლოგიებზე, იდება ინვესტიციები, ხორციელდება ძვირად ღირებული პროექტები — ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ეკონომიკურად გაჭირვებული მოსახლეობისთვის იგივეა, რაც ფუფალასთვის ფერუმარილი. მავანი შეიძლება შემომედავოს: რა, ახალგაყვანილი გზებით ყველა არ სარგებლობს? რესტავრირებულ და გალამაზებულ ქუჩებში განა გაჭირვებულ ხალხს ვინმე უკრძალავს გავლასო? რა თქმა უნდა, არავინ უკრძალავს მათ არც უზარმაზარ სუპერმარკეტებში სანოვაგის შეძენას, არც რესტორნებში ქეიფს, მაგრამ... ადამიანების გარკვეულ ნაწილს მაინც ნაგვის ურნებში ქექვა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მათხოვრობა „ურჩევნია“. ასეთია რეალობა. ნიკო ნიკოლაძე კი, როცა პროგრესზე საუბრობდა, ხაზს უსვამდა იმას, რომ ყველა იმ სიკეთემ, რომლებიც ქვეყანაში იქმნება, უპირველესად, თითოეული მოქალაქის ცხოვრება უნდა გააუმჯობესოსო.**

**ნიკო ნიკოლაძეცა და მისი თაობის სხვა პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილებიც მიიჩნევდნენ, მსოფლიო არც წყევლა-კრულვისა და არც ძალადონის შედეგად არ განახლებულა, ცოდნითა და მეცნიერებით ავიდა განვითარების მაღალ საფეხურზეო. განათლების დღევანდელ დონეზე საქართველოში კი თუნდაც „დედა ენის“ გარეშე სკოლის დატოვება ამბობს ყველაფერს.**



> **ჩვენი საქმე საქმიან ადამიანებს უნდა მივანდოთ. მსოფლიო განახლდა და განთავისუფლდა არა წყევლა-კრულვის შედეგად, არა მისტიკოსების და ოკულტისტების მიერ, არა ძალადობის წყალობით, არამედ გონებისა და ცოდნის საფუძველზე**

## ოცნება და ცხოვრება

**რა მომავალი აქვს ქვეყანას, რომლის არა მხოლოდ ინტელიგენციას, არამედ მეთაურებსაც კი არ ესმით, რომ ასეთი ცხოვრება სამომავლოდ შეუძლებელია? ვის ან სად აქვს წარსული წლების დანაზოგი, ძველი თაობების მიერ შეგროვებული ის სიმდიდრე, რომელსაც შეეძლო გადაეფარა ხალხის ბიუჯეტის ასეთი დეფიციტი? კიდეც რომ მოვაქუჩოთ აქამდე შეგროვილი ჩვენი სიმდიდრე, ის ხომ ორი-სამი წელიც არ გვეყოფა?** საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელზედაც ამდენს ვლაპარაკობთ ისე, რომ არც კი ვიცნობთ კარგად, ისევე გაკოტრდებოდა, როგორც მისი კარიკატურები, საფრანგეთს ყველა დამშეულისათვის თანაბრად რომ გაენაწილებინა მთელი ფრანგული სიმდიდრე. როგორც ახლა ზუსტად დაიანგარიშეს, ფრანგებსაც მხოლოდ ორ წელს თუ ეყოფოდა სახელმწიფო დოვლათი. მისი სიდიადე სულ სხვა რამეშია. ...რევოლუციამ კანონის წინაშე გაათანაბრა ყველა, ყოველგვარ ნიჭს მისცა გაქანების, განათლების, მოღვაწეობის, ხელისუფლებაში მოსვლის უფლება, და ამასთან წესრიგის დამყარებით ქვეყანას მისცა საშუალება, კიდევ უფრო ნაყოფიერი გაეხადა მისი შემოქმედებითი ძალები, ამასთან, შრომის ნაყოფით ესარგებლა მშრომელებს და არა მუქთამჭამელებს. საფრანგეთის რეალური სიმდიდრე მოკლე ხანში კი არ დანაწილდა, არამედ ათმაგი შეიქნა, რაც რევოლუციის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი იყო. ჩვენში კი ჰგონიათ, რომ ყოველივე ეს დასჯითა და კონფისკაციებით მოხდა...

საფრანგეთის დიდი რევოლუციის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო ის, რომ მან ისტორიის არქივს ჩააბარა ის ბობოლები, რომლებსაც საფრანგეთის ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტები ეჭირათ, რომელთაც არაფერი ესმოდათ იმ საქმისა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ. შემდეგ ამ თანამდებობებზე ყველაზე გამორჩეული ადამიანები დანიშნეს, ვინც ცოდნით, გამოცდილებით, ენერგიით, ტალანტით ყველასგან განსხვავდებოდნენ. **თუ რევოლუციაში უნდა მივბაძოთ ვისმეს, უნდა დავიწყოთ უმთავრესით: ჩვენი საქმე საქმიან ადამიანებს უნდა მივანდოთ. მსოფლიო განახლდა და განთავისუფლდა არა წყევლა-კრულვის შედეგად, არა მისტიკოსების და ოკულტისტების მიერ, არა ძალადობის წყალობით, არამედ გონებისა და ცოდნის საფუძველზე.** რობესპიერებსა და ბაბეფებს კი არ დაუდევთ ახალი წყობის ქვაკუთხედი, მათ შემდეგ, მათივე წყალობით შექმნა ნაპოლეონის დესპოტიზმი, რომელთან შედარებითაც ადრინდელ მეფეთა თვითმპყრობელობა ბავშვური გართობა იყო, მსოფლიოს განახლება იმ სწავლული ქიმიკოსების, მექანიკოსების, ბიოლოგების, ინჟინრების, ფინანსისტების და სამართალმცოდნეთა წყალობა იყო, რომელთაც განსწავლულ ადამიანს მანამდე არარსებული ძალაუფლება მიანიჭეს ბუნებაზე ზემოქმედებისა, ასწავლეს მისი გამოყენება, სრულიად ახალი პირობები შეუქმნეს მრეწველობის განვითარებას და ბუნებრივ საიმდიდრეთა ათვისებას. თავის ნამდვილ განმათავისუფლებლად, ახალი ცხოვრების შემქმნელად გამოფხიზლებული კაცობრიობა მიიჩნევს კარნოს, ლავუაზიეს, პურტალს, ფულტონს, სტივენსონს, ლესეფს, პასტელს და არა იმ მარიონეტებს, რომლებიც კრიზისის დღეებში მომწიფებული ძალებისა და ინტერესების შემთხვევით წარმომადგენლებად გამოჩნდებიან ხოლმე.

შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, თითქოს ჩვენი დროის მეცნიერებამ, დაასამარა რა მისტიკის ქიმერები და მეტაფიზიკის დოქტრინები, ადამიანთა გონებრივი ჰორიზონტი შეავიწროვა და კაცობრიობის ნათელი მომავლის იმედი გააფერმკრთალა. პირიქით, ძველი დროების ყველაზე თამამი უტოპიაც კი ვერ შეედრება იმას, რაც ზუსტმა მეცნიერებებმა მოუტანა დღევანდელ სინამდვილეს არა მარტო ცდებით, არამედ ყველასათვის ხელმისწვდომობით. ადამიანი სავსებით გათავისუფლდა ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან, გემის, რკინიგზის, ავტომობილის, უმავთულო ტელეგრაფის, ტელეფონის, ჰაერში ფრენისა და ტექნიკის სხვა ასეთი სასწაულის წყალობით.

...აი, გზები და ჰორიზონტები გახსნილი მეცნიერების მიერ თანამედროვე ადამიანის ფხიანობისათვის, სხვაზე რომ არაფერი ვილაპარაკოთ და თუნდაც ტრესტების შექმნა აღვნიშნოთ, რომლებიც ქმნიან კონკურენციას, რამაც ჩვენს თვალწინ აშკარა გადატრიალებები მოახდინა, — გადაზიდვების კოლოსალური გაიაფება, მანძილზე ელექტროენერგიის გადაცემა, — ნათელყოფენ, რომ კაცობრიობის ეკონომიკური საქმიანობა სინამდვილეში სულ სხვა მიმართულებით მიქრის, ვიდრე წინასწარმეტყველებდნენ ოკულისტები და მეტაფიზიკოსები გასული საუკუნის *(მე-19 საუკუნის – რედ.)* შუა ხანებში.

მსხვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ არამც თუ მარტო ჩაყლაპა წვრილი წარმოება, არამედ ყოველდღიურად რაღაცით შეავსო კიდეც იგი, წვრილი მეურნეობისა და საწარმოს რიცხვი და წარმადობა მსხვილთან შედარებით ინტენსიურად იზრდება კიდეც. მაგრამ ხელით შრომამ კი არ აჯობა მექანიკურსა და ინტელექტუალურ საქმიანობას, არამედ თანდათან გაუქმდა. მეცნიერება წინ მიუძღვის მანქანებითა და რეაქტორებით განვითარებულ წარმოებას, რომელშიც მხოლოდ ინჟინრებს ექნებათ საქმე და არა ხელით მშრომელს. აი, ფაქტები, რომლის დაუნახაობა სიბრმავეს ნიშნავს. ეს შეიძლება არ ეწამათ სოხუმის მახლობლად მდებარე ათონის მონასტრის ბერებს, ვის ვის და ამ მონასტრის მნათეებს მართებდათ მათი მისტიკური და მეტაფიზიკური დრომოჭმული დოქტრინათა დაცვა, მაგრამ ჩვენს მხარეში სწორედ მათ პირველებმა და ერთადერთებმა გაითავისუფლეს თავი ხელით შრომის სიმძიმისაგან, ბუნებით დაწესებული შავი სამუშაოსაგან. ჩვენი ცრუ პროგრესისტები, რომლებიც ჯერ კიდევ 1848 წლის ჩამორჩენილობას ებღაუჭებიან და ვერ ამჩნევენ, რომ დიდი ხანია მსოფლიოში ყველაფერი გარდაიქმნა, არ ითვალისწინებენ ამ ცოტახნის წინანდელი სიველურეს. ჩვენს ქვეყანას ყველაფერი აქვს ამ სიველურისგან თავის დასაღწევად, უფრო მეტად შეუძლია ხელით შრომისა და პრიმიტული ტექნიკის შეცვლა, ვიდრე სავოიასა და დოფინოში, რომლებიც გამდიდრდნენ რაღაც მეოთხედ საუკუნეში.

იმათთვის, ვინც იცნობს მეცნიერებისა და წარმოების უკანასკნელ მიღწევებს, მე ახალი, რასაკვირველია, არაფერი მითქვამს, მაგრამ განა ბევრი გვყავს ასეთი ადამიანი? არა მარტო განათლებულ, არამედ მოწინავე ადამიანთა უმრავლესობას ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი იმ ილუზიებისა და ვარაუდებისათვის, 60 წლის წინ რომ პროგრესულად ითვლებოდა. ისინი ახლაც წამდაუწუმ იმეორებენ ჩვენს წინააღმდეგ მომართული პოლემიკის პათოსს, — თითქოს ასაკრების აღება შუასაუკუნეობრივი ხარკია. ესეც ორმოციანი წლებიდან გადმოსული გადმონაშთია, როცა სიტყვა ბატონობდა აზრზე, და უარყოფდა ცხოვრების რეალური ფაქტების სერიოზული შესწავლის საჭიროებას. ახლანდელი ზუსტი მეცნიერება კი სრულიად სხვა რამეს გვასწავლის, მან მათემატიკურად დაასაბუთა, რომ შუასაუკუნეების ბოროტება ასაკრების შემოღებაში კი არ მდგომარეობდა, არამედ უხეში ხელით შრომის გაბატონებაში, მაგრამ იგი თანდათან შეცვალა ქალაქისა და მისი თვითმმართველობის მიერ შემოღებულმა გადასახადების წესმა. **ქალაქების მიერ დამკვიდრებული ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის შემოღებული გადასახადები ერთადერთი საშუალებაა ხალხის ეკონომიკური ყოფის გასაუმჯობესებლად,** რომ აფრიკის სიღრმეში არსებულ ველურ ტყეებში, სადაც უხსოვარი დროიდან ბატონობს ცემა-ტყეპა და კაციჭამიობა, არავითარი გადასახადი დაწესებული არ არის, ხოლო ინგლისსა და საფრანგეთში ღარიბი გლეხიც კი ყოველწლიურად ასობით მანეთს იხდის, ანუ ათჯერ მეტს, ვიდრე მისი წინაპრები იხდიდნენ შუასაუკუნეებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, თავის ბედს მაინც არ გასცვლის წინაპართა ხვედრზე. ამიტომ **ვისაც თავისი ქვეყნის სიკეთე და პროგრესი სურს, მან გადასახადს ბრძოლა კი არ უნდა გამოუცხადოს, არამედ მის გაძლიერებასა და განმტკიცებაზე უნდა იფიქროს, რასაკვირველია, ეს გადასახადები, ხალხის წარმომადგენელთა კონტროლის წყალობით, უნდა მოხმარდეს საკუთარი ქვეყნის საჭიროებას, ტექნიკურ შეიარაღებას და ხალხის განათლებას.**

გული მტკივა, რომ ამ აქსიომების მტკიცება მჭირდება არა ბავშვებისათვის, არამედ ბელადებისათვის. **ეღირსება კი ოდესმე ჩვენი უბედური ქვეყანა, რომ მის საქმეთა სათავეში, მისი ბედის მეთაურად, მისი საჭიროების გამომხატველად, მისი ენერგიის წარმმართველად თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული წინამძღოლები ჰყავდეს? თუ მას ელის დაღუპვა ისე, რომ ვერ ეღირსოს ნათელს და იმ მეთაურთა მსხვერპლი შეიქნეს, ვინც ვერც კი ხვდება თავის გონებრივ სიბნელეს ქვეყანას უფსკრულისაკენ რომ მიაქანებს.**

**ნიკო ნიკოლაძე,**
„ოცნება და ცხოვრება“
**1908 წ.**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

დედაქალაქის ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ეს კოშკი ერთ-ერთ საკარმიდამო ეზოში დგას. აღმოაჩინეს, რომ კოშკს საძირკველი საერთოდ არ ჰქონია. კოშკი დგას იდეალურად მოსწორებულ ადგილას ათი მეტრის დიამეტრის უსაძირკვლოდ, კედლების სისქე ორი მეტრია, კოშკის საერთო სიმაღლე — 15 მეტრი. იგი შედგება სამი სართულისგან. სართულები ერთიმეორეს უკავშირდება კედელში დატანებული კიბით. მეორე სართულზე არის ბუხარი. პირველ და მეორე სართულებზე დატანებულია სათოფურები. მესამე სართულზე ქონგურებია სათოფურებით.

# ავჭალა

**ავჭალა საქართველოს დადაქალაქის დასავლეთის ჭიშკარია, ქართული ისტორიოგრაფიის გზაჯვარედინზე მრავლის მომსწრე და მნახველი. ავჭალა საყოველთაოდ ცნობილი ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური მშენებლობის შემდეგ გახდა. ისტორიულ ქრონიკებში ხშირად მოიხსენიება ავჭალა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფელი. დიდი თურქობის დროს, XI საუკუნის 80-იან წლებში, თურქები ზამთრობით თურმე ავჭალასა და დიღომში იდგნენ. IX-XI საუკუნეებში ავჭალა თბილისის საამიროში შედიოდა, XII-XIII საუკუნეებში — კახეთის საერისთავოში, 1962 წლიდან კი თბილისის გარეუბანი გახდა, ამჟამად გლდანი-ნაძალადევის რაიონის ნაწილია.**

საუკუნეების განმავლობაში მტკვრის წყლის დანალექით განოყიერებულ მიწაზე წარმოიქმნა უდაბური და ულრანი ტყე, რომელსაც ხალხმა „ავი ჭალა“ უწოდა, იგი წარმოადენდა მრავალი მხეცის, ფრინველის, ასევე ავაზაკთა საბუდარს. მტკვრის ახლოს გაუვალი ჭაობებითა და ულრანი ტყით დაფარული ეს ტერიტორია თურმე შიშს ჰგვრიდა ადამიანებს. ხალხში გავრცელებული იყო რწმენა, რომ ამ მიდამოებში ავი სულები ბინადრობდნენ. სწორედ ამიტომ უწოდებდნენ ამ ადგილს ავ ჭალას.

ასე რომ, სოფელ დიდუბიდან მოკიდებული, თითქმის მცხეთამდე მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო წარმოადგენდა დიდ ულრან ჭალას, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონისა და ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში მოხსენებულია, როგორც „ავი ჭალა“, იგივე ავჭალა. როგორც მემატიანეები აღნიშნავენ, ეს ადგილი მრავალჯერ გამოუყენებათ ქართველ მეფეებს თბილისზე საიერიშოდ, ჯარის სამალავად, როდესაც თბილისის ციხესიმაგრეები მტერს ეკავა. ავჭალასთან, მდინარე მტკვარზე, ხელსაყრელო ფონი იყო, რითაც მტრები, მათშორის ლეკი მოთარეშეებიც, სარგებლობდნენ.

XVIII საუკუნის დასაწყისში 1724 წელს მტრისგან თავდასაცავად მტკვრის გაყოლებაზე სოფელ დიდუბემდე ციხე-კოშკები აუშენებიათ, სულ 12. მათგან 11 მთლიანად დაინგრა ისე, რომ კვალიც არსად დარჩენილა. ერთი კი ავჭალაში ახლაც დგას ერთ-ერთ საკარმიდამო ეზოში. აღნიშნულ კოშკს მიწისძვრისა და დიდძალი ნალექებისგან დროთა განმავლობაში ჩამოეშალა ცალი მხარე. რესტავრატორებმა გაწმინდეს ჩამოშლილი ქვა-ღორღისაგან, გაანთავისუფლეს აღსადგენი ადგილი და აღმოაჩინეს, რომ კოშკს საძირკველი საერთოდ არ ჰქონია. კოშკი დგას იდეალურად მოსწორებულ ადგილას ათი მეტრის დიამეტრის უსაძირკვლოდ, კედლების სისქე ორი მეტრია, კოშკის საერთო სიმაღლე — 15 მეტრი. იგი შედგება სამი სართულისგან. სართულები ერთიმეორეს უკავშირდება კედელში დატანებული კიბით. მეორე სართულზე არის ბუხარი. პირველ და მეორე სართულებზე დატანებულია სათოფურები. მესამე სართულზე ქონგურებია სათოფურებით.

ცნობილია, რომ მდინარე მტკვარი (მარცხენა ნაპირი) ორთაჭალისა და კრწანისის ბაღების მოსარწყავად ვერ გამოიყენებოდა, რადგან მტკვრის ეს ნაპირი კლდოვანი იყო. არადა დიდუბის ველის გამოყენება ხელოვნური მორწყვის გარეშე წარმოუდგენელი იყო, ამიტომ მის მოსარწყავად რუ უნდა გამოეყვანათ მდინარე არაგვიდან. ასეთი რუ ვახტანგ V დროს (1658-1676) ავჭალიდან გამოუყვანიათ. ეს უნდა ყოფილიყო ძველი სარწყავი ტრასის — არაგვი-ავჭალა-ღრმაღელე-დიდუბე აღდგენილი ხაზი, რომელიც არსებობდა და მოქმედებდა შორეულ წარსულში. როგორც ჩანს, ჯერ თამარ მეფეს განუახლებია დიდუბის ვალისა და თბილისის სანახების მოსარწყავად, შემდეგ მოშლილა. 1887 წელს კი თბილისის წყლით მოსამარაგებლად შეკრიბეს წყაროები და გაიყვანეს ავჭალის წყალსადენი.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან სოფელი ავჭალა თავად გურამიშვილთა მამულში შედიოდა. გურამიშვილის სასახლე, რომელიც მტკვრის ნაპირზე (კომუნისტების პერიოდში შუშის ქარხნის ტერიტორიაზე) იყო აგებული და გალავნით გარშემორტყმული, იქვე იყო აგებული საგვარეულო ეკლესიაც. სასახლეს XIX საუკუნის შუა წლებამდე მიუღწევია, ხოლო ეკლესიას — XX საუკუნის 50-იან წლებამდე.

ავჭალისკენ მიმავალ გზას აჩვენებს ვახუშტი ბატონიშვილი მის მიერ 1735 წელს შედგენილ თბილისის პირველ გეგმაზე. დედაქალაქის ტერიტორიაზე ის გარეთ ავლაბრისა და ჩოღურეთს შორის გადიოდა.

**მტკვართან უფრო ახლოს გამავალ გზას ეწოდებოდა „ქვემო გზა სოფელ დიდ ავჭალამდე“, ხოლო მეორეს — „ზედა გზა“, ძველად ავჭალის გზა გალავნის ავლაბრის კართან იწყებოდა, რომელიც XVIII საუკუნემდე დღევანდელი მეტეხის აღმართზე მდებარეობდა.** ავჭალის გზა სოფელ ჩოღურეთს ორად — აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ყოფდა. ეს იყო იმ დროისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა, რომელიც თბილისს ჩრდილოეთთან აკავშირებდა.

ავჭალის გზას ქვეყნისთვის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სამხედრო-საფორტიფიკაციო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ქვეყნის ცენტრს პერიფერიასთან აკავშირებდა: სოფელს — ქალაქთან, დამამზადებელს — გამსაღებელთან. გზა ხელს უწყობდა ჯარის სწრაფ ფორსირებას და სხვ. ავჭალის გზის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი „ქალაქის კართან“ — ისანთან იწყებოდა, კარს კი ქალაქის გალავანს იმ მხარეს უკეთებდნენ, რომელ მხარესაც ინტენსიური მიმოსვლა და ვაჭრობა წარმოებდა. XII-XIII საუკუნეებში ეს გზა ინტენსიურად გამოიყენებოდა, ამაზე მეტყველებს ახლანდელ რიყის ქუჩაზე 1940 წელს აღმოჩენილი ჯალალ ედ-დინის დროინდელი მონეტები.

ბედის უკუღმართობამ საქართველოს ისტორიის ბორბალი უკან დაატრიალა, თბილისი მტრებმა რამდენიმეჯერ დაარბიეს და დაანგრიეს. მოძალებული მტრის გამოისობით ბევრი საქარავნო გზა დაინგრა და დავიწყებას მიეცა. ვერც ავჭალის გზა გადაურჩა მსგავს ბედისწერას.

XVII საუკუნის დასაწყისში არაგვის ერისთავმა ნუგზარმა მდინარე მტკვარზე (ახლანდელი ბარათაშვილის ხიდის ადგილას) ქვითკირის ბურჯებზე ხიდის აგება გადაწყვიტა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ XVII საუკუნეში „ავჭალის გზას“ გამოცოცხლება დაუწყია და თავისი პირვანდელი ადგილი დაუკავებია ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაში.



იოანე ნათლისმცემლის ტაძარი



წმ. პეტრე მოციქულის ჯაჭვები, რომი

მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, კოშკის ახლოს კლდოვან ფლატეზე, გადმოცემით, ვინმე ბარნაბა ლომიშვილისა და მაშინდელი მრევლის მეშვეობით აიგო ტაძარი, რომელსაც **იოანე ნათლისმცემლის** სახელი ეწოდა. იოანე ნათლისმცემლის ტაძარი აშენებულია ძველი ქართული ტაძრების სტილზე. 1742 წლის 7 ივნისს, იოანე ნათლისმცემლის შობის დღეს, ტაძარი აკურთხა თვით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზმა. იმავე წელს მომხდარა საშინელი მიწისძვრა. ვახუშტი ბატნიშვილის სიტყვებით, „ამ ხანთა შინა შეიქმნა ძვრა საშინელი ორმოცი დღე და ღამე ქვეყანა ირყეოდა. დიდი საშინელება შეიქმნა, ქვეყანა რყევისაგან აღარ დადგა. კახეთს, ალავერდს საყდარი დაიქცა, იალბუზის მთები ბევრ ადგილს გადმოიქცა და მრავალი სული მოსახლე კაცი შიგ მოიტანა, ქართლში მრავალი შენობა დაიქცა“. ახლად ნაკურთხ იოანე ნათლისმცემლის ტაძარში შესასვლელი ჩამონგრეულა. ტაძრის რესტავრაცია მოხდა 1990 წელს. მრევლის ძალისხმებითა და მონდომებით 2001 წლის 7 ივნისს აქ აშენდა დიდი ტაძარი. 1994 წლიდან აქ მოქმედებს დედათა მონასტერი.

**წელიწადის ნებისმიერ დროს მორწმუნებს იზიდავს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სასწაულმოქმედი წყარო — ზაფხულში ცივი, ზამთარში თბილი, რომელიც, საიდან იღებს სათავეს, არავინ იცის. აქ მოსული მლოცველები, რწმენით მიახლოებულნი, იუკურნებიან დაავადებებისგან.**

თბილისში არსებული მრავალი ტაძრიდან ერთ-ერთია **ავჭალის წმ. ქეთევანის ტაძარი**. ავჭალის გავლით საგურამოში მიმავალი ილია ჭავჭავაძე, მშენებარი ტაძრით დაინტერესებულა და საკუთარი წვლილიც შეუტანია მის დამთავრებაში. ეკლესიის ერთ-ერთი წინამძღვარი ყოფილა ნიკიფორე კანდელაკი, რომელსაც ტაძრის ტერიტორიაზე საკვირაო სკოლა ჰქონია გახსნილი. 21 მარტს ტაძარი აღნიშნავს დიდმოწამე ქეთევან დადოფლის ხსენების დღეს. **ქეთევან წამებულის ტაძარში უამრავი სიწმინდეა დაბრძანებული: ქეთევან წამებულის, წმ გიორგის, კლიმენტი რომის პაპის, ევდოკიმე ვატოპედალის, იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, საბა გამწმენდელის, კვირიკეს, ივლიტას, იოანე ნათლისმცემლის, წმ. მარინეს წმინდა ნაწილები, ღვთიშობლის კვართის „უფლის საფლავის ლოდის და იმ ღრუბლის ნაწილი, რომელიც ჯვარცმულ ქრისტეს პირზე მიადეს; სინას მთის ქვა, რომელზეც ყოველი მხრიდან მაყვლის ბუჩქია გამოსახული, ხის ნაწილი, რომელზეც ზაქე იყო ასული, დიმიტრი თესანოკელის მირონი, პანტანასას „ყოველთა დედოფლის“ ხატი, რომელიც XVIII საუკუნის ხატის ასლია. მასთან ლოცვით მრავალი ადამიანი განკურნებულა ავთვისებიანი სიმსივნისგან.**

ქეთევან წამებულის ტაძარში დასვენებულია ივერიის ყოვლადწმინდა ღვთიშობლის ხატის ასლი, რომელსაც მირონი სდიოდა, ეს სასწაული დაიწო 1999 წლის 31 დეკემბერს, ღამისთევის მსახურებაზე. მირონი სდიოდა ჯვარცმასაც, რომელიც აღმართულია გოლგოთის მთიდან ჩამოტანილ ლოდზე. ტაძარში დაბრძანებულია ღვთისმშობლის ხატი, რომლის წინ ქეთევან დედოფალი ლოცულობდა სიცოცხლის ბოლომდე. ხატს, რომელიც საფრანგეთიდან ჩამოაბრძანეს საქართველოში, ჩამობრძანებისას ცრემლი გადმოუგორდა. მისი კვალი ახლაც ატყვია ღვთიშობლის თვალებს. ქეთევან წამებულის ტაძრის ეზოში კიდევ ორი ეკლესიაა: ერთი იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის, ხოლო მეორე – სერაფიმ საროველის.

ვინაიდან ავჭალის მახლობლად მდებარეობდა მრავალი პატარ-პატარა სოფლები, იალნოს მთაზე აგებული იყო საკულტო ნაგებობა, რომელიც მტრის მრავალი შემოსევების შედეგად დაინგრა. XIX საუკუნეში მოსახლეობამ არ იცოდა, თუ რის ნანგრევები იყო ეს, გადაწყვიტეს, აეგოთ **წმ. პეტრეს ტაძარი**. ტაძრის მშენებლობა დასრულდა 1815 წელს, რომელიც დღესაც გადმოჰყურებს ზემოდან ავჭალას და მის მფარველად ითვლება. იგი მთელი ავჭალის სალოცავია. წმინდა პეტრე მოციქულის ტაძარი სამია მსოფლიოში. ერთ-ერთი მათგანი რომშია, სწორედ იქ იჯდა საპყრობილეში ჯაჭვებით დაბმული პეტრე მოციქული, რომელიც იესომ თავის ღვთიური ძალით იხსნა, გისოსები გასწია და მოციქულმა თავის დაღწევა შეძლო. ეს მოხდა 29 იანვარს, ამიტომ რომშიც და საქართველოშიც ეს დღე ჯაჭვთა თაყვანისცემის დღითაა წოდებული.

ჯაჭვის სამი ნაწილი რომიდან ჩამოაბრძანეს და წმ. პეტრე მოციქულის ტაძარში დააბრძანეს.



წმ. ქეთევანის ტაძარი

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაკავებულებმა აღიარეს, რომ მათ სწამდათ სატანა და ამიტომ აპირებდნენ, მკვლელობის შემდეგ მსხვერპლის ხორცი ეჭამათ და სისხლი დაელიათ.**



## ავსტრალიაში 102 წლის მამაკაცი სექსუალური დანაშაულის გამო დააპატიმრეს

**ეს მოხდა სიდნეის ხანდაზმულთა სახლში. აქ თავშეფარებულ 102 წლის პენსიონერს ბრალი დასდეს 94 წლის ქალზე სექსულურ თავდასხმაში დამამძიმებელ გარემოებაში.**

ინციდენტის დეტალებს პოლიცია არ ამხელს. იუწყებიან, რომ დამნაშავეს შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრება, ჯერჯერობით კი თავდებით გათავისუფლებულია.





## ცოლი წამლავდა, ახრჩობდა და ესროდა ქმარს, მაგრამ ის გადარჩა

**მიუხედავად იმისა, რომ კენტში მცხოვრები რაიმონდ უეტეროლი ტვინის სიმსივნით იყო დაავადებული, ცოლი მისგან სწრაფად გათავისუფლებას ცდილობდა. საქმე ის იყო, რომ 32 წლის ჰეილიმ გაიჩინა საყვარელი, ქმრის უახლოესი მეგობარი გლენ პოლარი.** ამ წყვილმა, რომელსაც მხარში ამოუდგა რაიმონდისა და ჰეილის 20 წლის ქალიშვილი, გადაწყვიტა, დაავადებული კაცის მოკვლა. ისინი ერთობლივად ცდილობდნენ რაიმონდის მოწამვლას, თევზაობის დროს დახრჩობას, აფეთქებასაც კი, — იუწყება Mirror, მაგრამ ვერ შეძლეს. ყოველ გაცუდებულ მცდელობას ისინი შემთხვევითობით ან უნებლიე დამთხვევით ხსნიდნენ. შარშან ნოემბერში რაიმონდი დაჭრეს, მაგრამ ტყვიამ მარცხენა ლოყიდან მარჯვენაში გაუარა და გადარჩა.




## პოლიციელებმა სატანისტი გოგონები დააკავეს

**ფლორიდის შტატის ერთ-ერთი საშუალო სკოლის ორი მოსწავლე გოგონა მას შემდეგ დააკავეს, როცა გაირკვა, რომ ამ 11 და 12 წლის ბავშვებს, სულ ცოტა, 15 თანატოლის მოკვლა ჰქონდათ განზრახული, — იუწყება Fox News.**

დაკავებულებმა აღიარეს, რომ მათ სწამდათ სატანა და ამიტომ აპირებდნენ, მკვლელობის შემდეგ მსხვერპლის ხორცი ეჭამათ და სისხლი დაელიათ.

სკოლის თანამშრომლებმა შეძლეს ამ სისხლიანი დანაშაულის აღკვეთა. პოლიციელებმა დაკავებულების ბინების ჩხრეკისას აღმოაჩინეს, რომ სატანისტ მოზარდებს ბევრი სხვა მკვლელობა ჰქონდათ დაგეგმილი.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ქირურგმა და მისმა საყვარელმა ნარკოტიკებით გაბრუებული ასობით ქალი გააუპატიურეს

**ამერიკელ ქირურგს, რომელიც მონაწილეობდა რეალურ შოუში სასიყვარულო თემაზე, და მის საყვარელს ბრალი დასდეს სექსუალურ თავდასხმაში ორ ქალზე, რომლებიც წინასწარ ნარკოტიკებით გააბრუეს. წყვილის მსხვერპლთა რაოდენობა, გამოძიების ვერსიით, შეიძლება რამდენიმე ასეული იყოს, — იუწყება The Sun.**





38 წლის **გრანტ რობიშო** ქირურგი-ორთოპედია, მისი საყვარელი **ქერისა ლორა რაილი** 31 წლისაა. ბრალდებულთა ტელეფონებში გამოძიებამ იპოვა გაუპატიურების ასეულობით ვიდეოჩანაწერი. კადრებზე აღბეჭდილი დაზარალებულები აშკარად მთვრალი და წინააღმდეგობის გაწევის უუნარო არიან. პოლიციელებმა ეჭვმიტანილთა სახლში იპოვეს ისეთი ნარკოტიკები, როგორებიცაა GHB (გამოიყენება სექსუალური აღგზნებისთვის) და კოკაინი.

გრანტი და ქერისა ტანდემში მუშაობდნენ, მსხვერპლს ნარკოტიკით აბრუებდნენ და შემდეგ სახლში მიჰყავდათ. პირველმა, მსხვერპლის თქმით, სამართალში მიცემულები გაიცნო ბარში. ახალგაცნობილი მიიწვიეს იახტაზე. მხიარულად გატარებული ღამის შემდეგ გონებაარეული ქალიშვილი გრანტის ბინაში წაიყვანეს და გააუპატიურეს. დაზარალებულმა ამის შესახებ პოლიციაში მეორე დღესვე განაცხადა, თან ჩააბარა ტესტი ნარკოშემცველობაზე.

**სამართალში მიცემულები 100 ათასი დოლარის გირაოს საფასურად გაათავისუფლეს. თუ ბრალი დაუმტკიცდათ, გრანტი და რაილი 40 და 30 წლით ჩაჯდებიან ციხეში.**

## 12 წლის გოგონა გააუპატიურეს



**ინგლისის ქალაქ ლის მცხოვრებმა ახალგაზრდამ შინიდან გამოიტყუა 12 წლის გოგონა, წაიყვანა კლუბში, დაათრო და გააუპატიურა. სასამართლომ 30 წლის ჯონ ფენიქსი დამნაშავედ ცნო, — იუწყება Mirror-ი.**

გოგონას ძებნა სექტემბერში დაიწყეს. პოლიციამ გაარკვია, რომ ჯონს რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმოწერა ჰქონდა გოგონასთან სოციალურ ქსელში. სწორედ ამ კაცის მისამართის მეშვეობით შეძლო პოლიციამ გატაცებული გოგონას ადგილსამყოფელის დადგენა და პოვნა. იმ დღეს, როცა გოგონა დაიკარგა, ჯონმა ის ღამის კლუბში მიიყვანა და დაათრო. ჯერ თვითონ დაუწყო კოცნა, შემდეგ უთხრა, რომ იგივე გაემეორებინა თავის საყვარელ ქალთან. ღამის კლუბიდან თავისთან წაიყვანა. დაზარალებულმა მხოლოდ 14 საათის შემდეგ გაიღვიძა: იგრძნო ტკივილი ლაჯებს შუა. სასამართლომ ჯონ ფენიქსს 14 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მის საყვარელს — 2 წელი პირობითი. მომხდარის შემდეგ მსხვერპლი თავის მოკვლას შეეცადა: „ეს ამბავი მე სამუდამოდ შემცვლის, — განაცხადა მან, — მეგონა, რომ ჩემი მეგობარი იყო. მე ამას არ დავარქმევ სექსს, ეს იყო საზიზღრობა. ვერ წარმომედგინა, რომ მოზრდილი ადამიანი შეძლებდა ასე მოექცეს ბავშვს. მე არაფერი გამეგება ცხოვრების. სიბნელეში ვარ“.

## მასწავლებელი, რომელიც 17 წლის ბიჭთან სექსუალურ კავშირში დაადანაშაულეს, თავისი გამოცდილების შესახებ წიგნის დაწერას აპირებს

**ამ ბრალდების წაყენების შემდეგ ჯილ ლამონტეინი იძულებული შეიქნა, მასწავლებლობისთვის თავი დაენებებინა, წასულიყო მენის შტატის ქენებანკის სკოლიდან, სადაც 5 წლის განმავლობაში მუშაობდა. ეს ქალი აპირებს, დაწეროს წიგნი თავისი გამოცდილების შესახებ.**



„დაზარალებულმა“, რომელიც ახლა 19 წლისაა, სასამართლოში განაცხადა, რომ მასწავლებელთან სექსით ერთობოდა არა მხოლოდ პედაგოგის სახლში, არამედ სკოლაშიც. ჯილმა, თავის მხრივ, მოსწავლეს ფანტაზიორი უწოდა. მან უარყო ყველა ბრალდება და სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო. ჯილი ამჟამად სასაუზმეში მუშაობს. ქმართან ერთად ორ მცირეწლოვან ბავშვს ზრდის. ჟურნალისტებს უთხრა, რომ იძულებული იყო, ფსიქიატრისთვის მიემართა, სტრესისთვის თავის დასაღწევად.

ჯილი ეხმარებოდა მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულებაში, ამიტომაც არ მიუმართავს სასკოლო სოციალური მუშაკისთვის. გამოტანილი ვერდიქტის შემდეგ ქალმა განაცხადა, რომ კვლავაც ასე მოიქცეოდა, რადგან სწორედ ამგვარი დახმარება სჭირდებოდა ცუდ პირობებში მყოფ ბავშვს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისრაელელმა ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ რუსეთს შეუძლია მანამდე დაარტყას აშშ-ს, სანამ უკვე გაშვებული ამერიკული რაკეტები მიაღწევენ რუსეთის ტერიტორიას. კედმის აზრით, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, როდესაც ლაპარაკობდა შურისძიებაზე პოტენციური ატომური აგრესორის მიმართ.**

# ამერიკელებს ყირიმში რუსეთისთვის დამიზნებული ბირთვული რაკეტების განლაგება უნდოდათ

**აშშ-ს განზრახული ჰქონდა, სევასტოპოლში განელაგებინა სამხედრო ხომალდები, რომლებიც „ტომაჰავკის“ ტიპის რაკეტებით იქნებოდა აღჭურვილი. ამ რაკეტებით საშუალება ექნებოდათ, რუსეთის ტერიტორია დაებომბათ ციმბირამდე, მაგრამ ყირიმის შეერთებით რუსეთის ფედერაციამ ამერიკელთა გეგმები ჩაშალა, — განაცხადა ისრაელელმა ანალიტიკოსმა იაკობ კედმიმ.**





ექსპერტის თქმით, უკრაინაში აშშ-ის ავანტიურა — სახელმწიფო გადატრიალება — გათვლილი იყო არა იდეალისტური (დემოკრატიის დაცვა), არამედ პრაქტიკული მიზნებისთვის: განელაგებინათ ამერიკული სამხედრო ხომალდები ყირიმში, ბაზა კი იქნებოდა სევასტოპოლში. იქიდან აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებს შესაძლებლობა ექნებოდათ, „ტომაჰავკის“ ფრთოსანი რაკეტებით დაებომბათ რუსეთის ტერიტორია ომსკამდე. სწორედ ამ რაკეტებზე დებდა ფსონს ვაშინგტონი, როდესაც ცდილობდა, გვერდი აევლო სსრკ-სა და აშშ-ს შორის შეთანხმებისთვის საშუალო და მცირე სიშორის მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, რადგან ეს შეთანხმება ეხება მხოლოდ სახმელეთო და არა საზღვაო რაკეტებს.

„მაგრამ რუსეთსაც შეუძლია მანძილის გათვლა, ამიტომ ყველაფერი, დაკავშირებული ყირიმთან, სევასტოპოლთან იყო შავი ზღვის პრობლემა — ვისი ბაზა იქნებოდა სევასტოპოლში: რუსეთის ფლოტის თუ ამერიკის. იქ ამერიკული ფლოტის განლაგება რუსეთისთვის თითქმის სიკვდილის განაჩენი იქნებოდა“, — განაცხადა კედმიმ ინტერნეტარხის ITON TV-ის ეთერში, თუმცა ყირიმით არ ამოწურულა რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის სარაკეტო გეგმის ფიასკო.

რუსეთის ფედერაციისვის ყირიმის ნახევარკუნძულის მიერთებიდან მოკლე ხანში მოსკოვმა მუდმივი სამხედრო-საზღვაო ბაზა შექმნა სირიის ქალაქ ტარტუსში. რუსეთის სამხედრო ესკადრის ყოფნა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში ანეიტრალებს აშშ-ის ფლოტის შესაძლებლობებს, დაბომბოს რფ-ის ტერიტორია მოცემული რეგიონიდან, აგრეთვე, აიძულებს მას, დაიხიოს უკან, ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში. **„მანძილი აშშ-ის სამხედრო ხომალდებსა და რუსეთში მათ სამიზნეებს შორის მკვეთრად გაიზარდა, შესაბამისად, შემცირდა მათი განადგურების ან დაზიანების შესაძლებლობები. ამას გარდა, რუსეთმა შეიმუშავა იარაღის ახალი სახეობები ამერიკის ფლოტის წინააღმდეგ“,** — აღნიშნა კედმიმ.

უფრო ადრე ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ რუსეთს შეუძლია მანამდე დაარტყას აშშ-ს, უკვე გაშვებული ამერიკული რაკეტები სანამ მიაღწევენ რუსეთის ტერიტორიას. კედმის აზრით, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, როდესაც ლაპარაკობდა შურისძიებაზე პოტენციური ატომური აგრესორის მიმართ.

**უკრაინაში აშშ-ის ავანტიურა — სახელმწიფო გადატრიალება — გათვლილი იყო არა იდეალისტური (დემოკრატიის დაცვა), არამედ პრაქტიკული მიზნებისთვის: განელაგებინათ ამერიკული სამხედრო ხომალდები ყირიმში, ბაზა კი იქნებოდა სევასტოპოლში. იქიდან აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებს შესაძლებლობა ექნებოდათ, «ტომაჰავკის» ფრთოსანი რაკეტებით დაებომბათ რუსეთის ტერიტორია ომსკამდე. სწორედ ამ რაკეტებზე დებდა ფსონს ვაშინგტონი, როდესაც ცდილობდა, გვერდი აევლო სსრკ-სა და აშშ-ს შორის შეთანხმებისთვის საშუალო და მცირე სიშორის მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, რადგან ეს შეთანხმება ეხება მხოლოდ სახმელეთო (და არა საზღვაო) რაკეტებს**



## დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა განკარგულებას არალეგალი მიგრანტებისთვის თავშესაფარზე უარის თქმის შესახებ

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რამდენიმე დღის წინათ ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის მიხედვით, იუსტიციისა და შიდა უსაფრთხოების სამინისტროები უარს ეტყვიან თავშესაფრის მინიჭების საკითხის განხილვაზე იმ პირებს, რომლებმაც ამერიკის საზღვარი არალეგალურად გადაკვეთეს; ასეთ ადამიანებს დადგენილ საგუშაგოებზე გადაიყვანენ.**

„ჩვენ გვსურს, ადამიანები ჩვენს ქვეყანაში მოდიოდნენ, მაგრამ მხოლოდ კანონიერ საფუძველზე“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში ჟურნალისტებთან საუბრისას.

ცნობილია, რომ გასულ კვირას, ამერიკის პრეზიდენტის განკარგულებით, მექსიკის საზღვართან ამერიკელ სამხედროთა რაოდენობა 15 ათასამდე გაიზარდა, რათა შეჩერდეს დიდი რაოდენობით მიგრანტების შესვლა ქვეყანაში.

# ახლა უკვე პოლონეთიც: პოლონეთმა შეიძლება ევროკავშირი დატოვოს



**ევროპის საბჭოს მეთაურმა დონალდ ტუსკმა (პოლონეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა) განაცხადა, რომ ევროკავშირიდან პოლონეთის გასვლის საფრთხე სრულიად რეალურია. პოლიტიკოსის აზრით, ეს შეიძლება მოხდეს პოლონეთისა და ბრიუსელის ლიდერებს შორის კონფრონტაციის გამო, — იუწყება ბრიტანული გამოცემა Express-ი.**

ტუსკი აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მიერ პოლონეთის უზენაესი სასამართლოს რეფორმის მიუღებლობამ (ე.ი. ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევამ — რედ.) შეიძლება აიძულოს ვარშავა, გავიდეს ევროკავშირიდან.

ევროპის საბჭოს ხელმძღვანელი ვითარებას „ძალიან სერიოზულს“ უწოდებს. მან ისიც განაცხადა, რომ პოლონეთის მმართველი პარტიის მეთაურმა **იაროსლავ კაჩინსკიმ** შეიძლება ბიძგი მისცეს პროცესებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ქვეყანას ევროკავშირიდან გამოიყვანს.




**„მე მაქვს დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონთან მუშაობის გამოცდილება. ჩვენ ყოველდღიურად ვმუშაობდით ბრექსიტის თავიდან ასაცილებლად. ვშიშობ, რომ ევროკავშირის შემადგენლობაში პოლონეთის შენარჩუნების სურვილი ევროპაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს იყო დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში“,** — აღნიშნა ტუსკმა.

ამა წლის 3 ივლისს პოლონეთში ამოქმედდა ახალი კანონი, რომელიც ცვლის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცედურას და მოთხოვნებს მათ მიმართ. ევროკავშირში მიიჩნევენ, რომ ეს რეფორმა ეწინააღმდეგება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და მოსამართლეების შეუცვლელობის პრინციპებს. 2017 წელს ევროკომისიამ დაიწყო პროცედურა, რომელმაც შეიძლება განაპირობოს პოლონეთისთვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა ევროსაბჭოში.

აგვისტოში ბრიუსელმა ერთი თვე მისცა ვარშავას რეფორმის კორექტირებისთვის, მაგრამ პოლონეთმა უარი თქვა მოთხოვნის შესრულებაზე. შედეგად ევროპის კომისიამ გადაწყვიტა, ევროკავშირის სასამართლოში ეჩივლა პოლონეთის ხელისუფლებისთვის.

გვერდი მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მონუმენტი „დედასამშობლო გეძახის!“ წარმოადგენს ცენტრალურ ნაწილს ტრიპტიქისა, რომელიც შედგება მონუმენტებისგან „ზურგი — ფრონტს“ მაგნიტოგორსკში და „მეომარი განმათავისუფლებელი“ ბერლინის ტრეპტოვ-პარკში. ნაგულისხმევია, რომ ურალის ნაპირზე გამოჭედილი ხმალი დედასამშობლომ აღმართა სტალინგრადში და დაუშვა გამარჯვების შემდეგ ბერლინში. პროექტის ავტორები არიან ვუჩეტიჩი და ნიკიტინი, აიგო 1959-1967 წლებში. მონუმენტის სიმაღლეა 85 მ, მასალა — ბეტონი.**

# 10 ყველაზე ცნობილი სტატუა

ყველა სტატუა, რომლებსაც ქვემოთ გაგაცნობთ, მსოფლიო მნიშვნელობის ღირსშესანიშნაობაა და სხვადასხვა ქვეყანაშია. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება. მათ შესახებ, ალბათ, ოდესღაც რაღაც გვსმენია, რადგან ისინი კაცობრიობის ისტორიული მემკვიდრეობაა.



## ყველაზე მაღალი სტატუა

რამდენიმე კვირის წინათ ინდოეთის გუჯარათის შტატში ამ ქვეყნის პრემიერმინისტრმა **ნარენდრა მოდიმ** მსოფლიოში ყველაზე მაღალი სტატუა გახსნა. ქანდაკება, რომლის საერთო სიმაღლე, კვარცხლბეკთან ერთად, 240 მეტრია (კვარცხლბეკის გარეშე — 180 მ), მიეძღვნა ინდოეთის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს **ვილაბჰაი პატელს** და მას ერთობის სტატუასაც უწოდებენ. შესადარებლად: პატელის ქანდაკება 4-ჯერ მაღალია ნიუ-იორკის თავისუფლების ქანდაკებაზე. პატელის ქანდაკების პროექტის ავტორია ინდოელი სკულპტორი **რამ ვანჯი სუტარი.** მონუმენტის პროექტირებას 13 თვე დასჭირდა, მშენებლობას — 33 თვე. სტატუის კონსტრუქციის შიგნით დამონტაჟებულია 2 ლიფტი. 150 მ სიმაღლეზე მოწყობილია დასათვალიერებელი გალერეა, რომელსაც ერთდროულად 200 ტურისტის მიღება შეუძლია. სტატუის ასაგებად დაიხარჯა 210 ათასი კუბ. მ ბეტონი, 18,5 ათასი ლითონკონსტრუქცია.

ქანდაკებას შეუძლია გაუძლოს საათში 180 კმ სიჩქარის ქარს და 6,5 მაგნიტუდის მიწისძვრას.



## ლეჩუნ — სასაჩუა მიანმაში

ეს არის რელიგიურ-სკულპტურული ნაგებობა, რომელიც აშენებულია მიანმას სიკაინის ოლქის ქალაქ მოუნიუსთან ახლოს. ბუდა შაკიამუნისადმი მიძღვნილი მონუმენტის სიმაღლე 129,24 მეტრია (სტატუის — 116 მ, კვარცხლბეკის — 13,24). მშენებლობა დაიწყო 1996 წელს და დასრულდა 12 წლის შემდეგ — 2008 წელს.

## ქალთევზა კოპენჰაგენში



ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპრის „ქალთევზას“ პერსონაჟის სკულპტურა დგას დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენის პორტში. სკულპტურის სიმაღლე 1,25 მეტრია, წონა — 175 კგ. სტატუის ავტორია დანიელი მოქანდაკე **ედვარდ ერიქსენი.** სკულპტურა, რომელიც ლუდსახარშ „კარლსბერგის“ დამფუძნებლის შვილის შეკვეთით შეიქმნა, 1913 წელს გაიხსნა.



## იესო ქრისტეს სტატუა ბრაზილიაში

ხელებგაშლილი იესო ქრისტეს ცნობილი ქანდაკება დგას მთა კორკოვადუს წვერზე რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) და არის რიო-დე-ჟანეიროსა და ბრაზილიის სიმბოლო.

ქანდაკების სიმაღლე 38 მეტრია, კვარცხლბეკთან ერთად (კვარცხლბეკის სიმაღლე — 8 მ), ხელების სიგრძე — 28 მ, წონა — 635 ტონა. სტატუის მშენებლობა დაიწყო 1922 წელს და დასრულდა 1931 წელს.



## ბუდა მაიტრეის სტატუა ლეშანში (ჩინეთი)

ეს არის ბუდას ერთ-ერთი მაღალი სტატუა. გამოკვეთილია მთა ლინიუნშანის კლდეში სამი მდინარის შეერთების ადგილას, ჩინეთის პროვინცია სიჩუანის ქალაქ ლეშანთან.

სტატუის შესაქმნელად სამუშაოები დაიწყო დინასტია ტანის მმართველობის პერიოდში 713 წელს და გრძელდებოდა 90 წელს. სტატუის სიმაღლე 71 მ-ია, თავის სიმაღლე — 15 მ, მხრების სიგანე — 30 მ, ხელის თითის სიგრძე — 8 მ. XVII საუკუნემდე ბუდა მაიტრეის სკულპტურა დაფარული იყო 13-სართულიანი ტაძრით. მოგვიანებით ეს ნაგებობა ხანძარმა გაანადგურა.

სტატუა შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.



## ვენერა მილოსელი

სიყვარულის ქალღმერთის მარმარილოსგან შექმნილი ქანდაკება (მორცხვი ვენარა — ლათ. Venus pudica) პარიზში, მუზეუმ ლუვრში ინახება. შექმნილია ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლოებით 130-100 წლებში. სტატუის სიმაღლე 2,02 მ-ია.

## თავისუფლების ქანდაკება ნიუ-იორკში



ნეოკლასიციზმის სტილის კოლოსალური სკულპტურა დგას ნიუ-იორკში, თავისუფლების კუნძულზე (აშშ). ეს ქანდაკება აიგო 1876 წელს, როგორც საფრანგეთის საჩუქარი, და მიეძღვნა აშშ-ის დამოუკიდებლობის 100 წლისთავს. არქიტექტორია **გუსტავ ეიფელი.**

სტატუის სიმაღლეა 93 მ (კვარცხლბეკთან ერთად). კვარცხლბეკის გარეშე ქანდაკების სიმაღლეა 46 მ, საერთო წონა — 27 150 ტონა.



## დიდი სფინქსი, ეგვიპტე

დიდი სფინქსი აღმართულია გიზაში, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე. ეს არის დედამიწაზე შემონახული უძველესი მონუმენტური სკულპტურა, რომელიც გამოკვეთილია კირქვიან კლდეში კოლოსალური სფინქსის ფორმით. სახით ჰგავს ფარაონ ხეფრენს (ჩვ.წ.აღ. 2575-2465 წწ.), რომლის პირამიდაც აგებულია რამდენიმე მეტრის დაშორებით. სტატუის სიგრძე 72 მეტრია, სიმაღლე — 20 მ, წინა თათებს შორის ოდესღაც განლაგებული იყო პატარა საკურთხეველი.

## «დედა-სამშობლო გეძახის!», ვოლგოგრადი, რუსეთი



ეს არის კომპოზიციური ცენტრი ქანდაკებების ანსამბლისა „სტალინგრადის ბრძოლის გმირებს“. აგებულია მამაის ყორღანზე, ვოლგოგრადში (რუსეთი). მონუმენტი „დედა-სამშობლო გეძახის!“ წარმოადგენს ცენტრალურ ნაწილს ტრიპტიქისა, რომელიც შედგება მონუმენტებისგან „ზურგი — ფრონტს“ მაგნიტოგორსკში და „მეომარი განმათავისუფლებელი“ ბერლინის ტრეპტოვ-პარკში. ნაგულისხმევია, რომ ურალის ნაპირზე გამოჭედილი ხმალი დედასამშობლომ აღმართა სტალინგრადში და დაუშვა გამარჯვების შემდეგ ბერლინში. პროექტის ავტორები არიან **ვუჩეტიჩი** და **ნიკიტინი**. აიგო 1959-1967 წლებში. მონუმენტის სიმაღლეა 85 მ, მასალა — ბეტონი.

## უდაბნოს ხელი, ჩილე



ეს სკულპტურა აღმართულია უდაბნო ატაკამაში, ანტოფაგასტას ოლქში (ჩილე), პანამერიკული შოსედან 400 მეტრში. სკულპტურა წარმოადგენს ადამიანის მარცხენა ხელისგულს, რომელიც დაახლოებით სამი მეოთხედით ამოყოფილია მიწიდან. სკულპტურის სიმაღლე 11 მეტრია. ავტორი კი არის ჩილელი **მარიო ირასაბალი.** ავტორის აზრით, სკულპტურა გამოსახავს ადამიანის მარტოსულობას, სინანულს, ტანჯვასა და უმწეობას. მასალა — ბეტონი ფოლადის კონსტრუქციაზე. აიგო 1992 წელს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ალფრედო დი სტეფანო დაიბადა 1926 წლის 4 ივლისს ბუენოს-აირესში. იზრდებოდა ღარიბ ოჯახში, ამიტომ ისეთი ფუფუნება, როგორიც იყო ტყავის ბურთი და საფეხბურთო მინდორი, მისთვის არ არსებობდა. თამაშობდა კაუჩუკის თვითნაკეთი ბურთით ქუჩაში. 10 წლის ალფრედო ფეხბურთის ანაბანას სწავლობდა გაცილებით უფროსი ამხანაგებისგან და, პრაქტიკულად, სრულყოფილად თამაშობდა ორივე ფეხით. 17 წლის ალფრედოს კი შესაძლებლობა მიეცა, საყვარელი „რივერ პლეიტის“ მიერ გამოცხადებულ შესარჩევ კონკურსში მიეღო მონაწილეობა.**

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალფრედო დი სტეფანო უნიკალური ადამიანი იყო, რომელიც 3 ქვეყნის მოქალაქე გახლდათ — არგენტინის, ესპანეთისა და კოლუმბიის. აღსანიშნავია, რომ დი სტეფანომ ამ სამი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებებში ითამაშა. ის უნიკალური იყო, როგორც საფეხბურთო მოედანზე, ისე მის გარეთ.**

# ალფრედო დი სტეფანო





დი სტეფანო მოიპოვებდა ტიტულებს ყველგან, სადაც თამაშობდა: იყო არგენტინის ჩემპიონი, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი, კოლუმბიის 3-გზის ჩემპიონი, 8-ჯერ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონობა, 5-ჯერ — ევროპის ჩემპიონთა თასი, 2-ჯერ — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო — „ოქროს ბურთი“. ის მართლაც უნიკალური ფეხბურთელი იყო — შესანიშნავად თამაშობდა, როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში.

ალფრედო დი სტეფანოს სახელი მამის პატივსაცემად დაარქვეს, რომელიც, სხვათა შორის, კარგი ფეხბურთელი იყო და წლების განმავლობაში იცავდა ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტის“ ღირსებას, სანამ მძიმე ტრამვამ არ აიძულა, თავი დაენებებინა ფეხბურთისთვის. და ის, რაც ვერ შეძლო ალფრედო-უფროსმა, გადაჭარბებით შეასრულა ალფრედო-უმცროსმა.

ალფრედო დი სტეფანო დაიბადა 1926 წლის 4 ივლისს ბუენოს-აირესში. იზრდებოდა ღარიბ ოჯახში, ამიტომ ისეთი ფუფუნება, როგორიც იყო ტყავის ბურთი და საფეხბურთო მინდორი, მისთვის არ არსებობდა. თამაშობდა კაუჩუკის თვითნაკეთი ბურთით ქუჩაში. 10 წლის ალფრედო ფეხბურთის ანაბანას სწავლობდა გაცილებით უფროსი ამხანაგებისგან და, პრაქტიკულად, სრულყოფილად თამაშობდა ორივე ფეხით. 17 წლის ალფრედოს კი შესაძლებლობა მიეცა, საყვარელი „რივერ პლეიტის“ მიერ გამოცხადებულ შესარჩევ კონკურსში მიეღო მონაწილეობა. 32 ახალგაზრდა ფეხბურთელიდან, რომლებიც 1944 წელს ცდილობდნენ თეთრ-წითელ-შავთა სტრუქტურაში მოხვედრას, შეარჩიეს მხოლოდ 2, თანაც მეოთხე გუნდისთვის — ალფრედო დი სტეფანო და მისი უახლოესი მეგობარი **სალვუჩი.** მომდევნო სეზონში ალფრედოს გუნდმა ყველა მატჩი მოიგო, დამარცხდა მხოლოდ ფინალში.

ძირითად გუნდში დებიუტი კი, რომელიც 1944 წლის 7 ივნისს გაიმართა, წარუმატებელი იყო დი სტეფანოსთვის. ყმაწვილმა ძალიან ინერვიულა, რადგან მატჩის საყურებლად ყველა ნათესავი მივიდა. ალფრედომ ცუდად ითამაშა, მეორე ტაიმში კი უწყინარ ვითარებაში ტრავმა მიიღო. „რივერ პლეიტის“ მწვრთნელმა **რენატო ჩეზარინიმ** ალფრედო მესამე გუნდში გადაიყვანა, თუმცა „ჩამოლაზორატნებულმა“ დი სტეფანომ მოიგო არგენტინის ჩემპიონატი სათადარიგო შემადგენლობებს შორის, ამასთანავე, მონაწილეობდა მასობრივ ჩხუბში „ბოკა ხუნიორსის“ მოთამაშეებთან. ამის გამო ალფრედოსა და მის თანაგუნდელებს ჩემპიონის მოგებული ტიტული ჩამოართვეს. ამ საგმირო საქმეების მიუხედავად, ალფრედომ ვერ შეძლო „რივერ პლეიტის“ მთავარ გუნდში ფეხის მოკიდება და ის, მამის ხელშეწყობით, არენდით გადავიდა ბუენოს-აირესის ნაკლებად პოპულარულ კლუბ „ურაკანში“. სწორედ ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი დი სტეფანომ — გაიტანა 10 ბურთი და გახდა კლუბის საუკეთესო ბომბარდირი. „ურაკანის“ მფლობელებს ძალიან სურდათ ნიჭიერი ახალგაზრდის გამოსყიდვა, მაგრამ ის ძალიან ძვირი ღირდა არგენტინის ჩემპიონატის საშუალო გუნდისთვის.

„რივერ პლეიტში“ დაბრუნების შემდეგ ალფრედომ ძირითად შემადგენლობაში მოიპოვა ადგილი. ის მალე გამოიძახეს არგენტინის ნაკრებში სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშებაში მონაწილეობისთვის. 21 წლის ალფრედომ სადებიუტო მატჩში გაიტანა ბურთი, სულ კი ჩემპიონატში 6-ჯერ შეარხია მეტოქის კარის ბადე და არგენტინას სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დაეხმარა. ამის შემდეგ „ალბისელესტეს“ (ასე ეძახიან არგენტინის ნაკრებს) შემადგენლობაში დი სტეფანოს აღარ უთამაშია. „რივერ პლეიტის“ პრეზიდენტთან კონფლიქტის შემდეგ ალფრედო იძულებული შეიქნა, კლუბი დაეტოვებინა და კოლუმბიაში გადაბარგებულიყო. მან კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტას კლუბ „მილიონარიოსთან“ გააფორმა კონტრაქტი.

„მილიონარიოსში“ დი სტეფანომ 4 განსაცვიფრებელი სეზონი ჩაატარა და ბოგოტის კლუბს დიდება მოუტანა. ითამაშა კოლუმბიის ნაკრებშიც.

სამშობლოს მონატრებამ დი სტეფანო არგენტინაში დააბრუნა, თუმცა მისი კონტრაქტი „მილიონარიოსთან“ ამოწურული არ იყო. სწორედ ამან წარმოშვა ის გაურკვევლობა, რომელშიც გაეხვია დიდი ფეხბურთელი. საქმე ის არის, რომ 1953 წელს „ბარსელონას“ ხელმძღვანელები **ენრიკ მარტი** და **ხოსეპ სამიტიერი** მოელაპარაკნენ „რივერ პლეიტს“ დი სტეფანოს გადასვლაზე კატალონიურ კლუბში 400 მლნ პესეტად. ამ შეთანხმების, პრაქტიკულად, პარალელურად „მილიონარიოსის“ ბოსებმა განაცხადეს თავიანთი უფლების შესახებ თავდამსხმელზე და საკომპენსაციო თანხად 1 მილიარდ 350 მილიონი პესეტი მოითხოვეს. ეს ხელს არ აძლევდა ენრიკ მარტის, მაგრამ თანხის გადახდაზე თანახმა იყო „ბარსას“ დაუძინებელი მტერი მადრიდის „რეალი“, რომელმაც ემისრები გაგზავნა კოლუმბიაში დი სტეფანოს შესაძენად. ასე აღმოჩნდა არგენტინელი ფეხბურთელი ორი გუნდის — „ბარსელონასა“ და „რეალის“ — შემადგენლობაში. ამ ჩახლართული სიტუაციიდან გამოსავალი „იპოვეს“ ფიფას წევრებმა, პირველ რიგში, ესპანეთის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა **არმანდო მუნიოსა კალერომ,** რომლის „ბრძნული“ გადაწყვეტილების თანახმად, დი სტეფანოს ორ-ორი სეზონი უნდა ეთამაშა ორივე ევროპულ გრანდში — 1953-1954 და 1955-1956 წლების სეზონები — „რეალში“, ხოლო 1954-1955 და 1956-1957 წლებში — ბარსელონაში. ამ „მეფე სოლომონის მსგავსი ბრძნული გადაწყვეტილების“ გამო დი სტეფანომ 7 თვის განმავლობაში ვერ ითამაშა, თუმცა სათამაშო კონდიციები არ დაუკარგავს და „რეალის“ შემადგენლობაში პირველივე მატჩში გამოიჩინა თავი. ამავე პერიოდში ალფრედომ ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო, ამ ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მაისურიც მოირგო და, ტრადიციისამებრ, სადებიუტო შეხვედრაში გაიტანა გოლი. იმ სეზონში ალფრედო დი სტეფანო დაეხმარა „რეალს“ ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში, თვითონ კი დაიმსახურა შეჯიბრების საუკეთესო ფორვარდისთვის დაწესებული პრიზი. შემდეგ სეზონებშიც შეუჩერებელი იყო დი სტეფანო. იმ პერიოდში „რეალთან“ ერთად მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი, თვითონ კი თამაში დაიწყო ახალ პოზიციაზე — თავდამსხმელების უკან. მოიპოვა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი — „ოქროს ბურთი“ და 53 ქულით გაასწრო „ვულვერჰემპტონის“ ლეგენდარულ ფეხბურთელ **ბილ რაიტს.** 1957-1958 წლის სეზონში „რეალმა“ კვლავ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, აგრეთვე, ევროპის ჩემპიონთა თასი. ალფრედო ამ შეჯიბრებების ყველა მატჩში მონაწილეობდა და საუკეთესო სნაიპერის ტიტულიც დაიმსახურა. ის იმხანად უკვე ითვლებოდა ესპანეთის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ.





1958 წელს დი სტეფანოს დასახმარებლად მოუხმეს შესანიშნავ უნგრელს — **ფერენც პუშკაშს,** მაგრამ ამ დუეტმაც ვერაფერი გააწყო ბრწყინვალე „ბარსელონასთან“, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა „რეალს“, თუმცა ევროპის ჩემპიონთა თასი მეოთხედ მოიგო მადრიდულმა „სამეფო კლუბმა“.

1959-60 წლებში „რეალში“ ჩაირიცხა 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, ბრაზილიელი **დიდი,** რომელიც ყველამ შეიყვარა — კლუბის პრეზიდენტმაც და გულშემატკივრებმაც, მაგრამ მას არ აღიარებდნენ დი სტეფანო და პუშკაში. ისინი უარს ამბობდნენ მასთან ურთიერთქმედებაზე და მინდორზე, საერთოდ, არ აქცევდნენ ყურადღებას. გატანჯულმა დიდიმ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება.

1960-1961 წლებში „რეალმა“ კვლავ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონობა, მაგრამ წარუმატებლად გამოვიდა ჩემპიონთა თასის გათამაშებაში — დამარცხდა „ბარსელონასთან“. შემდეგ სეზონში „რეალმა“ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო შეჯიბრებაში ფინალამდე მიაღწია, მაგრამ წააგო პორტუგალიის „ბენფიკასთან“, თუმცა დი სტეფანოს მაინც უამრავი ბურთი გაჰქონდა და „რეალს“ ესპანეთის თასის მოპოვებაში დაეხმარა.

შემდეგი სეზონი კი ალფრედოსთვის უკანასკნელი აღმოჩნდა „გალაქტიკოსის“ (მადრიდის „რეალის“) შემადგენლობაში. მან კლუბის დატოვება გადაწყვიტა. საბოლოო ჯამში, დი სტეფანომ 396 მატჩი ჩაატარა „რეალის“ მაისურით და 304 ბურთი გაიტანა. დი სტეფანოს სამწვრთნელო კარიერა არაერთგვაროვანია. იყო წარმატება „ვალენსიასთან“ 1970—71 წლებში, მაგრამ უფრო ხშირად — წარუმატებელი სეზონები „ბოკა ხუნიორსში“, „ელჩეში“, „სპორტინგში“, „რაიო ვალეკანოში“, „კასტელიონეში“, თუმცა მშობლიურ „რივერ პლეიტს“ გამარჯვება მოაპოვებინა ეროვნულ ჩემპიონატში.

ალფრედო დი სტეფანო 2014 წლის 7 ივლისს გარდაიცვალა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

## მიღწევები

როგორც ფეხბურთელი:
* არგენტინის ჩემპიონი — 1945, 1947 წწ.
* კოლუმბიის ჩემპიონი — 1949, 1951, 1952 წწ.
* სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი — 1947 წ.
* ესპანეთის ჩემპიონი — 1954, 1955l 1957, 1858, 1961, 1963, 1964 წწ.
* ესპანეთის თასის მფლობელი — 1962 წ.
* საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი — 1960 წ.

როგორც მწვრთნელი:
* ესპანეთის ჩემპიონი — 1971 წ.
* არგენტინის ჩემპიონი — 1969, 1981 წწ.
* თასების მფლობელთა თასი — 1980 წ.
* უეფას სუპერთასი — 1980 წ.
* არგენტინის თასი — 1969 წ.

პირადი:
* არგენტინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — 1947 წ.
* კოლუმბიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — 1951, 1952 წწ.
* ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — 1954, 1956, 1957, 1958, 1959 წწ.
* „ოქროს ბურთის“ მფლობელი — 1957, 1959 წწ.

# გერმანელი სამხედროები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ



**გერმანიის არმიისა და სპეცდანიშნულების რაზმების ელიტურ ქვედანაყოფებში მოქმედებდა რადიკალური იატაკქვეშა დაჯგუფება, რომელიც მიზნად ისახავდა გერმანიის თვალსაჩინო პოლიტიკოსების მკვლელობას — ძირითადად, ლიბერალების. ეს სენსაციური ინფორმაცია ჟურნალმა „ფოკუსმა“ გაავრცელა.**

გამოცემის მონაცემებით, დაჯგუფებაში შედიოდნენ არა მხოლოდ მემარჯვენე ექსტრემისტები, არამედ ფანატიკური სწავლება „სამყაროს დასასრულის“ მიმდევრები. ისინი ემზადებოდნენ „შურისძიებისთვის“, რომელიც უნდა აღესრულებინათ „X დღეს“. ამისათვის ერთ ადგილას თავი უნდა მოეყარა გფრ-ის რამდენიმე ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს. მიუხედავად იმისა, რომ სია პოტენციური მსხვერპლისა, რომლებზეც მზადდებოდა თავდასხმა, ჯერ ნაპოვნი არ არის, ცნობილია, რომ შეთქმულების სამიზნეში ჰყავდათ ამოღებული ბუნდესტაგის ფრაქცია „მემარცხენეების“ თანათავმჯდომარე **დიტმარ ბარჩი** (ამ თანამდებობას იყოფს **სარა ვაგენკნეხტთან**).

გერმანული მასმედია ასახელებს კიდევ რამდენიმე გვარს, მათ შორის არის გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, სოციალ-დემოკრატი **ჰაიკო მაასი** და ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი **იოახიმ გაუკი.**

შეთქმულები კონსპირაციას მაინცდამაინც არ მისდევდნენ: მათ არ ეშინოდათ, სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტჩათებში ემსჯელათ თავიანთ დანაშაულებრივ გეგმებზე. ამ ინტერნეტჩათების მოდერატორები კი იყვნენ ბუნდესვერის სახმელეთო ჯარების სპეციალური ქვედანაყოფების წარმომადგენლები, თუმცა, როგორც გაირკვა, ლაპარაკია არა ხელმძღვანელ ოფიცრებზე, არამედ კონტრაქტით მომსახურე სერჟანტებზე, რომლებიც საბრძოლო ამოცანების შესრულებისგან თავისუფალ დროს სოციალურ ქსელებში მსჯელობდნენ შეთქმულების აპოკალიფსურ სცენარზე. სხვათა შორის, ბოროტგანმზრახველებს რაღაც-რაღაცები უკვე მომზადებული ჰქონდათ, სახელდობრ — იარაღითა და საწვავით სავსე რამდენიმე სამალავი. ცნობილია ისიც, რომ ჰყავდათ ინფორმატორი სამხედრო კონტრდაზვერვაში. დაიწყო გამოძიება კელნელი უმცროსი ოფიცრის მიმართ, რომელიც აუწყებდა ხოლმე შეთქმულებს მოსალოდნელი ჩხრეკის შესახებ. რეალური იყო თუ არა მათგან მომდინარე საფრთხე, ჯერ კიდევ გასარკვევია. ბუნდესტაგში ოპოზიციამ მოითხოვა საკუთარი გამოძიების ჩატარება. როგორც ჩანს, თავდაცვის მინისტრ **ურსულა ფონ დერ ლიაიენს** მძიმე დროება დაუდგა.

**ბოროტგანმზრახველებს რაღაც-რაღაცები უკვე მომზადებული ჰქონდათ, სახელდობრ — იარაღითა და საწვავით სავსე რამდენიმე სამალავი. ცნობილია ისიც, რომ ჰყავდათ ინფორმატორი სამხედრო კონტრდაზვერვაში**

ამ იატაკქვეშა დაჯგუფების კვალზე სისხლის სამართლის სამძებრო გავიდა სხვა რეზონანსული საქმის გამოძიებისას. ეს საქმე ეხება ბუნდესვერში ნეონაცისტების არსებობას.

2017 წლის მაისში ცნობილი შეიქნა უფროსი ლეიტენანტის — **ფრანკო ა.**-ს დაპატიმრების შესახებ, რომელიც მსახურობდა ილკირშ-გრაფენშტადენში განლაგებულ გერმანულ-ფრანგულ ბრიგადაში. ამ ბრიგადის ყაზარმაში იპოვეს ნაციზმის ეპოქასთან დაკავშირებული არტეფაქტები.

გერმანიის მოქალაქე ფრანკო ა.-მ თავი სირიელ ლტოლვილად გაასაღა და შეძლო გფრ-ის საიმიგრაციო უწყებაში აღრიცხვაზე დადგომა. გამოძიების ვერსიით, ის თანამზრახველებთან ერთად აპირებდა რამდენიმე ცნობილი პოლიტიკოსის მკვლელობას და ამ დანაშაულის ისე წარმოჩენას, თითქოს ეს მიგრანტებმა ჩაიდინეს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



# «შარვალჩახდილებმა» ეს მოიტანეს:

## რუსეთი სამხრეთ ოსეთს საერთაშორისო პოზიციების გაძლიერებაში პოლიტიკურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს

**ამიერკავკასიაში შექმნილი რთული რეგიონული ვითარება რუსეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის აქტუალურობას განაპირობებს, — ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის, დიმიტრი მედოევის, მოსკოვში ვიზიტის გამო.**

„რუსეთი სამხრეთ ოსეთს ყოვლისმომცველ პოლიტიკურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს საერთაშორისო პოზიციების გაძლიერებაში და უცხოურ ქვეყნებთან კონტაქტების გაფართოებაში. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში ვიზიტის მიზანია, დამატებითი იმპულსი მიეცეს ჩვენი ქვეყნების უწყებებს შორის თანამშრომლობას“, — აცხადებენ რუსეთის საგარეო უწყებაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნეს, რომ ამიერკავკასიაში რთული ვითარება რუსეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის აქტუალურობას განაპირობებს.

„შესაბამისი ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განთავსებულია რუსეთის სამხედრო ბაზა. ჩვენი მესაზღვრეები დახმარებას უზრუნველყოფენ საქართველოსთან სამხრეთ ოსეთის საზღვრის დაცვაში“, — აცხადებენ რუსეთის საგარეო უწყებაში.

დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედოევმა მოსკოვში შეხვედრა გამართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან.

აი ეს არის საზღვართან „შარვალჩახდილი“ ვაიპატრიოტების გამომწვევი და უხამსი მოქმედების შედეგი.



# ულტრამემარჯვენეები საფრანგეთის პრეზიდენტის მკვლელობას აპირებდნენ



**საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მკვლელობაში ეჭვმიტანილებმა აღიარეს დანაშაული და დაკითხვისას თავიანთი გეგმის დეტალებზე ისაუბრეს.**

დანაშაულის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო ყოფილი მეწარმე, 55 წლის **ჟან-პიერ ბ.,** რომელიც თავს უნდა დასხმოდა საფრანგეთის ლიდერს ქალაქ შარლევილ-მეზიერში. თავდასხმისთვის დამზადებული იყო კერამიკული დანა, რომლის აღმოჩენაც ლითონის დეტექტორს არ შეუძლია.

ეჭვმიტანილი უნდა მიახლოებოდა პრეზიდენტს და შემდეგ თავს დასხმოდა დანით.

ეჭვმიტანილი თანამზრახველებს დაშიფრულ შეტყობინებებს უგზავნიდა, რომლებიც ქვეყნის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ხელში ჩაიგდეს და გაშიფრეს. ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, 10 ნოემბერს, დაიწყო ეჭვმიტანილების თვალთვალი შარლევილ-მეზიერის გზაზე, შემდეგ კი ისინი დააპატიმრეს.

ჟან-პიერ ბ. ამჟამად იმყოფება პოლიციის განყოფილებაში, სადაც მან ყველაფერი აღიარა. სულ კი დაკავებულია 22-დან 62 წლამდე 6 ულტრამემარჯვენე, მათ შორის 60 წლის ქალი.

„დაკავებულებს ბრალი ედებათ ძალადობრივი მოქმედებების განზრახვაში საფრანგეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის თავდასხმის პირველი მცდელობა ემანუელ მაკრონზე. 2017 წელს საფრანგეთში დააპატიმრეს 23 წლის ულტრამემარჯვენე, რომელიც გეგმავდა თავდასხმას პრეზიდენტზე ელისეს მინდორზე სამხედრო აღლუმის მიმდინარეობისას.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894